K 81.285/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუქნი თბილისი

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1958

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



8ст-1+9(с988.1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ბავშვი თბილისი

К81.285
3

ქართული
პოეტები
თბილისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკუბ-2000 ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე მარამბაე

ალიო მირცხულავა

ნიკო შველიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲒᲐᲐᲡᲔᲑᲐ ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐ

(ᲮᲝᲠᲐᲡᲜᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ)

რა მოვედით თბილის-ქალაქს, მეფე დაგვხვდა მხიარული,
დაგვიმადლა გამარჯვება, ეგზომ გრძელი სიარული;
ბუკ-დუმბულთა ზარისაგან აღარ იყო თვალთა რული.
დაჯდა ტახტსა, მიულოცეთ ხმა-ნარნარი, კარგ-უსული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაჰნავაზიანი

აქა თბილისს მოვიდა მაღალი ხემწიფე და განაგო ქორწილი თვისი

თბილისს მოვიდა ტახტზედან, ქნა ქორწილისა გაგება;
წიგნი გასწერეს ყოველგნით, შესთვალეს დიდად მზადება:
„ადრე მოდითო, ნუ გინდათ სიგვიანე და კვლადება;
ამა გვირგვინთა დახურვა თვით არის ღვთისა წადება“.

მოვიდენ დიდნი თავადნი, თან ბანოანი ჰყვებოდა;
მოსდევს რიგი და გაგება მის უფრო არ ეგებოდა;
სრულად აივსო ქალაქი, ზოგი ნაპირად დგებოდა;
ერისთვებსა და უფროსთა ხემწიფე გაეგებოდა.

თვალუწთომელსა მინდორსა დადგეს სეფა და კარავი;
გარ შემოავლეს თეჯირი, მას ვერას ავნებს მპარავი;
მოჰფინეს ორხოვებითა, ოქსინოთ შენაკარავი;
ტახტი დაუდგეს მურასა, დაჯდების მტერთა მზარავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომართეს რიგი ყოველი, რაცა ლხინისა წესია;
საჭმელი ფერად-ფერადი, შაქრისგანც უამესია;
სხვა და სხვა რიგი შილანი, ერთმანეთს უკეთესია;
შეიქნა წვევა, მოწვევა, მასპინძლობს ზესთა ზესია.

თბილის-ქალაქი შეამკო, არ ითქმის კაცთა ენითა;
დუქან-ბაზარი გამართა ბალახანითა ზენითა;
ყოფილა უცხოს თემთაგან, აივსო მუდამ დენითა;
ასი ზომა სჭირს სიკეთე, ამაზე რაცა ვთქვენითა.

რა გიამბო, ძვირ-საფასო იშოების თუ რა ლალი,
სიტკბოება მრავალ ფერად გამოისმის თურალალი.
ზოგს დაბმია სასაუბრო, რას იძრახებს თურ ალალი,
ბევრი მივა სავაჭრელად, მათ შეჰქნია თურა ლალი.

ამ რიგათ მორთო ქვეყანა, სიმდიდრით მეტისმეტითა;
იყო ზათქი და ზეიმი, თვალნი ვერ გაძღის ჭვრეტითა;
მინდვრად დადგიან კარვები, უფროსი ოქროს სვეტითა;
უცხო თემთაგან მოსულთა ქება თქვეს ნატრა ნეტითა.

ხემწიფის ტახტი საკადრად დგას ქალაქს შუაგულოსა;
სრა და ოთაღთა სიკეთე კაცმა ვით განიგულოსა;
ოქრო მელნითა სურათი ტანს მოსვით მას აგულოსა;
ყოლგნით მოვიდის მნახველი, კარი არ დაეგულოსა.

სახლი სალხინოდ ნაგები, მტკვარს ადგა ტურფა თალარი.
ფრანგთ ოსტატთაგან ნაგები, მათგანვე განათალარი.
ჰკრეს მათნი ხელოვნებანი, მომართეს ამო თალარი.
ხემწიფე, ლხინთა ჩვეული, უბოძის მოყმეთა ლარი.

იგ ბაღსა შუა სალხინოდ მორთვით დგას აჲნახანები;
მისსა მნახველსა სარჩლა აქვს, გულო, ნუ ხელობ, ხან ები;
ეშყი სურვილთა ბადეა, ხან ძილი მისწევს, ხან ები;
მათ მოსძულდების სამყოფი, რა შევლენ, ნახვენ ხანები.

სურა დგას იაგუნდისა, სხვა ზურმუხტისა თასები,
შირაზულისა ღვინითა არის უწყვეტლად სავსები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა თვალ-გუარის ხონები, კაცთაგან დაუფასები;
შევლენ, დალევენ ფიალას იგ დიდებულთა ხასები.

გუარით არის მოცული, თვალს აღარა აქვს ტევანი;
ხშირად მიუბამს, ჰკიდია მარგალიტისა მტევანი;
ნახჩი აქვს იაგუნდისა და ზურმუხტისა ხევანი;
კარს წინ მოუდგამს საჩრდილად სრავ ზაბარჯისა სევანი.

წყალი დის, ავზი სავსეა, მებაღე ვარდსა რწყვიდისა;
რა გაზაფხული მოვიდის, სადენლად არ დასწყვიტისა;
ვარდის წყლით სავსე ყველაი, მინებსა ვერ დასთვლიდისა;
რა დაჭკნის ვარდი, ბულბულმან იმედი გარდასწყვიტისა.

მორთო ყოველი სიმდიდრე, მეფეთ სახლისა წესები;
ოქრო, ვერცხლი და ჩინური, რაც იყო უკეთესები;
იაგუნდისა სურები, არვის ჰქონია ესები;
ბროლისა გობა სასმელად ეყარის დასაკვნესები.

ფარდა, ოქსინოთ ნაკერი, მოვლიან კედელ-ყურესა;
ქვეშ საფენელი სტავრისა, სხვას ნაქსოვს არ უყურესა;
მარგალიტისა სუზანი საფენსა გარდაბურესა;
ამას გავს, სახლი სამყოფი ოქროში გააცურესა.

სრას ავლია ტურფა ბაღი, სულ სურნელობს დღე და ღამე;
ვარდი ყვავის მისებურად, დავადარო სხვა რაღა მე?
ბულბული სცავს მისი ხელი, თქვა: „წავიდე სადაღა მე?
ვპოვე ჩემად სასიცოცხლოდ, ამად ვიქენ სადაღამე!“

სხვა ყვავილთა ფეროვნება არ იქების კაცთა ენით;
ზამბახი და იასამან, თვით ყაყაჩო ვით ვაქენით?
ნარგიზისა ფერი მამწონს, სხვა რა უქო სულთა დენით?
ვარდი მეფობს ყვავილზედან, ილალვიან ცუდად რბენით.

ვერ დავსთვალე ოქროს კოკა, დააწყვიან მგონი ასი,
მნახველთაგან მოსაწონი, იგი უცხო დასაფასი;
ჩარა ძნელად დასალევი, გორად ჰყრია ოქროს თასი,
თვალი უსხდა გამჭვირვალი, მოსაწონი არ თუ ნასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეექვსე

რა სჯობს მაისში ტფილისსა

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა!
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა?
მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს, ეს ხასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გურამიშვილი

ჭირი ქართლისა

რუსთ ხელმწიფისაგან ქართველთ მეფის ვახტანგის თავისთან მიპატიჟება

აქ ცხადად ითქმის ყველაი დასაბამ-დასასრულისა,
მეფის ვახტანგის ამბავი, მოწყალის, სიბრძნით სრულისა,
მაზედან ქართლის არაკი, მტერთაგან გაბასრულისა,
მერმე თვით ჩემის თავისა, დაკარგულ, დაბაწრულისა.

იჯდა ყაენად შაჰ-თამაზ, ძე ძისა შაბაზისა.
მან შექნა ბილწად დრანჯობა, ბევრი ღვინო სვა ვაზისა,
აღარ ახსოვნდის სიმთვრალით ხელში მირთმევა არზისა,
მით სამართალი დაფასდის ცხრა ქანქრად ცხრა აბაზისა.

შეყვარებოდა ორივ მას — ლოთობა, მეძაობანი;
მით დაჰბნეოდა, წართმოდა თავისი ჭკვა და ცნობანი.
შუდამ შინ იჯდის განცხრომით, ვერ გასძლის გარეობანი,
მის გამო ვეღარ შეიძლო მან ქვეყნის პატრონობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან წამხდარი საქმენი სხვა მოგახსენო რაღანი?
სამხრეთით აღძრა ოსმალო, აღმოსავლეთით ავღანი;
ჩრდილეთის მხარეს რუსეთსა გილანით მისცა დავღანი,
დაღისტნით ქართლსა, კახეთსა წაართო ყუმაშ-ყავღანი.

მით გასახმილდა წინწკალი, გრიგლად გარდიქცა სიონი,
მისგან შეირყა მეტეხი, მისგან დაიქცა სიონი;
მან ვახტანგ, ძე ლევანისა, შეიპყრა ბაგრატიონი,
უპატიოდ ყვნა შვიდ წლამდის იგ დიდათ საპატიონი.

კურთხეულმცა არს ღვთისაგან პეტრეს ხელმწიფის ხსენება!
რა საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება;
ზღვა გავლო, დაჰკრა ავღანთა, სოლაღს დაუწყო შენება,
დაღისტანს მიხვდა ღვთის რისხვა, მრავალგზით განაწყენება.

ხრმლის სიფოლადეს სპარსთასა ჟამი რამ მიხვდა ლბობისა;
ხმა დაუმდაბლდათ, მოულბათ სიტყვის თქმა ამაყობისა,
რა ნახეს ცეცხლი ნაწვიმი ყუმბარისა თუ ბომბისა.
ვაიმე, კარგთა სათქმელთა ძალი არ შემწევს მბობისა!

ხელმწიფემ ვახტანგს მისწერა: მოდი, მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო,
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზედ მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებრ მამადო.

მდივანთ ხელმწიფის ბრძანება რა შეასრულეს წერითა,
დაბეჭდეს, შეკრეს, შეხვიეს ზარქაშის მონაჭერითა.
კვლავ ჩაფარ-ელჩთა უწოდეს სასწრაფოდ გულის ძგერითა,
უთხრეს: თუ ჩქარად არ ივლით, ვერ გასძღეთ მზისა ცქერითა!

მათ ჰკადრეს „ტოჩას სუდარი“ , სიტყვის თქმა მათი სწრაფისა.
ცხენთა შესხდენ და გაქუსლეს, სიტყვა თქვეს რა მუქაფისა.
მესამეს მწუხრზედ, ნობათთა რა ცემა იწყეს დაფისა,
შევლეს ციხე და ქალაქი, კარები სეიდაბისა.

საღამოს ჟამსა ხალვათად მეფე თვით იჯდა მარტოდა;
ქვეყნის არევის მიზეზით გულს სევდა მას მიმატოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლითგან ნახა, სირბილით კიბეზე კაცი ახტოდა,
რასაც ის კაცი იტყოდა, გულითაც მას ინატროდა.

ვით სითბოთ ვარდმან ყვავილი, სუნი გამოსცეს იამა,
დაბუხებულმან, ნაზამთრმა მხარი აღისხას ჭიამა,
დიდის სიცხითა მაშვრალსა აამოს სიო-ნიავმა, —
ეგრეთ ხელმწიფის ბრძანება მეფეს რა ესმა, იამა.

კახის ბატონის მოციქულების დაჭერა ქართველის ბატონისაგან

მიუხაროდათ დიაკვნებს საქართლოდ გაჩაფრულებსა:
„გვაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალს ფრულებსა;
საქონლით სავსეს მოვასხამთ ჯორ-აქლემთ დაყათრულებსა!“
ეს არ ეგონათ, საკანში ჩაყრიდენ ხელ-შეკრულებსა!

ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს ნურითა,
მეორემ — თევზით გავძღები ზურგიელ-გელაქნურითა,
ბესამემ — მივიბრუჟები ღვინითა ატენურითა,
მეოთხემ — კიდეც დაგვთოკვენ საბლითა მაზმანურითა!

ვით მდინარე ღვარ-შერთული ზვირთს ისვრიდეს, სჩქეფდეს დიდად,
მას ქვეითმან ვერ შებედოს, გადოს რამე მაზე ხიდად;
გატყდეს ხიდი, ზედ მავალნი გახდეს ხავსთა მოსაჭიდად,
ეგრეთ ბერებს მოუვიდათ, რაც მოგითხარ, მაგალითად.

მეფე დახვდათ ჯავრიანად, შესაზარი შესახედლად,
მისგან ბერებს გაუძნელდათ პირად სიტყვა შესაბედლად;
გამოიღეს წიგნი წინა, მიიმძღვარეს საფარ-კედლად,
მიართვეს და ზოზღნად რასმე სიტყვას მოყვნენ ერთობ ღედლად.

მეფე წიგნის კითხვას მოყვა, ბერებს აღარ უგდო ყური,
წაიკითხა, რაღაც ნახა სიტყვა ყიფურ-ამაყური;
პირსა ოფლი მოედინა, თავს დაადგა სიცხის ბური.
თივა ცეცხლს ხვდა, ქარმან ჰქროლა, ალმან შექნა აწ გურგური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახდა ვითა ნაკვერცხალი, მეტის წყენით ექცა ფერი.
ბერებს უთხრა: „რად მოგქონდათ თქვენ ასეთი დანაწერი;
რასთვის იმას არ ურჩივეთ, ზედ თუ გესხათ ულვაშ წვერი;
თუ არა და წყალს არ სცვივდით, თუმცა გაღონებდათ მწერი!“

„რად არა ხართ მონასტერში, არ ილოცავთ, ღმერთს არ ესავთ?
გამოსულხართ და დასდიხართ, ენაობთ და ჩხუბსა სთესავთ;
ჩვენთა ხრმალთა გამახულთა მაგით უფრო თქვენ აღლესავთ,
ღმერთი როგორ დაიდუმებს, არა გკითხავსთ მაგდენს თქვენს ავთ!“

კახ-ბატონსა წინა დღითვე მზასა ყვანდა თვისი ჯარი;
იგ რა ესმა, წამოვიდა, დაიჭირა ავლაბარი;
ნარიყალა მიმბაშს ეპყრა, შაის-ტახტი, ციხის კარი.
რა მოვიდა, ფიცხლავ მოსცა, გაიკეთა მუნ საფარი.

შემოებნენ, დაამარცხეს, მან მიმართა მუხრახ-ჭარსა;
უთხრა: ქართველთ გამაწბილეს, არც მე შავჭამ იმათ ჯავრსა;
შეიპირა ჭარელები, სასყიდელი მისცა ჯარსა,
წაუძღვა და ხელმეორედ მიაყენა ჯარი კარსა.

ქართლს, კახეთსა გარდეხადა მაშინ ღვთისა საფარველნი,
ოდეს გარსა შემოადგნენ თიფლის კახნი და ჭარელნი!
გაუთენდათ სომეხებსა დღე შაბათი საზარელნი,
ზოგი მოკლეს, ზოგი დასჭრეს, ზოგს წაგვარეს საყვარელნი!

სალხინოს დღეს მოქალაქე დიაღ ავად შეაქცივეს,
წამოუხვნეს საქონელნი, სახლ-დუქნები დააქცივეს,
დანამარცხეს ქართველთ ჯარი, ვახტანგ მეფე გააქცივეს.
თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქცივეს!

ოსმალოსაგან ქართლის დაჭერა
და ქართველის ბატონის რუსეთს წაბძანება

კახთ ნაჩინჩხლთ წინწკალთ დაერთო ქართველთა ქარი ალზედა;
რა იგი ორნი შეშუღლდენ, ვით ქორნი გარიალზედა,
გამოეღვიძა არწივსა ჩხუბსა და მათს ყრიალზედა,
ბარიელს კლანჭი მან უკრა, სხდენ ორნივ ცარიალზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯობდა იდუმალ ენუკათ ქორთ თვისი სანუკარია,
წილად ერთს მხარი ეწიწკნა, მეორეს საწიწკარია:
სრულ არ მიეცათ მტრისათვის თავიანთ საკენკარია.
თუ ამას ავად ვამბობდე, პაღური ამომკარია.

ვახტანგს ძიმწარის უმწარე ეტკბილა ვითა შაქარი.
ძილ-გაკრთობილმან საზლაპროდ მძინარე შეძრა ხვანთქარი,
აღსაშენებლად სრა-ვანთა გაგზავნა ორი სარქარი,
წინ მოუმძღვარა ხუროთა იესე — ძმა, ძე — ბაქარი.

მოტყუვდენ ხუროთმოძღვარნი, იხმარეს ავნი ხურონი:
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი, საქართლო-საკახურონი
მოშალეს, ვეღარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი.
ყმა და მამულნი მტრებს მისცეს, თვით დარჩნენ უმსახურონი.

მეტად უზომოდ გაჯავრდენ, ვერ გასძლეს გულის ჯავრნია;
აჩქარდენ, ვეღარ გასინჯეს მათ საქმე საშინჯარნია,
მტერთ ნებით კარნი განუღეს მაგროვნად დანაჯარნია,
კახთ იხმეს ლეკნი საშველად, ქართველთ —ოსმალოს ჯარნია!

ოდეს სცნა კახმა ბატონმა, ლაშქარი სარასკარისა
საქართველოსა მოადგა, ვით გოლსა ბრბო ფუტკარისა;
წინაღმდეგობა არ ეძლო, ქმნა მათის სანუკარისა,
წინ მიეგება, მიართვა კლიტენი ციხის კარისა.

ოსმალო თიფლის შევიდა, კარები დახვდათ ღია რა,
იესე მეფე მათ შერჩა, მათს მოძღვარს მან აღიარა;
ვახტანგ რუსეთსა წაბძანდა, რაჭაზედ გარდაიარა.
სხვას იმის ამბავს კვლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგია რა.

კახმა ბატონმა მიმართა ფშავ-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლ-შვილით თვალივსა მძლივ ფეხი მოიკიდესა:
რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა ვერც სთესდეს, ვერცა მკიდესა;
რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ღვინოზე ყიდესა.

შეწუხდენ კახნი-ქართველნი, მიადგათ რა ეს ჭირები.
შეინთქვნენ, შექნეს ფიცებით, ერთმანერთს მისცეს პირები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩივეს: „გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები“.
კახმა ბატონმა მომართა დაბდაბნი და საყვირები.

იესეს მეფეს მოხსენდა, გორს ადგას ქართველთ ჯარები.
მან შეიყარა ოსმალო, იქმნა თიფლისით მარები.
მოხვდენ ერთმანერთს; დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები!

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით;
მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნაღალატევით.

ვაი იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ.
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა, მწირსა თავსა სჭრიდენ;
გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ!

K 81.285
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესე ტლაშაძე

ბაქარიანი

(ბაქარმა დატოვა თბილისი)

წავიდა, მთასა მოება, ვითა მწყაზარი ქორია,
დააგდო თბილის-ქალაქი, იმან გზა გავლო შორია,
არცერთი აღარ ინდომა აქლემი, არცა ჯორია.
სახლი არა აქვს სართული, ნადირთა თანა სწორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მეოთრე

ქება სრისა

ვიყავ ქართლშიგან. მტრისაგან ერთს ალაგს ვერ დავდგებოდი:
იქით და აქათ მუდამით ვლაშქრობდი, ვიარებოდი,
ავს დროს განსაცდელისაგან ჯარშია ვიმყოფებოდი.
სევდისა მოსაქარვებლად ამ სახლებზედა ვშვრებოდი.

ავაშენებდი სასახლეს, საწოლსა აივანებით,
შემკული ზევით — ქვევითა ლამაზად ბალახანებით,
შუაზედ აინახანა დახატვით, მიჭვრიტანებით.
ეს შევასრულე სალხინოდ, შიგ ვსვემდი დოსტაქანებით.

უწინ, სიყრმის დროს, მენახა ნაშენი უცხოებითა,
სამნი მორთულნი სახლები ვარაყით, სარკეებითა,
მეფეებისგან ნაშენი კვეხნით და დაქადებითა,
თითოსა თითო აეგო დიდ ხარჯით და ფასებითა.

როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი,
ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი,
თვით როსტომ ფალავანი და დევნი ეხატა რქიანი,
შაემკო დიდად, დაედვა სახელად როსტომიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სრა მამის ჩემისა, მეფის ერეკლეს გებული,
ხელმწიფეთ საკადრისი და ქვეყნისგან მოწონებული,
სარკით და ოქროს ვარაყით შემთხვევით განათებული,
მეფეთ და დარბაისელთთვის სალხინოდ დამზადებული.

სრა ერთი მეფის ვახტანგის უცხოულებით ნაგები,
საკვირველი და საქები, მას უხდებოდა სარკები,
შუაზედ შანიშინი და აუზით შადრევანები,
ფერად-ფერადის ჯამებით შეხამებული ფანჯრები.

ავზს უხდებოდა შუაზედ ბროლისა ხომლის კიდება,
როს მეფე-სპანი ლხინობდენ, დღეს რომ შეჰქნოდა ბინდება,
შეღამდის, ხომლზედ განწყობილს კელაპტრებს მოეკიდება,
შიგ მსხდომნი კედლებს სჭვრეტდიან, ეგონისთ — გარც გვეკიდება.

ერთიცა სახლი, უზეშთე ერანშიც არ ნახულა და!
იმ სრისა ქება, სიკეთე ქვეყანას ხმა განთქმულა და,
როგორც მას ჰფერობს ქებანი, შესხმა არ ძალმიც სრულადა,
სხვებს სრებსა ყველას ის სჯობდა, მისებრივ არ დადგმულა და.

სრას უხდებოდა ხელმწიფე თაჯითურთ ჯიღებიანი,
თვით მეფე ვახტანგ შიგ მჯდომი ძმებითურთ შვილებიანი,
გვერდს ახლდენ დარბაისელნი, მორთულნი, ბიღებიანი,
უკეთესს რაღას ნახევდა თვალითა კაცი ჭკვიანი?

როს დაუკრავდენ მგოსანნი, ტკბილად დაეწყოთ თქმანია,
მათს ხმაზედ ამღერდებოდენ ბულბული, იადონია,
ის ლხინი და სიხარული უცხო რამ გასაგონია,
მეც ბევრი ვნახე იმ სრაში ლხინი და უკუყრანია.

ამ ცრუმ სოფელმან არ იცის ბოლოსა გატანებაო:
მეფენიცა და სრებიცა სრულ ყველა განქარდებაო,
ვითარებისა ჟამთაგან სამნივე მოიშლებაო,
იმათ აჩრდილად ეს ჩემი სასახლე აშენდებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სრებსა რის გზით შევადრი ამ ჩემსა აგებულსაო?
მართლისა თქმა სჯობს ტყუილსა, ვერ დაუმძიმებ სულსაო;
სახლებთან ბოდიშს მოვითხოვ — ნუ დააკლდებათ გულსაო;
იმათი ერთი კედელი სჯობდა სულ აქა დგმულსაო.

პასუხი სახლისა

„მეფევ, რად გვწუნობ სრაებსა? სხვას აქებ, ჰბრძანებ რაებსა?
სიტყვით აგვიშლი დაებსა, მოჰყვებით თქვენ იგავებსა,
სხვაზედ .გვიძახი ავებსა მაგით ვერ ჩაგვყრი ვაებსა!
ჩვენც მოვიწონებთ თავებსა, უსტა ხელს დაგვითავებსა.

სიტყვებს მოგიგებთ ასებით, გკადრებთ თქვენ გებაასებით:
არ ვართ იმ სრებზე ნასებით, ავშენდით დიდ-დაფასებით.
როს, მეფევ, დასხდეთ დასებით, ღვინოსა სვემდეთ თასებით,
გული გვაქვს ამით სავსებით ასფოდელოსა მსგავსებით.

ვისაც აქ მოსვლა სურისა, კარი არ დაეგულისა;
ვით ირემს წყარო სწყურისა, მე მათი ნახვა მსურისა,
მოყვარული ვარ სტუმრისა, ჩემ-შიგან შემოსულისა,
ჩემთვის უტკბოსნი სულისა, სასიხარულო გულისა.

ვერა მჯობს ერთი სახლია, მშვრეტელთა გულსა სწადია,
ახლოს მაქვს ტურფა ბაღია, მნახველთა დასაქადია,
მიბრძანდით, კარია ღია, ნახოთ კოკობი ვარდია,
საღი, აავსეთ თასია, უკუიყაროთ დარდია!

ჩემებრივ არვინ, მგონია, არ არის საზარონია,
როს ზაფხულისა დრონია, ყვავილნი დაუზრონია,
იმღერონ ტკბილნი ხმანია, ვით სტვენდეს იადონია;
ვინცა ლხინისა მდომია, ის არის გასაგონია!

ნუ მოუწყინებთ, მეფეო, თქვენს ჭირნახულსა სრასა და!
ლხინი მინახონ, უბრძანეთ, ვინცა ვინ გვერდ გახლავსა და,
თუ ავი მასპინძელი ვარ, ნუ ჰკადრებთ თქვენსა თავსა და;
აწ მოგახსენებ ბოდიშით, ხელი მიჰყავით სმასა, და!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს დასხდეთ აივანებში, ან ბალახანას სმიდეთო,
თუცა ვერ დამხიარულდეთ, ანუ თუ მოიწყინდეთო,
ნუმცა აიღებთ სუფრასა, დღე იყოს, შეიბინდეთო,
აქ შემობრძანდით ისევე — ლხინს ნახავთ, როგორც გინდეთო.

ვინც სმით დაიტანს ძალებსა, მეფევ, ნუ დამაბრალებსა,
თუ დალევს დიდს სასმელებსა, აუშლის საქციელებსა,
სიმთვრალე გაახელებსა, ეშმაკი დაახელებსა,
ცოდვაში გარევს მთვრალებსა, წარწყმედს, არ შეიბრალებსა.

ბევრსა ღვინოსა ნუ დალევთ, ცოტასა სმიდეთ გზიანად,
მართებულს ლხინსა ნახევდეთ წყნარად და ნამუსიანად,
აქ გაგიჩნდებათ ზნეობა, თქმა ხუმრობისა ზმიანად,
გალობა დასდებელისა, ვინც იტყვის ტკბილის ხმიანად.

ლხინს ნახევდეთ უცოდველსა, თქვენ განმინათლეთ არეო,
ზნეობა, საქციელები კარგ-გვარად მოიხმარეო,
ჭირვეულობას ვინცა იქთ — და თავი მოიჩქარეო,
მეფევ, უბრძანე პანღურით, ცემით გააგდონ გარეო.

ვინცა ისხდეთ მართებულად ლხინშია, არ მოწყენითა,
ხუმრობას ჩამოართმევდეთ ერთი ერთს კარგ მოსმენითა,
ვის შეუძლიან ხუმრობა სიტყვითა, თუმცა ზმენითა,
მეფეც გიბოძებთ წყალობას, საბოძვრით აივსენითა“.

მეფის პასუხი

„სახლო, სიტყვები გვიბრძანეთ, ბოდიში მართებულები,
მადლს მოგახსენებთ მეფე და თავადნი, დიდებულები,
ლხინით, შვებით და უკუყრით გახლავართ მხიარულები,
აქ კაცი რის გზით მოიწყენს, სადამდის უდგეს სულები!

აქ რაცა კარგი სახლია, არ არის შენისთანაო,
მაგრამ მუხთალმან საწუთრომ ბოლო ვის გაუტანაო!
სჯობდა მეშოვნა სარქრადა მსგავსი მარჩბივისთანაო,
რაც რომ მე შენზედ ხარჯი ვქენ, იმისთვის მიმეტანაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთს ხელმწიფესავით ჩემთვინა საქმე გაეგო,
თომასებრ უმუშაკოთა უცხო სასახლე აეგო,
ჩემს სარქარს ესე სიტყვები უწინვე ადრე გაეგო,
მესწავლებინა იმ გვარად, კეთილს საქმეზედ წაეგო.

სანამ საწოლი სარკითა, ვარაყით შეიმკობოდა,
ორისა წლითა უწინვე სრა ესე აშენდებოდა,
თებერვალისა თვეშია თამამად შესრულდებოდა,
მას ჟამსა ქორონიკონი **უნ მანი ანი** ჯდებოდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპინძისათვის

(დავით სარდლის დაბრუნება თბილისში)

აწ მაშინდლისა ჟამისა რამცა ვითა ვთქვა ფერიჲ:
მახსოვს შესრული ქალაქად, მით ცრემლი თვალთა მერია!
მიჯრით გამოკრფეს მნახავნი, სწყუროდათ შენი მზერია,
იგინიცა დაგნატრიდენ, თუ ვინმცა გყვანდა მტერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვარო ამღვრეულო

მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო!
მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო!
დიბისა ლობდანო ბაზაზიანო,
სირმა-აბრეშუმო ყაზაზიანო,
თვალები, წარბები, ლამაზიანო,
მე რა მაბადია, რა მაზიანო?!

ზოგი კაცი ღვინის სმას ეხვეწება,
ზოგი მეჯლისის ზმას ეხვეწება!
ჩემი ენა გამოთქმას ეხვეწება,
გული მას სტირის, მას ეხვეწება,
დაეხსენ ჩემს ვარდსა, კრაზანიანო!

შენსა ქებას საწერელი ზღვა უნდა!
შენს შემხედავს თავში რაღა ჭკვა უნდა!
განა საყვარელი სხვა-და-სხვა უნდა?
სულ ქვეყანას შენი ნახვა მოუნდა,
გამოდი ღრუბლიდამ, მზევ ნაზიანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, დამიჯერე, ბაღდადის წერო,
ინდოეთის თუთისაებრ იმღერო!..
რა იქნება, ერთხელ მეც დამიჯერო,
ფერჰადის ბებერო, შირინის მტერო,
შე ავო მიჯნურო, შე ბრაზიანო!

ვაჲ, თუ ერთი რიგი ნარდი გასწიო,
მარდი მოჰკლა და ნამარდი გასწიო,
ბულბული ატირო, ვარდი გასწიო,
ნეტა, რომელ ერთის დარდი გასწიო,
ბეჩავ საჲათნოვავ, თავაზიანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე ფერშანგიშვილი

თბილისის აოხრებაზე თქმული 1795 წელს

ქალაქი რომელს გენახებათ ყოვლით ქებული,
ხალხით მორთული, კეკლუც-ნაზი, გალაღებული,
აწ მოდით, ნახეთ, როგორ არის გაოხრებული,
მისნი შვენიერ ქალვაჟნი — დატყვევებული!
ეს რა გარდაგვხდა ძნელი საქმე, ეშმაკ-ქაჯური,
სახლები ყველას სულ დაგვიწვეს მიწურ-გაჯური;
მტერი მოგვადგა, არა კაცი, ხოჯა საჭური,
თვით ლაჩარია, ლაშქრით იყო აღზევებული.
მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს მოთმინებული!
არ წავხდებოდით ასე ძლიერ, მეტისმეტადა,
მეფე ირაკლი სხვა მილეთსა შეჰკრეფდა მზათა.
როგორც გვინახავს მის თათბირი პირველ ჟამითა,
მისი რჩევანი მარად იყო მოწონებული.
მიკვირს, ბატონი თუ რას ფიქრობს მოთმინებული!
ვგონებ, ღვთით რუსმა დაამარცხოს ირან-თურქეთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ ზაალიშვილი

ტ ფ ი ლ ი ს ი

ტფილისო, დედაქალაქო! შემკულო ყოვლისფრითაო,
გარემო ბაღი, ბაღჩანი, ამაღლებულის მთითაო,
უძველეს ყოვლის სოფლისა, წელობით დიდის ხნითაო,
ვის ძალ-უძს ღირსად შეგამკოს, გამომეტყველსა თქმითაო.

სხვანი სხვას ალაგს აქებენ, ულირს არიან ქებისა,
შენს მსგავსსა რასა ჰპოებენ, რათა აქვსთ ენა თნებისა,
შენსას არ ჰყოფენ ხსენებას, უსმენნი ჩემის ცნებისა,
ვის არ უყვარხარ, გიწუნოს, იგიმცა დაიმსებისა.

რა შეგედრება სიკეთით, ხარ ყოვლად განათლებული,
ვითა მზე, ქვეყნის მნათობი, ეგრეთ შენ ლამპრად ნთებული,
ჩვენს ქვეყანას ვინ გესწორვის, ხომ შენ ხარ განდიდებული,
რაც ქვეყნისთვის საჭირო არს, ყოვლითა ხარ აღვსებული.

გარემო შენსა გივიან ბაღნი, მინდორნი და ველნი,
ზაფხულით მუნ მიილტვიან ქალნი, ჭაბუკნი მხცოველნი,
მუტრიბთა და ჩანგთა, ბარბირთ, ხმიანობისა მპოველნი,
რას სიამოვნით სტკბებიან მუნ მსმენნი კაცნი ყოველნი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ მეფეთა სამყოფი და სადგური იყო ესა,
შემდგომ მათსა მთავრობამა მმართველობა აქ აწესა,
მას სხვა ქალაქი არა სჯობს, ცნობილია აწ ეს დღესა.
ნიჭებით და უნაკლულო შეუქმნია მისსა სვესა.

მტკვარი მოუდის უმანკო, სნეულთა სამკურნალები,
ზაფხულით მისსა გარემო ხშირად ყრილობენ ქალები,
ჩაის სმით, სამხრის შექცევით მათს მჭვრეტელთ ეგზვნის თვალები,
ზედ სმიან წითელ ღვინოსა, სიტკბოთი არამთვრალები.

აბანოს მსგავსი რა არის, არ მოიძევის არსადა,
ბუნებით თბილი წყალი სჩქეფს, სნეულთ მკურნალი არსა და,
მუნ მიილტვიან ქალ-ყრმანი საბანოდ, სასუფთავსა და,
გამოვლენ, ელვა-ჰკრთებიან, აშვენებს ცმანი ტანსა და.

ეკლესიანი მშვენიერ შემკულნი ყოვლის ღირსებით,
აღვსილნი სამღვდელოს კრებით, ადიდებენ ღმერთსა ქებით,
სად შეკრბებიან მლოცველნი, ღმერთსა ესვენ განდიდებით,
შეიმოსვენ საღრმთოს მადლსა, გამოვლენ ნიჭით აღვსებით.

რაოდენ იქოს ტფილისი, ყოველნივე ეკადრება,
მას შიგან შენებულებას რა ქვეყანა ედარება?
მპყრობელიც ჰყავს დიდი გვამი, ვითა მასცა ეფერება,
მისი ხსენება მაღლად ხამს, თუ ძალ-მედოს მოგვარება.

ზოგს უქია სხვა ქვეყანა, გარნა ტფილისზე არს შორი,
არა ვყბედობ უსაფუძვლოდ, და არც არის ცუდი ჭორი,
არა ვმლიქვნელობ ენითა, არსად არის მისი სწორი,
ლალვით ქვა მკრიბეთ, თუ ვცრუი, მრავლად მაყარეთ ქვა-ყორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორგელიანი

იარალის

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს,
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა,
ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.

კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათოდეს,
გაცხელებულთა
ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრობდნენ დროსა წარსულსა.

გისმენდე, თუ ვით მდევარის ხმაზე
ჭაბუკნი მხნობით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ წამს შეჭურვილნი.

ვაჲ მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ,
ვითა შურდულებრ, ტრედთ შავარდენნი
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ.

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა
შეჰსწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი
გულს აღბეჭდილად,

როს ერთგულება, სარწმუნოება,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...

გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუკ მხედარნი ყაბახსა ვრცელსა
ტურფად დარახტულ და დაკაზმულნი,
ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად,
ესრედ მოჰქრიან ვითა ნიავი;
ჰკრეს ნაღარასა — განიყვნენ ორად,
აჰა, საამო სჩანს სანახავი.

ცხენთა გრიალი,
შუბთა ტრიალი.
ჯირითთ სრიალი,
ყურთ მაჯთ ბრიალი,
ცხენით ქვე ხტომა,
კვალად შეხტომა,
უზანგთა ცემა
და ხმალთ კრიალი!..
ზოგი არწივსა
ზეცას მფრინავსა
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა.
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა.

ამ ვაჟკაცობრივ შექცევას იგი სიამით მარად უმზერდა შორით,
ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვისთვისაც ვჰსტირით.
წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარიღეს,
აწ უცხოს ცის ქვეშ ზოგსა ვჰჭვრეტთ ოხვრით და ცრემლით ზოგის წმიდა
სამარეს!..

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?
მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
სად აზარფეშა, სად არს მწვანილი?
ღვინის წილ—კვასი, მზისა წილ—ყინვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა
სადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვღოროდსა,
გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“.
გულს ეწუხების რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა,
მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხამბაზი

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო.

ჩამჩი-მელქო

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე რომ იქა ვარ!
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ“!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

რტო ალვისა, შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნთქვა, — შენი სუნთქვა მგონია.
როს მეღირსოს, ვჰსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა რომ ვჰსთქვა — შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანა ვინ არის?
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე ვინა ვარ! —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ ბარათაშვილი

შემოღამება მთაწმიდაზედ

ჰოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქველნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იდუმილობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა, და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა,
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება;
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

სდუმდა ყოველი მუნ არემარე, ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას!
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!
ჰოი, ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი;
მხოლოდ გული გრძნობს, თუ ვითარი სძღვენით მას შვება!

ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრნი მტკვრის პირას

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაქვარდი ცისა კამარა.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!..
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..
მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

. . . . . .

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე ყაბახზედ

მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად საამო,
მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოჰფენს ყაბახსა და კოჯორი დაჰქრის ნიავით,
და მომდინარე ხან ზვირთთცემით, ხან ნელად მტკვარი,
მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ჟამთ მოჩივარი!

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
აქა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი
პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც-მოსილნი,
და მათ გარემო შეფრფინვიდენ ყმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა. —

„სთქვი რამ“, ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,
„თუნდ თავსა უფლად, ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები!“
ყაფლანც, სულდგმული აშიკობით, დაიღიღინებს
გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.
ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ ყმის სევდები
არა აშლოდეს, ჩვენსა ქალსა — ტრფობის ჭირები!

უეცრად მათში დავინახე თეთრკაბიანი
და მეყვსეულად მან მიმიღო ჩემნი ცნობანი.
არ ვიცი, ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?
სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
მას აქეთ თვალი ვეღარ მოვჰკარ და ახლა ერთი
სდგას აქა კრძალვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,
ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი გულთა ჭირისა!
თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდეგი წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე, რომ მეღირსა კვალად
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად!“
„გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ:
ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“.
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!“
ამა სიტყვაზე ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა.
ამ დროს მთოვარემც შუქი თვისი მისტეხა ბროლსა,
რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი — თვალსა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ორბელიანი

იმედი

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;

რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა.
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...

აჰა, ირაკლი, გმირთა გმირი, კახი პატარა:
„ურწმუნოთ მამულს არ მივცემო, არა და არა!“

იბრძვის მთა-ბარში, წინ და უკან, იბრძვის ზედ მტკვარზედ,
იბრძვის ოთხკუთხივ, გარეთ და შინ, ზედ თავის კარზედ;

ებრძვის ქრისტეს მტერთ, დღე და ღამე არ ხუჭავს თვალსა;
საფლავს დიდებულს არ ჩაიტანს სამშობლოს ვალსა!..

მაგრამ ეგ ღვაწლი, დიდი ღვაწლი, კარგი კმა არი!
მტერთა დროშებით მოცულია ქალაქის კარი.

როგორ თუ კმაა? მაშ ირაკლი საყვარელს მამულს,
ქრისტეს მცნებითა განათლებულს, ბუნებით შემკულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცემს ურწმუნოთ უომრადა, სისხლ-დაუღვრელად?
წინ მტერი უდგეს, არ გავიდეს ბრძოლისა ველად?

როგორ? იკისროს — რაც თვით დასცა — სპარსთა მონება
და შერჩეს კიდევ თვალთ სინათლე, თავში გონება?!

ან რაღად უნდა ირაკლისა თავი ცოცხალი,
თუ ქართველთ მეფეს დაერქმევა ყეენის ვალი!

ან თუ აღარ ჰყავს ირაკლისა ერთგულნი ყმანი,
მამულისათვის სასიკვდილოდ მარადის მზანი?

ან თუ შამქორში, ასპინძაში სრულებით გაწყდნენ,
და მათ გმირთაგან ან მათ ძენი არსად არ დარჩნენ?

არა! თან ახლავს კიდევ გმირსა სამი ათასი;
სამი ათასი ქართველ დასი არს დიდი დასი.

ძველნი თავადნი, აზნაურნი მას თან ახლავან,
მწარე ომებში დახვრეტილნი ჩვენ არა გვგვანან!

ქალაქის კარი მაგრად მათგან არს დაჭერილი,
„აქ სულ გავწყდეთო!“ ნათლად გულში აქვთ დაწერილი.

კრწანისის ბოლოს გურამისძე ზარბაზნებს მართავს,
ან მტერს სულ გასწყვეტს, ან მტრის ხელით მოიკლავს ზედ თავს.

მოხუცი მეფე მკვირცხლის თვალით დღეს მტრის ურდოს ზომს,
ხვალ გაუმართავს მტერს ჩვენებურს, მამა-პაპურს ომს.

მაგრამ უეცრად რა ძმა-ყმათა თვალთა მიაქცევს,
თვალთგან ცრემლთ ცხართა უნებურთა მიწაზედ აქცევს.

გენანის ძმანი, შენნი ყმანი? მჭმუნვარე ნუ ხარ;
წინ გაქვს სხვა ვალი, იშრე თვალი, ჩვენთვის ნუ სწუხარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ მზე ჩადის და აბრწყინებს მეტეხზედ ჯვარსა,
მის მადლი ძლევას, გამარჯვებას მისცემს შენს ჯარსა!

აჰა, თენდება ის დიდი დღე, ძნელი საამბოდ...
ქართველნო, ყური დამიგდევით, უნდა გიამბოთ:

სამი ათასი სამოც ათასს წინ დაუხვდება...
დღეს ჩვენი მტკვარი სისხლის ფერად შეიღებება!

აბა შეხედეთ ჩვენს ქართველთა პატარა დასსა,
როგორ იღვწვიან და ებრძვიან სამოც ათასსა!

მაგრამ რა გითხრათ, რა გიამბოთ? ჩვენს უღონო სულს,
ჩვენს გაყინულსა, გაქვავებულს და უგრძნობელს გულს,

მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს,
გმირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი არ მოგვგვრის ცრემლებს!

ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი...

ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსჭამოთ,
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ-ძმათ ცილი ვწამოთ;

ოღონდ კი ჩვენთვის მზე მნათობდეს და ცაში ნუ ჰქუხს,
რა გვენაღვლება, რაც რომ მოხდა მაშინ სოღანლუხს!..

თუ ნათლად გვქონდეს გულის გრძნობა და ნათლად პირნი,
ბევრს მოგვითხრობდნენ არაგვისა და მტკვრის ნაპირნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ერისთავი

ყაბახისადმი

ჰოი, მოედანო, მიყვარდა მე. ჟამს გაზაფხულის
მიმოსვლა შენზედ, დავსტკბებოდი წმინდის ჰაერით,
შენიდგან ვჭვრეტდი მჯდომარესა სატრფოსა გულის,
სეირნობაში დამათრობდი ლეილას მზერით.

ოდეს რაზედმე, ან რისთვისმე, რა ვჭმუნვარებდი,
შენზედ სეირნით მყის კაეშანს განვიქარვებდი!
ვით გრძნობის სარკე ამაო სოფელს დამანახვებდი,
ვითა მეგობარს, ხვაშიადს გულის — შენ გარწმუნებდი!

შენსა პირზედა ვკითხულობდი დროთა ძველთ წარსულთ,
შენზედ ჰსწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ,
შენ შთამბერვიდი ჩემსა შორის ივერთა ტრფობას
და ჩანგზე დაკვრით დავიწყებდი მამულის მკობას.

მითხარ, ხომ ჩემებრ შენცა დროით არ იქმენ ცვლილი?
კვალად ჭაბუკნი შენზედ ჰუნეთ ხომ ახტუნებენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქვი ვინ არის შენი გმირი ტროფობით შეშლილი?
ლეილას თვალნი ნეტარ თუ ვის აწ ეძიებენ?

დახშული კარი მამულისა რო განმეღების,
რომე ერთ-გზისცა კვლავ მეღირსოს შენზედანვე სვლა!
თუ მოაჯირით ლეილაცა განმიღიმდების —
უტევე მოვკვდე, შენ საშუალ მეღირსოს დაფვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე

მტკვრის პირას

ლ. მაღალაშვილს

კვლავ ჩემ-წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვცნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავ წუხილით
შეჰკვნესს მღვრიე ზვირთთ მღერითა დენას.

კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა
ღ.ა აღმეშალა დიდის ხნის წყლული...
შევკვნეს, შევსტირი მე ამა ზვირთთა,
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.

წაგშლიან კვალნი, დროო ნეტარო!
მტვრად აღუგვიხარ საუკუნესა...
მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა

„В труде проходит жизнь его
И не приносит ничего“.

I

გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახვიხარ შენ
კედელთან მწოლი; მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა,
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყლულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია, აბა, რა ჰპოვე?..

II

აი ტვირთ-ქვეშა მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გეღვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება!..
ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოჰქრის დიდკაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა — და, როგორც კოკა,
შენ — კერძო ღვთისა — არ დაგინდო დასამსხვრეველად...
შენ გარდიქეცი ტომარითურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზე იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა:
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!
იმავ დუმილით მიხველ, წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი, — გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს — და არავინ არა გშველიან!..

III

აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმენდავ ოფლსა,
განიერად იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია,
იცდი. საწყალო! — შენი ლუკმა იმის ხელშია!..
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემაც იმას შენთვის ჰშურს,
ხშირად ფასს გიკლებს შიშველს, მშიერს, მწყურვალს, უბედურს...
„ნუ მიტეხ ლუკმას, — ეუბნები, — ღმერთსაც შეხედე!
მე ეგე ლუკმა პირუტყვსავით ზიდვით ვიყიდე“.
შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზე შეგევაჭრება,
ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს — და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება.
ეგრეთ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამ-რიგად განაგრძელებ უღმრთო შრომასა.

IV

შენ სიცოცხლესა დააღამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჰკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.
მოჰკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედავენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები, — და ჩვენ ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ“ ყოფნასა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ ტფილისიც!..

(პოემიდან „აჩრდილი“)

აგერ ტფილისიც!.. ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა,
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართვლის სახელსა,
მათ აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთგზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
ჰლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ქღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერს ღიმილს, —
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას,
ჭმუნვას, სიხარულს და მოქმედობას,
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!
იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ,
ერთნაირად და უფერულადა,
რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ —
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არე-მარესა.
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო, —
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო, —
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერთმეტი ენკენისთვე

(ვუძღვნი იაკობ გოგებაშვილს)

კრწანისის ველი! კრწანისის ველი!
რა საგულისხმო გასაგონია?!
გმირთა კალოა, სისხლით მორწყული,
და ერიც მითი თავმომწონეა!..

სადაც ქართველი კი წამებულა,
ეს სუყველაზე უდიდესია:
მამების კუბო სამარადისოდ
შვილების აკვნად აქ ნათესია!

ეს არის დიდი უღელტეხილი
ჩვენი წარსულის და მომავალის,
მკვდრეთით სიცოცხლის მომნიჭებელი,
ძველზე გამყვანი ახალი კვალის!

აქ რომ კვდებოდენ ჩვენი მამები,
გატაცებული და გამსჭვალული,
სულ სხვა განზრახვით და სხვა იმედით
სიკვდილის წინეთ უძგერდათ გული:

ჰფიქრობდენ: „ჩვენ ვართ უკანასკნელი
სამშობლოს მსხვერპლი, გათავდეს ჭირი!..
და ქრისტეს მცნებას აწ ქვაკუთხედად
უნდა დაედვას „ორთა კავშირი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კავშირი ჯვარით გამყარებული,
კავშირი ძმური და მეგობრული!..
და, ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა,
იყოს წყეული ღვთისგან და კრული!

„ან ვინ იფიქრებს იმის გაწყვეტას,
თუ არ უგნური და უმეცარი?
ძმობა, ერთობა და სიყვარული
ქვეყნისთვის არის ციური ცვარი!..

„ერთობა რჯულის, ერთობა გულის
უფარისევლო და პირდაპირი, —
აი, რა არის სხვადასხვა ტომის
შემხორცებელი წმინდა კავშირი!“

ასე ჰფიქრობდენ, რომ გვიანდერძეს
მათი განზრახვა სახელმძღვანელოდ,
და მათი ღირსი აღარ ვიქნებით,
ეს გრძნობა გულში რომ გავინელოთ!

მოყვრად ვერ ვიცნობთ, ვინც ცივად გვეტყვის:
„შესცვალეთ თქვენი ხორცი და ფერი,
დაჰკარგეთ ენა, ზნეჩვეულება,
უარჰყავთ თქვენი ყოველიფერი!

„წარხოცეთ თქვენი მეხსიერება,
ზოგჯერ აღმძვრელი სინანულისო,
და მაშინ მხოლოდ გახდებით ღირსი
თქვენ ჩვენი ძმობა-სიყვარულისო“.

არა! არ გვჯერა!.. აქ შეცდომაა!..
ასე არ ესმის ქართველს კაცობა!
ჯერ უნდა თვითონ სულით ამაღლდეს,
რომ სხვას მიუძღვნას მერე მან ძმობა.

და ადამიანს რა აამაღლებს,
თუ არ მისივე წმინდა სამშობლო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა, ფერადი ზნე-ჩვეულება,
ვით „წმინდათ-წმინდა“ საამასოფლო?..

ვისაც არ უყვარს მშობელი დედა,
ის მის მაგიერ ვის შეიყვარებს?
ვისაც სძულს თავის სახლი და კარი,
ვინღა გაუღებს სამოყვროდ კარებს?

განა სხვის სახლში შევა ერთგულად
თავისი მტერი და გარეწარი?
თუ არ ქვეშ-ქვეშად, ფარისევლობით,
ვით მოღალატე მონა... მზაკვარი?!..

არა და არა!! ქართველმა იცის
ეს და მიტომაც მრუდედ არ დგამს ფეხს
და გადმონაცემს ძველებისაგან
საშვილიშვილო „ანდერძს“ არა სტეხს!..

და ის „ანდერძიც“ აქ დაიწერა,
„კრწანისის ველზე“, ქართველთა სისხლით,
განმტკიცდა დღეის-დღის მოგონებით
და დაგვირგვინდა დღესვე ასი წლით!..

კურთხეულ იყოს ამიერიდან
და საუკუნოდ სახსენებელი,
ვინც რჯულს და მამულს შესწირა თავი
და სისხლით მორწყო კრწანისის ველი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ფშაველა

1795 წლის სახსოვრად

აგერ ამოდგა აჩრდილი,
აკლდამის კარი გაიღო;
რა ფრიად შეწუხებულა,
ხელში ფრანგული აიღო...
მოჰგვარეს ლურჯი ტაიჭი,
ნალმა ძგრიალი გაიღო.
თვალთაგან ცრემლდანადენსა
სისხლი უცინის მკლავზედა;
მაინც არ ტყდება მოხუცი,
ხელი უვლია ხმალზედა;
გასცქერის ტფილისისაკენ,
აღშფოთებული ძალზედა;
იწვება ჩვენი ქალაქი,
ალი შემჯდარა ალზედა.
იქ მიშველება სწადიან,
თავს ესხმის გუნდი მტერისა;
უხმობს იმერთ და ამერთა,
ვისაც თავი აქვს შველისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუვლენ არაგველები, —
გულგადალევით ელისა.
სადა ჰყავს შავარდნის გუნდი,
ვაჟკაცნი ლომის ფერანი?
ტახტი დაუწვეს მეფესა,
ქვეყანა ქმნილა ვერანი.
სრულ სისხლით გადაბასრულან
მწვანე ივერთა ველანი.
ფარფაშობს აღა-მაჰმადი,
თამაშობს იმის მერანი.
სადაა ქართველთ ბიჭები,
ვით გასძლონ ამის მზერანი?
— ვაჰმე, სადა და სადღაა,
კრწანისზე გასწყდენ ყველანი,
უხმობს, უწოდებს მხედართა...
დადუმებულან ენანი...
თამარს და ვახტანგს მიართვეს
ტანზედ წყლულების თმენანი.
ვაჰ, რომ მათ შთამაოებას
დაგვეხშო ყურთა სმენანი:
სისხლის დაღვრასთან სწორად გვაჩნს
ქაღალდს ნათითხნი მელანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ევდოშვილი

საღამო ქალაქში

ლაჟვარდ ციდანა, ქალაქის მხრებზე
გადმოიშალა ოქროს ზეწარი
და ვარსკვლავებმა ღამის გუშაგსა,
ვით ტურფა სტუმარს, გაუღეს კარი.
მიცურავს მთვარე და თანაც ქალაქს
დასჩერებია, ვით გამოცანას,
დიდსა დარბაზსა სხივებსა ესვრის
და გაღმა ბაღებს უგალობს ნანას!
ვიშ, ამ საღამოს თვით სიყვარულსა
ფრთა გაუშლია, ცელქობს და ფრინავს,
ხან ვარსკვლავს ჩასდევს ცაზე გამკრთალსა,
ხან კი უცინის ბაღიდან ნიავს!

ბედნიერებო, გამოდით გარეთ,
მხოლოდ თქვენთვისა ანათებს მთვარე,
შენ კი, საწყალო, ბედს რო ემდური,
ამ მეჯლისიდან გამოიპარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ, გარწმუნებ, მწვავე იარა
გულს აგეშლება და გაგამწარებს,
ეს ტურფა ღამე თვით ოცნებაში,
შავსა ნაღველსა შემოგაპარებს!

დიდი ქალაქი, ტურფა ქალაქი,
ღელავს, ვითა ზღვა ქარიშხლიანი,
ფარჩათ შრიალი, ვაჭართ თოთქოლი
და არეული ეტლთა გრიალი,
ვით ტალღა-ტალღას სცემს, უერთდება
და შორსა წვდება განაპირ ქუჩებს,
აქ გლახა ლუკმას ყიდულობს ცრემლით,
იქ სატრფო — სატრფოს უკოცნის ტუჩებს.

ჩუ, როიალმაც დაიგრიალა,
თითქოს სიმს მოხვდა სხივი მთვარისა,
მშვიდმა სალამომ, ტკბილმა, საამომ,
ჩანს ვისღაც გული წაახალისა!

ბედნიერებო, გამოდით გარეთ,
მხოლოდ თქვენთვისა ანათებს მთვარე,
შენ კი, საწყალო, არ გაქვს ადგილი,
ამ მეჯლისიდან გამოიპარე!

ჰოი, ქალაქო, სამეჯლიშოთა
მუდამ მორთულო და მოკაზმულო,
ვინ ენდოს შენსა აღელვებულ ზღვას,
რომ არ ატირო, არ უორგულო!
ჰკითხე შენს სპეტაკ მარმარილოებს,
რამდენი ცრემლი იქ დაცემულა
და იმ დარბაზსა, ფარდებ დაშვებულს,
სოდომივით რომ ჩაფიქრებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკითხე: რა ხდება, რამდენი გვამი
შენ ქუჩებიდან იქ გაყიდულა:
ჰკითხე აკლდამებს შენ ჯურღმულებში,
რა აწერია იმათ აჩრდილებს?!
შრომას, ოფლის ღვრას, სიცივეს, შიმშილს
შენ ქუჩებზედა ხელგამოწვდილებს?!

ბედნიერებო, ტურფა საღამოს
მხოლოდ თქვენთვისა ანათებს მთვარე,
შენ კი, საწყალო, არ გაქვს ადგილი,
ამ მეჯლიშიდან სჯობს გაიპარე!

გარწმუნებ, ძმაო, მწარე იარა
გულს აგეშლება და გაგამწარებს,
ეს ტურფა ღამე თვით ოცნებაში
შავსა ნაღველსა შემოგაპარებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იეთიმ გურჯი

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი.

მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარაჯო ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზედ სალოცავად მოვედი.

ჩვენო ციხევ, ძველო ნარიყალაო,
საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო,
შენი შვილი პოლშის ციხემ მმალაო,
სისხლგამშრალი საჩივლელად მოვედი.

დიდო ზარო, ჩვენო სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,
ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო,
ნაწამები საბანაოდ მოვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმანო ჩემნო: ჰაოს, ქართლოსისაო,
გატანჯულსა მიცნობთ დიდი ხნისაო,
გაყიდული ორპირ მეგობრისაო,
გამარჯობათ! იეთიმ-გურჯი მოვედი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



5. ჩვენი თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

თბილისს

ქალაქო, მთებში ჩამჯდარო
არწივის ბუდესავითა,
გალავნიანო კოშკებო,
დაუნგრეველნო ზვავითა,
კედელნო ვარდის ქვისანო,
ქონგურნო კლდისა სალისა,
ქართლის ქალაქთა დედაო,
ქალაქო გორგასალისა!

ქართველთა გულის სავანევ,
დიდთა პოეტთა ბინაო,
რუსთველის დიდო აკვანო,
ძველი დიდებით მბრწყინავო,
დღეს შენი მიწა, შენი ქვა
და წყარო შენი წყალისა
განახლებული კერაა
ახალი ნაპერწკალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვირთველო დიდი წარსულის,
მედროშევ ახალ აზრისა,
გმირულმა შენმა მარჯვენამ
მრავალი მტერი გასრისა.
რამდენი ბრძოლა გვინახავს,
მძლავრობა ცეცხლის ალისა!
გამარჯვებულა ყოველთვის
სიმართლე შენი ხმალისა.

დრო-ჟამმა ვერ დაგაბერა,
ველარ დაგფარა ხავსითა,
და ხალხმა შენი გულისთქმა
ახალ მწვერვალზე აზიდა,
მან აგიყვავა მთა-ბარი,
სიცოცხლე გაგიხალისა,
წინ გაგიშალა სინათლე
უფრო ბრწყინვალე ხვალისა.

ქალაქო, მტკვარზე დამჯდარო
რკინის ჩონჩხიან ტივითა,
უფრო აყვავდი, გაბრწყინდი
ბედნიერების სხივითა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ბ ი ლ ი ს ი

ძველებურად მოჰქუხს მტკვარი,
მოაქანებს მჩქეფარ ტალღებს,
ძველ ამბებით გულდამწვარი
თბილისის კარს შემოაღებს.

ძეშოუვლის ნაპირს მოხრილს,
შემოიხვევს ნისლის მერდინს
და იგონებს მძიმე ოხვრით
მურვან ყრუს და ჯალალ-ედინს.

მაგრამ უცბად იწყებს შფოთვას,
უცნობ ხიდთან თვალს რომ ახელს:
მტკვარი ხედავს ცოცხალ შოთას,
რუსთაველის ხედავს სახეს.

აჰხვეტია ნგრევის მტვერი
ბნელს ჩაკირულ პირველ ფუძეს
და ანათებს მზის ჩანჩქერი
ისტორიის ყვითელ ფურცლებს.

აღარ დარჩა ძველი ჩრდილად,
ძველს ანგრევენ, ახალს სჭედენ,
მზის ყვავილი გადაშლილა
დიდუბიდან ისნის ბჭემდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მეტეხი ყოველ დილით,
მზესთან ერთად თვალს რომ ახელს,
ხედავს შოთას ვეფხვთა ჯირითს
და თბილისის ნათელ სახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ღამე

თბილისის ღამეს შიში სწვევია:
ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური, —
ავჭალას ცეცხლი შემოხვევია,
ანთებულ რკინის ისმის ხმაური.

დაირღვა ძილი და მყუდროება,
მიეცა ღამე ჟრიამულს უჩვევს.
ნაძვის სვეტები თეთრ ურდოებად
შემოესია თბილისის ქუჩებს.

და დაირაზმა შიშველ სვეტების
რკინის ფეხებზე შემდგარი ჯარი,
დატყვევებული ცეცხლის წვეთები
რომ დაარიგოს მეტის სიჩქარით.

ის ავჭალიდან სინათლეს ელის
და მთელი ღამე არ დაიძინებს.
შუშის კბილებით უჭირავს ქსელი,
სადაც მორჩილი ელვა იდინებს.

როცა სვეტები გადაიქცევა
ათასი მთვარის ეშაფოტებად,
სნეული ჩრდილი ცად აიწევა,
იმატებს ღამის გაბოროტება.

ვერას გახდება — ბევრიც იბრძოლოს,
და რომ ინათებს დილა სისხამი,
წავა და სადმე ქალაქის ბოლოს
თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

თბილისი

ნუ დაუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი,
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

მე ისე ლექსს რა გამაბედვინებს,
გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის!
მიწა სჭამს ყველა ჯალალედინებს,
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქის.

და დილით, მზე რომ გააღებს ცისკარს,
ერთს სხივს ჩემსკენაც გამოაგზავნის,
მე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ,
მეც გაჩენილი ვარ გორგასალის.

მეც არ ვუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი,
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საღამო თბილისის ზღვაზე

საღამოვდება, ზღვა ჩრდილებს იფენს,
ტევა აღარ აქვთ აფრებს, იალქნებს,
და ზღვის ზედაპირს, საოცრად ცისფერს,
ჩუმი ნიავი აფორიაქებს.

ჩქერები რჩება ნავების ჩავლით,
და ჩამავალი მზე თვალს ადევნებს,
ღა ჩუმად ამტვრევს ურიცხვი ჭავლი
წყალში ჩასული შუქის სატევრებს.

ხანდახან ისმის დგაფუნი ტალღის,
უეცრად ქარის განავარდებით,
ზღვის ნაპირებთან მიმოდის ხალხი
და ხეივნებში ჩანან ლანდები.

ღაბუდრებულან ტყეში ფრთოსნები,
სადაც მახათა იდგა ტიტველი...
თბილისის ზღვაზე, ჩემი ოცნებით,
ასე ღამდება დღე ხვალინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი — 1942

(პოემიდან „ძლევის ქედი“)

თბილისს მხრები გაუშლია,
შეჰფენია მთათა კალთებს,
საქართველოს დედაქალაქს
სავსე მთვარე დაჰქათქათებს.

ჩაბნელებულ ფანჯრებიდან
სხივი არ კრთის პაწაწინაც,
ვარსკვლავებით სავსე ცის ქვეშ
შუქგამორთულ ქალაქს სძინავს.

ჰქრის ნიავი, კვალს არ აჩენს,
მთვარეს ღრუბლებს არ უჩრდილებს,
სძინავთ დედებს, სძინავთ ბავშვებს
და აკვნებში ჩაკრულ ჩვილებს,

სძინავს თბილისს, ყურს ვინ უგდებს
მტკვრის ოხვრას და ფარულ შრიალს,
გორგასალის მოკლულ ხოხობს
ცაზე ფრთები გაუშლია.

სძინავს თბილისს, ათასი წლის
განსაცდელი ეყო დარდად...
სძინავს თბილისს, მაგრამ უცებ
ვინ ყაჩაღი შემოვარდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად აყვირდენ საყვირები,
ჩამალულნი ჩანიღბულად,
თითქო დანა ერთად დაჰკრეს,
ყველამ ერთად დაიღმუვლა.

ჰგავდა დევთა შეცხადებას,
ცაზე ჩრდილთა მისარხევლად,
ნამქერივით დატრიალდა
უთვალავი ცისარტყელა.

დატრიალდნენ სატევრებად,
მისწვდნენ ზეცის ყველა კუთხეს,
და ბოხი ხმით ქვემეხებმა
ოთხივ მხრიდან დაიქუხეს.

დედამიწა ინძრეოდა,
იმოდენა იდგა ზარი
და სოდომის ნგრევას ჰგავდა
შემოდგომის ცის ზანზარი.

ქანაობდნენ ვარსკვლავები,
თითქო ქარვის მძივებია...
დედაქალაქს, თბილის-ქალაქს,
თურმე როდი სძინებია.

თორნეს ჰგავდა თბილისის ცა,
ხევდა ბნელს და ცეცხლსა ჰყრიდა...
მაშინ ლანდი გორგასალის
წამოვიდა მცხეთის მხრიდან.

მოდიოდა და თბილისი
მოსძახოდა გაშლილ მხრებით:
„გავძელ, თხუთმეტ საუკუნეს,
ნუთუ ახლა აღვიფხვრები?!“

გმირებს უხმო გორგასალმა,
მთიდან ცამდის აიზიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამასი არაგველი
ერთად ადგა კრწანისიდან.

ადგნენ, გმირებს ქვეყნის ჯავრი
ეცვათ ჯაჭვის პერანგებად,
და თბილისმა შორიდანვე
მათაც დარდი შეაგება:

„ბევრჯერ მლეწეს მონგოლებმა,
დამწვა აღა-მაჰმად-ხანმა,
ნუთუ კიდევ, ნუთუ კიდევ
დავიქცევი ამაღამაც?!

მე თბილისი მერქვა, მთხრიდნენ,
მაგრამ კი ვერ გამაცივეს!...“
შუბლშეკრული ბუმბერაზი
ჩუმად იდგა სამასივე.

უცებ შეკრთნენ, დაინახეს:
თბილისის კარს რაზმი გაცდა,
აწყობილი ნაბიჯის ხმა
შემოესმათ ჯარისკაცთა.

ფეხის ხმაზე იფიქრებდი,
ქარი დიდ ტყეს ამრიალებს...
საქართველოს ჯარისკაცნი
დევებს ჰგავდნენ ჯავშნიანებს.

რკინის კედლად ამართულებს
მუხლი ედგათ მტკიცე ბურჯად,
ფრონტისაკენ მიდიოდნენ,
მკერდზე თოფი მიებღუჯათ.

აჩურჩულდნენ აჩრდილები,
მოიხადეს წამით ქუდი
და უშფოთვლად კრწანისისკენ
გაემართა გმირთა გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

თბილისს

შენ ჩემს მაგიერ მტკვარს მოახსენე,
შორით რომ შენკენ მოეხარება,
რომ შენი მიწა და სასახლენი
მას ჩემზე მეტად ვერ ეყვარება.

აპრილს უთხარი (ძველად იცოდნენ
ჩვენში მისგვარი ნაჭრის საბანი),
შენს სიყვარულში ვერ გამისწორდეს,
ბევრიც მოგართვას იასამანი.

შენ მოახსენე მეტეხს, ძველებურს,
ჩემთან შენს ამბორს ნუ ეტანება
და მამადავითს, მთას გაგრძელებულს,
ფეხზე ადგომის მიეც ბრძანება.

მე დაგანახვებ სხვა რამ სიყვარულს,
აპრილს და მტკვარს არ გავეტოლები;
შენმა მიწამ და გზებმა იხარონ,
ნაკლებ ერთგული არ გეყოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს სიყვარულში აპრილს ვაჯობებ,
მეტეხს და მტკვარსაც, ჩემზე ხნიანებს;
ის გულში, როგორც კახეთს მაჭრობა,
ჩვენ გვიდუღს მხოლოდ ადამიანებს.

მზე, შენობა და მიწა მარადი
შენი მე მიყვარს, შენს მოქალაქეს,
არა ვით მტკვარს და აპრილს, არამედ
როგორც უყვარდი სამას არაგველს.

მათ თვის ქალაქთან თავი გასწირეს,
არ გაპარულან მტკვარში მხარულით,
მარად შევნატრი მათს სიყმაწვილეს,
მე მესმის მხოლოდ ეს სიყვარული.

მხოლოდ გმირები გვყავს წინაპარი,
სხვა წინაპარი ჩვენ არ გვყოლია,
ყველა ვაჟკაცის ძარღვი მაგარი
მხოლოდ ჩვენს მკლავში შენახულია.

ჩვენ აგიყვანეთ მაღლა ცადმწვდენით,
(ცა მოგელოდა განა ფირუზი?)
შენი ბრძანებით ვარ გადამწერი
მტკვრის ამწვანებულ სანაპიროსი.

დღეს შენს გაზაფხულს სად გავერიდო,
ყველა უბანს და გზას ახურია,
რა დამდუღრავი და რა ფერადი,
რა ცეცხლიანი გაზაფხულია!

ვერ შევიმაგრებ მე თავს და მორჩა...
როს აყვავდება ბაღშიც შვინდები,
ჩამოვიფხატავ ცხვირ-პირზე ქოჩორს,
შუა ქალაქში ავყიჟინდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განთიადის თოვლი

(ფანქარი)

ქალაქი იწვა ახალ-ნაბანი,
ვერ წაერთმია თავი ძილისთვის;
უცებ გადასძვრა დილით საბანი
და თეთრეულში დარჩა თბილისი.

გაყუჩდა მიწა, ვით წიგნსაცავი,
არ ისმის გზებში ხმები გაბმული,
სდუმს ყველა სახლი, თითქოს სასწაულს
ელოდეს ციდან სულგანაბული.

ჩაფიქრებულა თეთრად ნაქარგი
მთაწმინდა, დღემდე ნოხისებური,
და ქალაქს დასცქერს მთიდან აკაკი,
ღრმად და კეთილად მოხუცებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი თოვლის სიმღერა

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე.
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი.
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია, თუ ფრიალი ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს თეთრად დასახული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც უსაქმურად დანაბერი,
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიო აბრამია

ჩემი თბილისი

აღარ არიან შენი მტრები, დედაქალაქო,
ჩალაგდნენ დიდთა ქარტეხილთა სასტიკი წლები.
ქართველი ხალხის ძლიერების წმინდა ალაგო,
ბრწყინავ, ციმციმებ, საოცნებო ბაღად იშლები.

აღარ აჩნია შენს გულ-მკერდზე დუშმანთა კვალი,
იმათი ძვლებიც აღარ დარჩა, აღარსად არი...
შენს გაშლილ ქუჩებს ელექტრონის უშრეტი ძალით
ძარღვებში უვლის დარკინული მჩქეფარე მტკვარი.

კვლავ აღდგენილა, რაც ოდესღაც ცეცხლში დამწვარა,
რაც შენმა მტრებმა უზოგველად გაატიალეს...
დღეს სასახლეთა სართულები ცამდე ამდგარა
და შენი დროშა სხივმოსილი მაღლა ფრიალებს.

შენ ახლა გქვია: აღდგენილი ერის დიდება,
ხარ საქართველოს უკვდავების მზის მხურვალება.
ქართვლის სამკვიდროვ, შენ ვერავინ დაგეჭიდება,
ცას ეტოქები, რომ წაართვა მას ბრწყინვალება.

ხარ გულამაყი, ჩუქურთმებით ხარ მოკაზმული,
იდიდოს მარად შენი მყარი ფუძემდებელი;
ქალაქთა პაპას გეძახიან... და ხანდაზმული,
ჩემი ხალხივით დგახარ მაინც უბერებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა აკოგბია

ბაზრობა თბილისში

მართლაც დღემდე უნახავი
გავაზური ატმები,
საჭაშნიკოდ სულ ახალი
„ხვანჭკარა“ და „ატენი“.

კოჯორიდან, მთაწმინდიდან
ქარი მოდის თამაშით, —
ჩვენც ბაზრობის ნახვა გვინდა,
რთველიაო ქალაქში.

კანდამსკდარი ბროწეული,
მუშტის ტოლა კაკლები,
ტარო — გმირის მოწეული,
ბუდეშური ნაქები.

და მტევანი ამბობს, — შურით
ასე თქვაო ვენახმა:
„ეს თბილისი ჩვენებური
ნეტავ ჩვენაც გვენახა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუდა დახლზე წამოწვება.
კახურით რომ ავსილა,
ოჯალეში გამომწვევად
შეანათებს თასიდან.

კოლმეურნე ამბობს დახლთან
დევკაცივით მომდგარი:
„მო, ლავაშიც სინჯეთ ახლა
დატოტვილი ხორბალის“.

ვხედავ, ხალხში დგას ამაყად
გმირი სტალინგრადელი,
გუშინ გორში სახლი ნახა
მარადი და ნათელი.

ხედავს ხილთა ცისარტყელას,
ხედავს მართლა შვიდფერად?
და გუგუნებს უწყვეტელად
ჩონგური და სიმღერა.

ფიქრობს, ქართლში თურმე ღვინის
სურნელებაც დაგათრობს...
როგორც ტახი ქანცგაცლილი
თვლემს მწვანილში საზამთრო,

და კალათა, როგორც ნავი,
ხილის ზღვაში ჩასულა,
თითქოს წარღვნა იგრძნო ხვავის,
სურს უნიჩბოდ გაცურვა.

და ზღაპრულის იყო მართლაც
ცხადი გამეორება,
ატმის გორა რომ აღმართა
თმაჭაღარა გორელმა.

იგი ამბობს ლამაზებთან:
„აი, ძღვენი პატარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟმა აღარ დამასვენა
თქვენთვის გამომატანა.

სარძლოს ვეძებ, მუშტარს არა".
ისმის მისი ქარაგმა.
ხელგაშლილად შემომდგარა
შენოდგომის ბარაქა.

კოჯორიდან, მთაწმინდიდან
ქარი მოდის თამაშით, —
ჩვენც ბაზრობის ნახვა გვინდა,
რთველიაო ქალაქში.

ვხედავ ხილთა ცისარტყელას,
ვხედავ მართლა შვიდფერად?
და გუგუნებს უწყვეტელად
ჩონგური და სიმღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

თბილისის ცის ქვეშ

ინათებს დილა... ჭადარს ჭადარი
ეტყვის შაირებს, ეტყვის დიდებას,
წამოვა ლეშხი ვერცხლის მაგვარი
და ქვაფენილებს გაეკიდება.

ინათებს დილა... თბილისის ეშხი
ჩაჯდება ფრთხილად ფოთლების ყდაში;
გადავჭრი ასფალტს, —
და როგორც ტყეში,
ფრინველთა გუნდი გალობას გაშლის.

მერე მტკვრის გასწვრივ, მაღალ შენობებს
გაუთამაშებს ირიბი ქროლვით, —
და ვიდრე ბინდი წაიშლებოდეს,
ქალაქს გადუვლის ფოლადის ორბიც.

დაიმოკლებენ ვარსკვლავნი ჭანგებს,
საყვირის ხმაზე გამოვა ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროლეიბუსი ჩაურბენს ჭადრებს, —
და ელექტრონი ნაპერწკლებს გაჰყრის.

ცა დაიხრება ფერად კალთებით,
ქარვის ნამქერი გაჰყვება ქუჩებს, —
და ლარდარტყმული ათინათები
გაიელვებენ ფანჯრებში უცებ.

ავალ მაღლობზე,
შევდგები ცაცხვთან,
ახლა მეორე მიხმობს მაღლობი;
წამოდგებიან ტალღების მსგავსად
ტკბილი დღეები ჩემი ბალღობის.

დაილეოდა გრძელი ზამთარი,
ფერს დაიდებდა ხე და ხეხილი, —
და ცივგომბორის ცქერით დამტკბარი
მივდევდი აღმართს მკერდგაღეღილი.

ზოგჯერ ტოლბიჭებს ვიმეგობრებდი,
დავრბოდით მინდვრად,
ვკოცნიდით ძეწნებს, —
და მტკიცედ გვწამდა სიტყვა მშობლების,
რომ გაზაფხული მოჰყავდათ მერცხლებს...

და ახლა, როცა ვიგონებ ამას,
გულში ფარული ღიმილი ფეთქავს;
ვაქებ ტოლების ვაჟკაცურ ამაგს, —
და გმირულ შრომას შევხარით ერთად.

ზურმუხტის ფარჩას არ უჩანს ბოლო,
მტკვარი ქვის აკვანს ეამბორება, —
და მჯერა, ნამდვილ გაზაფხულს მხოლოდ
ჰქმნის ხალხის მაჯა, ხალხის გონება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი

არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

ყველა ხევსური და ყველა სვანი,
ქართველი ქალი თვალებმაყვალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას.

ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,
მერე შეკრთება, ვით მთვარეული
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს.

ქართული ზეცა, ქართული ზვარი,
მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა...
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის პროსპექტი

ის, შენობებში ჩამჯდარი თეთრად,
დიდი რუსთველის სახელს ატარებს,
მოდიან, მაგრამ მასთან შეხვედრა
ვერ გაუბედავთ ქუჩებს პატარებს.

ყოველი ქუჩა კაცის თვალებით
მოდის აქეთკენ და გზას უნდება,
მოვა, შეხედავს მას მოკრძალებით
და მერე ისევ უკან ბრუნდება.

ზოგი წარსულის ამბებს მოჰყვება:
როგორ იწვოდნენ ცეცხლში, ღადარში,
ვახუშტის ქუჩა მტკვარს გამოჰყვება
და მოშორებით ეტრატს გადაშლის.

ბესიკის ქუჩა ამბობს შაირებს:
— მარტო სიმღერა არ დამშვენდება, —
და ჭავჭავაძის ქუჩას ჩაირევს,
თვალს გააყოლებს და გაჩერდება.

ზოგიც ბუტბუტებს,—როგორ დავბერდით.—
(მარადი ყრმობა სურდათ მოხუცებს)
და შურთ რუსთველის პროსპექტის ბედი
ჩახრუხაძის და შავთელის ქუჩებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურთ, მაგრამ მაინც მოდიან დინჯად,
შნოსა და იერს ჰმატებენ ქალაქს,
და როგორც ერთხელ დასახულ მიზანს,
ირგვლივ უვლიან უწმინდეს ალაგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმღერა თბილისზე

შენ გაზარდე ბევრი ბრძენი,
ბედნიერო ქართლის გულო,
საქართველოს მარგალიტო,
საქართველოს თაიგულო!
ბრწყინვალეა შენი აწმყო,
ბრწყინვალეც გაქვს მომავალი,
შენ ხარ ქართლის გულის ვარდი,
საქართველოს ტურფა თვალი!
ქართველები — ბულბულები, შენი ტრფობის ეშხით მთვრალი.
ამზიანდი,
აელვარდი,
რუსთაველის სიბრძნის კვარით!
ვინ დასთვალოს მაქებარი შენი მზის და შენი მთვარის!
ცა გაიხსნა, მზე გამოჩნდა, მთამ ნისლები გადიყარა,
თავისუფალ ჰანგებს მღერის მეტეხი და ნარიყალა.
ცა გაიხსნა,
მზე გამოჩნდა,
მთამ ნისლები გადიყარა!
გშვენის ვარდი და წალკოტი ციურ ცვარით დანამული.
შენზე მღერის, შენზე გალობს მთაში მწყემსის სალამური.
გშვენის ვარდი
და წალკოტი
ციურ ცვარით დანამული!
ვინ აღრიცხოს შენი განძი და ვინ გითხრას ქება შენა?
ვინ დასთვალოს, რაც რომ ხალხმა შენს გულ-მკერდზე ააშენა?
თბილის-ქალაქ საქართველო მოჰქარგა და დაამშვენა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აცომცომდი,
აელვარდი,
შვებისა და ლხენის წყაროვ,
საქართველოს მარგალიტო, საქართველოს ბურჯად მდგარო!
ბედმა ავი აგაშოროს, ქართლის ფუძევ, ამაგდარო,
სანატრელო, სანუკვარო, საქართველოს ტურფა თვალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა აფხაიძე

თბილისო ჩემო!

გტოვებ დროებით, თბილისო ჩემო,
მაგრამ ოცნება მრჩება კვლავ შენთან.
ჩემში ხალისის ცეცხლის გამჩენო,
როგორ ჩაქრება ის სიყვარული,
შენს რიჟრაჟებთან რომ შემაერთა.

სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის
გულში იქროლებს შენი ქარები,
შენი შუქსავსე მუდამ დროშები.
ამიტომ არის შენი ბაღების
და ცათა ხილვას რომ ვეჩქარები.

ჩემო თბილისო, აშენებულო,
დამშვენებულო, მთებმოხატულო,
შენი სივრცენი რარიგ განათდა,
და სილამაზე შენ მიდამოთა
დღითი დღე უფრო ღვივის, მატულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხალხს სიცოცხლე, იმ ხალხს დიდება
შენი გენია ვინაც არწია.
ვინაც მტკვარს მისცა მშვიდი დინება
და კომუნიზმის ხარაჩოები
დადგა, აშენა, მაღლა ასწია.

გტოვებ დროებით, ოცნებავ ჩემო,
მაგრამ სულ მალე გიხილავ ისევ,
შენ ჩემი გულის ცეცხლის გამჩენო,
ვერც კი გავიგე, შენს სიყვარულში
დავბერდი ისე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მიხარია

რა მიხარია, როს განშორების
შემდეგ კვლავ თბილისს ვუახლოვდები,
და შავნაბადა დღის ცხელ ბურუსში
ამეყუდება წინ როგორც დევი.

როცა თბილისის პირველი შუქის
მომხვდება ტალღა და გამაბრუებს,
ან სოღანლუღთან უეცრად ქარი
წინ შემაფეთებს ლაჟვარდთა რუებს.

როცა დავადგამ ფეხს ნაცნობ ქუჩას
და ჩამიქროლებს მტკვარი წარმტაცი, —
ჩემზე კეთილი და ბედნიერი
არ მეგულება ქვეყნად სხვა კაცი.

როცა შორიდან დაბრუნებული
დავდგები ისევ მთაწმინდის ქედთან,
მგონია, თითქოს მაშინ ვსაუბრობ
მისი მშვენების დიდ შემოქმედთან.

და მშობლიური ჰაერით დამთვრალს
მინდა სიმღერა და გულის გახსნა...
რა მიხარია, როცა თბილისის
ცა მტრედისფერი ნამს უხვად მასხამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა გარათაშვილი

გაზაფხული თბილისში

გაზაფხულმა ნაბიჯს აუჩქარა,
რომ მიესწრო მთაწმინდამდე დილისთვის...
გადაკეცა თვალუწვდენი შარა
და რიჟრაჟში ინახულა თბილისი.

დააკვირდა თვალმინაბულ მეგობარს,
„რა გაზრდილა!“ —
გაიკვირვა გაზაფხულმა,
მას თბილისი შარშანდელი ეგონა,
გააოცა სილამაზემ არნახულმა.

ჩაფიქრდა და ცხრა თვე გადათვალა
მეგობართან განშორების დღიდან...
სტალინის მთას შეაჩერა თვალი...
შემდეგ ვაკეს,
ნაძალადევს,
საბურთალოს
დაჰხედა და გულით გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაშალა ჭრელა-ჭრელის ფუთა,
მოტანილი შორეული გზიდან,
და მეგობარს დააბნია სულ მთლად
უამრავი ყვავილები,
სულ სხვადასხვანაირები,
აქამდე რომ სიხარულით ზიდა.

თავს დაადგა მოელვარე გვირგვინი,
გადააცვა საქორწილო კაბა,
მოახვია ნაწნავები გვირილის,
ფეხსამოსი მწვანით მოუქარგა...

გადმოიღო მოვერცხლილი სურა,
გზაშარაზე სადღაც ანავსები,
და მძინარეს ნაზად დაასხურა
უამრავი,
დამსხვრეული,
წვრილი ალმასები.

შეიშმუშნა, გაეღვიძა თბილისს,
შეაგება მოსულს თვალის ციმციმი,
გაახარა ბრწყინვალებამ დილის,
ყვავილების გულიანმა სიცილმა...

დახუნძლული იდგა საჩუქრებით...
რა ხალისით გაიხარა, ვინ იცის?
შეარხია თავმომწონედ მხრები...
და მას შემდეგ ყვავილებში,
სულ სხვადასხვანაირებში,
ზის და ლაღობს მოკაზმული თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტა გერულავა

მე უკვე ვხედავ

ამ წმინდა მთიდან დაგყურებ ახლა
და მსურს ხმამაღლა გელაპარაკო:
შენს გამარჯვებას და წინსვლას ახალს
მე უკვე ვხედავ, დედაქალაქო.

მე უკვე ვხედავ ხვალინდელ დღესაც,
გუშინდელ დღეზე ნათელს და მზიანს.
დიდებას შენსას, სიხარულს შენსას
შენი ერთგული შვილები ზრდიან.

მე უკვე ვხედავ იმ სასახლეებს,
ხვალ რომ რუსთველზე ჩამწკრივდებიან,
ჩამწკრივდებიან, ლაჟვარდს გახევენ
და ქონგურებით ცას მისწვდებიან.

მე უკვე ვხედავ ახალ ჩირაღდნებს,
ხვალ რომ შენს მკერდში გაჩაღდებიან,
გაჩაღდებიან ივრის პირამდეც
და შენი ბჭენი ამაღლდებიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

... მე მთაწმინდიდან დაგყურებ ისევ,
მგონია, ვდგავარ ვარსკვლავთა ზემოთ,
და შენს ხვალინდელ ძახილსაც ვისმენ,
თბილისო ჩემო, დედაო ჩემო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შავი ზღვის პირას ვცხოვრობდი ადრე
და მე მისი მზით ვარ გარუჯული,
იქაურ პალმებს, ალვებს და ჭადრებს,
მგონია, ახსოვთ ჩემი ჩურჩული.

მიყვარდა ზვირთთა ლურჯთა თარეში,
თარეში, სუნთქვა და მიმოქცევა,
მიყვარდა ზღვისპირ შუაღამეში
გარინდება და ლაღი ოცნება...

თბილისში მოსულს ეს მქონდა დარდად,
რომ არ მესმოდა აქ ზღვის ხმაური,
და... ისიც გაჩნდა თბილისის კართან,
სამგორის მხრიდან მოჰქრის ზღვაური.

გუგუნი მისი არა თავდება,
ხეებმა ხმები შეუწყეს ამ ხმას,
ვაშა თბილისის ზღვის დაბადებას!
...მე ზღვისპირელი კაცი ვარ ახლაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უცნობ კოშკზე

ამ უცნობ კოშკზე, ყველა მწვერვალს ზედ რომ დაჰყურებს,
მე და შენ ვდგავართ, მე — სტუმარი, შენ — მასპინძელი.
ძველმა ფიქრებმა საჩინეთშიც მომინახულეს,
მეკითხები და დიდხანს პასუხს ველარ ვიძლევი.

მოსჩანს თუ არა საქართველო აქედან? ვხედავ,
ცას მხრებით როგორ შესდგომია ჩემი მყინვარი,
როგორ ღელავს და მელოდება სამშობლო — დედა
უკვე ჩემს ხილვას მონატრული და უძინარი!

აგერ თბილისი — თვალისჩინი ქართული მიწის,
ქართული მიწის ძლიერება, სიმხნე, სიწმინდე,
ვინ გაიკვირვოს, მუხლმოყრილი რომ ვიდგე მის წინ
და დღენიადაგ ხელებს მხოლოდ მისკენ ვიწვდიდე?

ესეც მთაწმინდა, აჰა, მტკვარი და აი ვაკეც —
ახალგაზრდობის და ოცნების ხალხის უბანი.
ჩემიანები ჩრდილებივით გაჰკვრიან სარკმელს,
მე მაინც მესმის მათი თრთოლვა და საუბარი.

დღეს დილიდანვე ნანკინიდან წერილს ელიან
და ჩემს ოთახში დაძაბული დუმილი დადის.
ო, ქალი, ქალი! წამწამები ისევ სველი აქვს,
რადგან სიზმარი წუხანდელი ჰგონია ცხადი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე სექტემბრისა კაბადონზე კაშკაშებს და... სცრის,
არა, შხეფებად ცვივა დიდი ბუნების მადლი.
ნელინელ, როგორც ანთებული სიცოცხლე კაცის,
ეშვება დაბლა მოწითალო ფოთოლი ჭადრის.

მიწამ, საითაც აწ მიილტვის წიშით და კრძალვით,
მას ხომ სიცოცხლე მიანიჭა და ფერი მწვანე,
იგივე მიწა უკან უხმობს ულმობელ ძალით...
შორდება ხეს და განშორებას განიცდის მწარედ.

თბილა თბილისში, შრიალებენ ქარში კაბები,
(ო, იმ კაბებში ალბათ ბრწყინავს ნანკინის ფარჩაც),
მე სილამაზეს, როგორც წყაროს, დავეწაფები...
რატომ გაოცდი, არაფერი აქედან არ ჩანს?

ვერ ხედავ? აჰა, მომიცია ჩემი თვალები!
წუთით გათხოვებ და — ოდესღაც სისხლით ნაბანი —
მთელი თავისი სიდიადით და ბრწყინვალებით
აელვარდება შენს წინაშე ჩემი მთა-ბარი.

სადაც არ იდგე, დედამიწის რომელ წერტილზე,
იგი ყველაზე უფრო ახლოს მოგეჩვენება,
სადაც არ იყო, გაგინათებს მისი მწველი მზე
და მიწასავით მიწიერი მისი მშვენება.

წაიღე-მეთქი ორივ თვალი — ალმასი ორი,
გასჭერი ცა და გაიღება თბილისის კარი,
უმალვე თავზე დაგადგება კავკასიონი
და გაგაბრუებს მისებური ლივლივით მტკვარი!

...იანძის პირას ზღაპარივით ტკბილი დარია,
ჰიმალაიზე გაცრეცილი ღრუბლები სხედან.
ვდგავართ ამ კოშკზე, როგორც ძმები, და გიხარია,
რომ საქართველოს აქედანაც გარკვევით ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალე ბოგოხიძე

თბილისი

ვხედავ, ხელახლა გაშენებულა,
დგანან სახლები მაღალ ანძებით;
მტკვრის სანაპირო დამშვენებულა
ყვავილებით და მწვანე ნაძვებით.

და თბილისელი მზისგან დამწვარი,
მიკვირს, აქ სიცხეს როგორ უძლებდა?!
დღეს, აქ გაშლილა ბაღი ნაცვარი
და მალე სივრცეც გაფირუზდება.

სოციალისტურ შრომას დავხარით,
სერებს სიმწვანე როგორ უხდებათ!..
ჩვენგან ნაშენი გვხიბლავს ბაღნარი
და მშობელ ქვეყნის გაზურმუხტება!..

მტვრიანი ქუჩა არსად არ არის,
ფერი დაკარგეს ღამის ბინდებმა;
არ ეყოლება მართლაც სადარი,
როცა სამგორიც აბიბინდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროსპექტს ანათებს ალმასის დილა,
დიდ მოედანზე ციმციმებს ცვარი
და მოიმღერის, დუდუნებს ტკბილად
მოდიდებული მდინარე მტკვარი.

რძიანი მდელო ბიბინებს რბილი,
დარგულ ხეებმაც გამართეს ტანი,
რომ დაეხუროს მშობლიურ თბილისს
ფირუზი ცა და ზურმუხტი მთანი!..

ინდუსტრიის მზით ჰყვავის ქალაქი,
ახალ გიგანტებს სიმწვანე იცავს;
გალაღებულა შრომის ბარაქით
მშობელი ქვეყნის ფხვიერი მიწა!..

მზე იძირება ოქროს ვარაყით
და ეფინება მთებს ლურჯი ჩრდილი,
გაინაბება ბაღში ბალახიც,
რომ ღამით ნახოს სიზმარი ტკბილი.

ხან ჰქრის საღამოს ნიავი ცივი,
ღამეც ეშვება თალხიან თავშლით
და ბოძებიდან მომწყდარი სხივი
ოქროს ჯაჭვებით ეშვება მტკვარში.

გზებს ეფინება ჭადრების ჩრდილი,
ზოგჯერ ახალ ხიდს ბინდბუნდი დაჰკრავს;
შეიშმუშნება ყვავილი ჩვილი
და ათასფერად ქვაფენილს ქარგავს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გაბესკირია

ბარათაშვილი მთაწმინდაზე

მალე ნიავი მთაწმინდაზე ცის კარს გააღებს;
მალე მზისა და იის ფერი ღრუბლებს შემოსავს,
ჩამომდგარ დუმილს მთაწმინდაზე სიოც არ არღვევს
და მთვარე თითქოს დაჰყურებსო უიღბლო მგოსანს.

ცაზე კიაფი ვარსკვლავების ნელ-ნელა ქრება,
ის კი კვლავ ქვაზე ჩამომჯდარი, მიწას დაჰყურებს.
მარტოობის ჟამს სურს ერიდოს შემმუსვრელ ფიქრებს,
მაგრამ მას მაინც აგონდება ერთის საყურე.

მისი ღიმილი, მისი ცქერა, ცით მოვლენილი,
ახლაც თვალწინ დგას, მაგრამ მასაც სურს მოერიდოს.
რადგან ბედისგან განწირული, ობლად შთენილი,
არვინ შეინდო.

აი სინათლე, ვით მტრედის ფრთა, შეეხო ტატნობს,
ბზარავს სხივები ცის გუმბათს და მედიდურ მყინვარს!
შეჰყურებს ქვეყნად მზის მოსვლას და თვალებში ტატოს
ცრემლი უბრწყინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი

რუსთაველის პროსპექტის ხეივნის ქვეშ

დიდხანს ვიყავი მე დავრდომილი
და უკვდავების მწყურვალდა წყალი,
ვით აბესალომ მეფეს, რომელიც
იყო სნეული და მკვდარ-ცოცხალი.

მე ახლა მოვრჩი და მიხარია
ამ ხეივნის ქვეშ გასეირნება,
კვლავ შემოდგომის კარგი დარია —
ჩემი გათბობა შუქმა ინება.

თითქოს აკვანი არის შეკრული
მაღალ ტოტების გრილ არტახებით,
თითქოს ნანინა მატკბობს მეგრული
და მიმაქროლებს იალაღებით.

როგორც დედ-მამის ნაზი მკლავები,
გულში მიხუტებს ეს ხეივანი.
ახლა არავის არ ვედავები,
გამიჯანსაღდა გული მტკივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გაჩეჩილაძე

კრწანისი

ეს კრწანისის მინდორ-ველი
როგორ დაინისლა.
თელეთიდან ნიავს მოაქვს
ხმები დაირისა, —

თითქოს სადღაც ფშავ-ხევსურთა
ისმის დაფის ხმანი,
სოღანლულზე ეჩვენებათ
დროშა მაჰმად-ხანის...

რუხ ბალახში გაიელვებს
წამს სინათლე მკრთალი,
იქნებ ისევ იკლაკნება
ყიზილბაშის ხმალი...

არა, სცურავს თეთრი გველი
სადმე შამბის ძირას;
სძინავს სიკვდილს... მტრის დაჟანგულ
ხმლის ნატეხში სძინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის ცაშიც სძინავს ელვას,
არ ჰქუხს საავდარო,
შენ კი სად ხარ, კრწანისელთა
დიდო ალამდარო?

სად ხართ, სადა, ხევსურებო,
ფშავნო, არაგველნო!
ხელში ხმლებით მოქლოშინდით,
მთები გადმოგევლოთ;

მოხველით და არ გაბრუნდით
უკან აღარავინ,
იბრძოდით და არ გეწვოდათ
ხმალთა ნაღარავი,

მაგრამ, გმირნო, ბუკ-ნაღარა,
თქვენ რომ დაუკარით,
ვინ აკრიფა... ვინ გაუღო
მტერს თბილისის კარი?

განა საფლავს ჩაგაყოლეს
მოჩეხილი მხარი!
ვუცქერ... ველზე ჩოხის ნაფლეთს
აფრიალებს ქარი,

თუ კრწანისის მღვრიე ცაში
რომ დაფრინავს ძერა,
მისი ჩრდილი დაფარფატებს
მინდორს ნაცრისფერად;

ჩრდილიც გაჰქრა... სთვლემს კრწანისი
და მიშხუის მტკვარი,
სდუმს მიწაში ჩაწყობილი
კახთ-ბატონის ჯარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც ვდუმვარ... თეთრი ნისლი
რად ჰგავს დედის მანდილს...
ო, ეს დედა, ქართვლის დედა,
თქვენს საფლავზე დადის.

ნაღვლიანი მისი ნანა
ჰაერს აცახცახებს...
ბალახებს ქვეშ, როგორც წყალი,
ხედავს შვილთა სახეს,

თქვენ სიყვარულს მღერის იგი,
გმირნო კრწანისელნო,
რომ სამშობლოს ცხელ მიწაში
წყნარად განისვენოთ;

და როს ზეცას მზე აანთებს,
წითლად გადმომდგარი,
თითქოს თქვენი ფარი ელავს,
სისხლიანი ფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა გელოვანი

ნუ მწერ...

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველოს ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,

რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.

...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.

ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს სახნავს.

მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, —

გეტყვი, რომ მოველ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე

მთაწმინდიდან სმოლენსკამდე გზაა შორი,
უფრო შორი — გზა ბრძოლის და მწუხარების.
გახსოვს ღამე? — გავუძვერით ნაღმებს ორნი
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთეთ ყუმბარები.

გახსოვს დნეპრი? — მღვრიე, როგორც გათენება.
დნეპრზე მღვრიე შემოდგომის მღვრიე ქარი,
დაჩეხილებს თბილისის ცა გვამთელებდა,
ჩვენს საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი.

მე დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს,
ვეტყვი, მხოლოდ, ომში გული არა კვდება,
ვეტყვი, რომ შენ წაიქეცი, როგორც მუხა,
როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება.

გული დარჩა, და როდესაც ხელჩართული
დნეპრს გადაღმა ჩადგა ომის მქუხარება,
მე ვიგრძენი საგულეში შენი გული
და მტრის ბლინდაჟს შევუკეთე ყუმბარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

თბილისის ფუძის ჩამყრელი

მუხრანის ველზე ხშირად ედგა სპარსელს კარავი,
მზეს აშავებდა ზურნის კვნესა გულშემზარავი.
ხშირად მონღოლის, სელჯუკის და შავი არაბის
სისხლმა შეღება ნაპირები მტკვრის და არაგვის.

ბევრჯერ სიკვდილი შემოუხტა თბილისს მგელივით,
ბევრჯერ ქალაქმა დაიბღავლა გულის მთელი ხმით...
და დღეს დგას იგი ათას წარღვნას გადარჩენილი.

ვერაგს ქართული თონის პური შეერგო არმად,
მომხდურს ქართული ქვევრის ღვინო შეერგო არმად,
დუშმანს ქართული ბაღის ხილი შეერგო არმად:
წაიღო ყველა სისხლისმსმელი ქარმა და მტკვარმა.

ჩვენი თბილისი ვერც დანაცრეს, ვერც დაამიწეს,
რადგან ფუძე აქვს თავიდანვე ჩადგმული მტკიცე.
იკითხავ: ქალაქს ვინ ჩაუდგა ასეთი ფუძე,
ათას ცეცხლსა და ათიათას რბევას რომ უძლებს?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ქართველი გლეხი ჯერ დუშმანებს ხოცავდა ისრით
და მერე თბილისს აშენებდა ოფლით და სისხლით.
ღულაბს ასხამდა საძირკველში მოყმე მახარე,
ეცვა ჩოხა და ქალამნები კანჭებს ახრავდნენ.

მას მამულისთვის გული ალალ ბრძმედად უხურდა
და ქვაზე ჭრიდა საჭრეთელით ქართულ ჩუქურთმას.
თბილისს საძირკვლად ქართველ ხალხის ძალ-ღონე უძევს:
აი, რად არის ასე მტკიცე ქალაქის ფუძე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერიშის წინა ღამეს

ვარსკვლავებო, ვიცი ახლა
თქვენ ჩემს თბილისს უმზერთ,
მე კი მისი სიყვარული
მახატია გულზე.
და, როდესაც თქვენ გიცქერით,
თბილისს ვხედავ თითქოს
და მკერდს მითბობს მე თბილისის
სიყვარულის სითბო.
აი, ახლა ჩვენს სანგრებში
არის მშვიდი ღამე...
ჰე, ვარსკვლავნო, ჩემს თბილისზე
მომიყევით რამე.
აქ დუნაი მოდუდუნებს,
მოჰქრის ცივი ქარი,
მე კი თვალწინ მეხატება
არაგვი და მტკვარი.
მერე რა რომ სიყვარულით
გაგიჟება ვიცი:
ვინ დამძრახავს, — საქართველოს
სიყვარულით ვიწვი.
შორს მხარეშიც მათბობს დედის
თმის ნათელი ვერცხლი
და შავთვალა გოგონასგან
მიკიდია ცეცხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ გზა გავლილს სიყვარული
გამიდიდდა უფრო.
თვით ტყვიაც კი ვერ ჩააქრობს
ამ ცეცხლს, მარად უქრობს.
მე სიკვდილზე ფიქრიც არ მსურს,
ლაღ ვარსკვლავებს ვუმზერ,
საქართველოს სიყვარული
მახატია გულზე.
ჰე, ვარსკვლავნო, ჩემს თბილისზე
მომიყევით რამე:
სიცოცხლეზე საუბარში
გავათენოთ ღამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ გვეტაძე

ლენინის მოედანზე

ცამ ოქროს ფარჩა გადმოჰკიდა თბილისის თავზე,
რა მაისია, მზის როგორი შემობრწყინება, —
და მოედანი, ზღვა დროშების აფრებით სავსე,
ხელგაშლით ხვდება მოზეიმე ხალხის დინებას.

აი, მოდიან... რამდენია, ვინ თქვას, ვინ იცის,
გულს სიხარული განთიადის შუქად ედება,
აქ შემოვიდა, აქ შემოკრბა მთელი თბილისი
და საქართველოს ყველა კუთხე აქ იხედება.

თვალში სიცოცხლის უქრობელი ნათელი ელავს
და მხრებს სხვაგვარი ჩადგომია ძალა უჩვევი.
დედა-თბილისის აქ მოსულა უბანი ყველა
და გრძნობ — ერთბაშად გაფართოვდნენ თითქოს ქუჩები.

თითქოს გაისმა ნაბიჯის ხმაც გასაოცარი,
გამოჩნდა იგი, უკვდავი და მზედ მოვლენილი, —
და ახლაც ისე, ახლაც ისე, როგორც ცოცხალი,
ამ ზღვა ხალხის წინ მოედანზე დადგა ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ხომ ჩვენს გულში აგიგია ძეგლი მარადი, —
ეს ხალხი გრგვინავს, იმეორებს მერე ბუნება
და სივრცეები, სივრცეები, საით სადამდი
გაჰგუგუნებენ ამ შეძახილს დაუსრულებლად.

ჰქუხს მოედანი და მაისი თვალში შეჰღიმის
ქუჩებს, ბაღების მწვანე ყდაში ფართოდ გადაშლილს,
ვაშას გუგუნი, როგორც ტალღა ტალღას შეხლილი,
ლაღად მიმოქრის საქართველოს დედაქალაქში.

ის აქ ელვარებს, მიმოჰქრინ ცის ქვეშ ჰანგები,
როგორც ყოველთვის, ის უღიმის რიჟრაჟს პირველი.
ხალხის გულია ამ დიადი ძეგლის ამგები,
ეს მოედანი კვარცხლბეკია და საძირკველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ გაიგებ

თუ შეცქეროდი მის ცას ბროლიანს,
მის მტკვარს და მეტეხს მუდამ იგონებ,
თუ მისი ტრფობით შენც გითრთოლია, —
მაშინ შეიგრძნობ შენ ამ სტრიქონებს.

მაშინ გაიგებ, რისთვის ვუღიმი
მის მზის ქვეშ გავლილ გზის ლაჟვარდობას,
მაშინ მიხვდები, სულის დუღილის
თუ რად მომწყურდა შენთვის განდობა.

ფიქრში იელკებს მწვანე მთაწმინდა,
მყუდრო სავანე მზის და მგოსნების, —
და ის, რაც ერთხელ სულში გაბრწყინდა,
რასაც ინახავ პატიოსნებით;

რასაც თბილისთან — გამზრდელ აკვანთან,
მოჰყავხარ ნამდვილ მოჭირნახულედ,
რაც მოგონებად გულში გაქვავდა
და სიყვარულით გწვავს და გახურებს...

თუ შენშიც თბილი ჰპოვა ალაგი,
თუ ჩემნაირად მუდამ იგონებ,
თუ ერთხელ ნახე თბილის-ქალაქი, —
მაშინ შეიტკბობ შენ ამ სტრიქონებს.

მაშინ გაჰხედავ იმ გზას შუქიანს,
მე რომ შენამდე უნდა ვიარო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მიხვდები, ლექსს რაც უთქვია
შენს გასაგონად და საზიაროდ.

მაშინ შეიგრძნობ იმ წვას, დუღილსაც,
მე რომ სტროფებში ვერ ჩავატიე.
მაშინ გამიგებ და ჩემს გულისთქმას
ბევრს მიუტევებ და აპატიებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟდენ გვეტაძე

პირველი მაისი

ალუბლისფერი გათენდა დილა,
მზე ჰგავდა ახალ ოქროს თუმნიანს.
მიჰქონდა ნისლი, ვით ბამბის ფთილა,
მამლის ყივილზე დაქროლილ ნიავს.

იშმუშნებოდა თბილისი, როგორც
ბავშვი ძუძუსთვის თვალგახელილი.
მტკვარო! საიდან ახლა მოგორავ
ასე წყნარი და ნაფერი ლილით.

იქნებ დაგღალა ზაჰესთან ბრძოლამ,
მიეცი გული მთვარეს გაპარულს...
მზემ უკვე ოქროს ბადე ისროლა,
შენ კი ოცნებობ ტყვესავით ფარულ.

ხედავ მომავალ ხალხს და მაყრიონს,
არეს ატოკებს მათი გუგუნი, —
უჩვევ სიხარულს პეშვით მაყრიან
და გული მღერის, როგორც გუგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგანან ამქრები ზურნით და დაფით, —
მოწყენას იმათ ვინ დააკისრებს...
და მამაჩემი, მოსული დაბით,
გაოცებული **იგრძელებს** კისერს.

უცქერის, ქუჩა ვით აფრიალებს
დროშებს, განბანილს ცრემლებში ძველად
და ქალებს, წითელ თავსაფრიანებს,
ვით ყაყაჩოებს — მოფენილს ველად.

აჰა, დაჰბერა ნიავმაც კოჯრის,
უკვე დავიდა მზე შუბის ტარზე,
ველარა ვხედავ დროშებს აქოჩრილს,
მაგრამ სიმღერა კვლავ ისმის თარზე.

დაღამდა ასე... და დიდი მუხის
ტოტები თბილისს გადაეფარა.
გამოჩნდა მთვარით სერები რუხი,
შორს კი ღრუბლები ბატკნების ფარად.

და როს ამაღლდა მთვარე მზვერავი
და გადმოთოვა ქარვის ნათლები,
იდგა თბილისი, როგორც მოზვერი,
რქებზე დანთებულ ელვის სანთლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოგოლაშვილი

აზერბაიჯანელი გოგონა რუსთაველის პროსპექტზე

როცა დადგება საღამო
მისი თვალების ბადალი,
რუსთველთან წამოეწევა
ტანაყრილ ჭადარს ჭადარი,
მაშინ ჩაივლის ჭადრებთან
მოკრძალებით და თავაზით,
ჩუმად იკითხავს ნიავი:
ვისია ქალი ლამაზი?
— ჩემია! — მტკვარი დუდუნებს
ლხენით ავსილი ტკბილის ხმით,
— ჩემია! — წაიბუბუნებს
გულმკერდგაშლილი თბილისი;
— ჩვენია! — დინჯი ჭადრები
ქოჩრებს ნიავში იშლიან...
ხოხობიც მოიჩრდილება
მაგის თვალ-წარბის ჩრდილშია.

ბაქოში ამ დროს, ვინ იცის,
გულმკერდავსილი ვაზივით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი ქალი სეირნობს
დედა-თბილისის გაზრდილი.
ჯეირნებივით მოქნილნი
ირგვლივ სინათლეს მოსდებენ,
როდესაც ჩაიქროლებენ
ნიზამ განჯელის პროსპექტზე.
თვალს უბრმავებენ კარგები
საზღვრისგადაღმელ მოშურნეს...
— ჩვენია! — გააქვთ ბუბუნი
ცამდე აზიდულ კოშკურებს.
ან ვინ გაგვიყოს სიმდიდრე,
გულს ძმობა შემომრჩენია,
ჩვენია დედა-თბილისი
და დედა-ბაქოც ჩვენია.
ჩვენია ქალი ლამაზი,
გაზრდილი ჩვენი მარჯვენით...
და შეჰღიმიან ერთმანეთს
შოთა და ნიზამ განჯელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გომიაშვილი

თბილისი

ამბობენ: თბილის-ქალაქი
ათას ხუთასი წლის არი.
მცხეთას აფრინდა ხოხობი,
გადაიარა ისანი...
ვახტანგმა მშვილდი მოზიდა,
გულს გაუყარა ისარი
და სადაც იგი დაეცა,
სადაც ტევრ იყო კლდისანი, —
მივიდა, ნახა წყარონი
იმ ძველი თბილისისანი.
და ბრძანა მეფემ: „აშენდეს
ქალაქი — რისხვა მტრისანი“.
ბრძანა და უცბად აშენდა
ნარი, მეტეხი, ისანი —
მტრისათვის მიუკარები
კარები კრწანისისანი,
ამიტომ, თბილის-ქალაქი
ათას ხუთასი წლის არი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ სისხლით სველია
დიდი, სამგორის ველები —
ვახტანგი მტერს მიჰკაფავდა,
მხარს უდგნენ თბილისელები.
მაგრამ დაეცა ვახტანგი,
დაეცნენ ციხის მცველებიც, —
თბილისის კართან დაეცნენ
ის ჩვენი არაგველები.
მოდგა და მოდგა მტრის ჯარი
რუსთავ-სამგორთან, კრწანისთან,
ქაჯებს რჩებოდა თბილისი,
სიმაგრე გორგასალისა...
დაეცა კიდეც ქავ ციხე
და შავმა ურდომ წანისლა
მთელი ქართლი და კახეთი
და მთები დაღისტანისა.

მაგრამ სხვა არის თბილისი,
ადგილი დედა-ქართლისა —
და ჩვენც, პოეტებს, ვალად გვდევს
თქმა სიმღერისა მართლისა!
ხმალს ჟანგი შესჭამს, ჟანგს — მიწა,
თან ცეცხლი წაეკიდება...
მხოლოდ თბილისი სხვა არი,
მტკვარს ხავსი არ ეკიდება —
ათას ხუთასი წელია,
ვმღერით თბილისის დიდებას.
გადაიარეს ნისლებმაც
დიდი კრწანისის ხეობა...
და აღსდგა ისევ თბილისი,
აღსდგა ქართული მხნეობა;
დღეს შეემატა სინათლე
და თბილისს — მოსახლეობა;
თბილისის ყოველ ბაღიდან,
გათლილი ლერწმის ღეროდან —
ლაღი ბულბულის ხმაზედა
დედაქალაქი მღეროდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ვახტანგის დროშია
მტრის ურდო მიწას ბარდნიდა, —
მცხეთას დაჭრილი ხოხობი
თბილისში ჩამოვარდნილა;
დღეს იმავ მცხეთის მიწაზე,
(არა ნაღარა-დაფითა) —
ბებერი მტკვარის აფრიდან
ხოხბების გუნდი აფრინდა.

ახლა სხვა არის თბილისი,
თბილისი ხოხბის ფერია;
მცხეთას დაჭრილი ხოხობი
მტკვრის ზვირთებს გადაერია, —
ცეცხლი ავარდა მტკვარიდან,
განვლო მთები და სერია...
გუნდი და გუნდი ხოხბების
თბილისის თავზე მღერიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმღერა თბილისზე

როდესაც თბილისს გახედავ,
როცა მზე უფრო ბრწყინდება, —
სიმღერა ახალ თბილისზე
არასდროს არ მოგწყინდება.
გახედავ ქუჩებს, მოედნებს,
გული არ დაგიღონდება...
და თუ დროდადრო თბილისის
წარსული მოგაგონდება, —
მოგაგონდება იგი დრო
მრავალ დროების მიმთვლელი,
როცა სტალინმა თბილისში
აღმართა დროშა წითელი.
შემდეგ იმ დროშამ მტკვარიდან
მყინვარი გადაანათა,
ფრთები შეასხა არწივებს,
წინაპრებს ჩვენთა მამათა,
ახლა ის დროშა წითელი
კიდით-კიდემდე ფრიალებს,
მუშას დახარის დაზგასთან,
ყანაში — თავსაფრიანებს.
იმ დროშის ნათელ რხევაში
ქართველი გაშლის კალოებს,
თბილისში ამოადუღებს
ბულაჩაურის წყაროებს. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლადს სჭრის, რუსთავს აშენებს,
სამგორის ველზე ტრიალებს,
ხრამიდან ცეცხლს მოიტაცებს
და თბილისს ააბრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ გორგანელი

საქართველოს გული

ძველთაგან მოდის, რომ აქ თითქოს დიდებულ მეფეს
წყალში მიმინო ჩაუვარდა ხოხობთან ერთად.
ბრძანა: — ქალაქი!.. და ქალაქი აშენდა შემდეგ
და თავის მხრები შემოავლო გარშემო ბჭეთა.

თაობებს მოჰყვა გარდასული ამბავი ესე,
ამიერიდან, გთხოვთ ლეგენდას უწოდებთ ნუღარ.
ქართული მუხა როს პირველად აქ შლიდა ფესვებს,
ქართველი კაციც საძირკველში ასხამდა დუღაბს.

თუ მზის სხივებად დაჰფენია მშვენება გულზე
და კიდით-კიდე გავარდნილა სახელი მისი,
აქ საქართველოს ყველა მხარემ თბილისის ფუძე
სამარადისოთ შეჰკრა თავის ძვლებით და სისხლით.

ვინ თქვას, რამდენჯერ სიკვდილს თვალწინ ჩაუქროლია,
ვინ თქვას, რამდენჯერ გადამტყდარა ლერწამის ღერი·
მე შენთან რა ვარ, მაგრამ მაინც, ასე მგონია,
ათას ხუთასი წელი არი, რაც შენზე ვმღერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეივნებს როცა გადაუვლის ჟუჟუნა წვიმა,
გიყურებ, ვტირი სიხარულით, ტრფობით, ნუგეშით.
ჩემო თბილისო, ისე ჰყვავი და ისე ბრწყინავ,
ახლა შედიხარ, მე მგონია, სიჭაბუკეში.

მე შენს სიბერეს არასოდეს გავივლებ გულში,
მე ხომ ყოველთვის მინდა შენი წინსვლა, სიკეთე.
მე გაზაფხულის მერცხალივით მოვფრინდი გუშინ
და შენს კალთაში სასოებით ბუდეს ვიკეთებ.

რაც გვაქვს, რაც გვიყვარს, საქართველო ამაყობს რითაც,
აქ შენში ფეთქავს, შენში ღვივის, შენში კაშკაშებს.
თბილისო, შენი ერთი მუჭა სპეტაკი მიწა
სად არ ჰქონიათ წაღებული ქართველ ვაჟკაცებს.

თუ რამ გვინახავს ცხრა მთას იქით ულამაზესი,
შენი ბაღები, შენი ზეცა გაგვხსენებია,
შენზე ფიქრისგან წამოვმდგარვართ შუაღამეში
და სიყვარულში, ოცნებაში გაგვთენებია.

ჩემო თბილისო, გაწვდილი მაქვს შენსკენ ხელები,
შენზე სიმღერა, შენზე დარდიც მუდამ ტკბილია.
ვინც აქ მოსულა, ტყვე გამხდარა შენი მშვენების,
მე რომ მიყვარდე, აბა ეს რა გასაკვირია?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასო გოგრგაძე

სიმღერა თბილისზე

თბილისო, კრძალვით გიწოდებთ დედას,
რაოდენ გრძნობის შენ ხარ აღმძვრელი!
შენა ხარ ჩვენი გულების ძგერა
და სიყვარული განუსაზღვრელი.

გაჩაღებული უხსოვარ დროში —
გადურჩი რამდენ ხანძარს, ჯალათებს!
და ახლა ძმობის უძველეს დროშით
ეხმაურები მოძმე ქალაქებს.

როგორ იზარდე! ცაში სვეტებად
აგიტყორცნია მილების ჯარი...
დილით საყვირის ხმას უერთდება
ზღვის გუგუნი და ტყეების ქარი.

გვიძღვის ამაყად შენი დროშები,
გვამხნევებ, გვაწრთობ დიად აზრებით...
ტკბილო მშობელო დიდი მგოსნების,
დიდი გმირების, დიდი სარდლების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის ოქროს ფუნჯით ნავარაყევი —
მიყვარს: მოლურჯო შენი ქედები,
სტადიონები, მწვანე ბაღები,
სასახლეები — თეთრი გედები.

სხვაგან სიცოცხლეს მე არ ვინატრებ,
და არც სიკვდილი სხვაგან არ მინდა...
მსურს მინათებდეს შენი სინათლე,
შენი მტკვარი და შენი მთაწმინდა.

და თუ, შენს მაგარ კედლებთან მბრძოლი,
დავვარდე უცებ მტრის ხელით მკვდარი —
მაშინაც მინდა, წმინდა ვით ბროლი,
გულზე დამეცეს შენი ცის ცვარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ გრიშაშვილი

ჩემი თბილისი

ჩემი თბილისი ლექსის სკა არი,
ჩვენ, პოეტები — შრომის ფუტკრები,
მიყვარს სამშობლოს თხუთმეტი კარი,
მაგრამ თბილისი — განსაკუთრებით.

ძველად რომ მეგრძნო მეათასედი
ის თანაგრძნობა, რაც ეხლა არი,
ლექსში სხვა მარცვალს მოვათავსებდი,
სხვა ექნებოდა ცეცხლს ნაღვერდალი.

მაგრამ ცხოვრებამ ვერ გამამრუდა
და ასე მოველ ხალხის გულამდე.
თბილისის მეზვრე დავრჩები მუდამ
სიყვარულიდან სიყვარულამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის მოედანი

წამო, მითხარ, სადაური კაცი ხარ,
რას დაფრინავ ცაში კამარ-კამარა!
შეხე — ადგილს, ნაომარს და ნაციხარს,
რა ატლასი შემოუკრავს ქამარად.

რომ ახაროს ახალ ნერგებს მაისურს —
„არ არისო ძველებური ქარვასლა“, —
აქ მერცხალსაც უჭიკჭიკოდ არა სურს
მთიდან მთაზე გადაფრენა, გადასვლა.

მხარბეჭიან ისნის აღმართს ემხრობა
ეს ფოლორცი — სიხარულის მთოვარი,
აქ ფიცს იღებს ჩვენი ქვეყნის მხედრობა,
რომ დაიცვას ხალხის მონაპოვარი.

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო
და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში.
გავსცქერ არეს უხინჯოს და უნაღვლოს,
წერეთელის დინჯ შუბლივით გადაშლილს.

ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს!
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!
ეს ჩუქურთმა, ჩამოშლილი ინახად,
თავისუფალ საქართველოს ხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ!
ჩაეზარდე მშობელ მიწას ფესვებით.
ახალ თბილისს — ახალ კოკორს ნაღვიძარს —
უგალობე ნამუსიან ლექსებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ოურბელიანი
კომკავშირის ხეივანში

1

ეს რა ხეა აქ დარგული,
ეს რა ქვები ალაგია,
ეს თბილისი — ქართლის გული —
გორგასალის ქალაქია?

სად წავიდა ვიწრო ქუჩა,
დაგრეხილი, როგორც ვაზი?
ფატმას პირი რატომ უჩანს,
სად ჰყავს თავის ასლამაზი?

არც მურვან ყრუ, არც შაჰ-აბას
აღარ მოჩანს განჯის კართან
და ყაფლანას ქართულ კაბას
გასცვეთია ყოშის კალთა.

ბაღჩა-ბაღებს, ნერგებს, ლერწებს
აუვსიათ ორთაჭალა,
ახალ თბილისს უალერსებს
საქართველოს ნორჩი ძალა.

— ამოძრავდი, დედამიწავ,
გულო, ჩადექ საგულესა!
დრომ მოყვარეს თაფლი მისცა,
მტერს ნაღველი გაულესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

რომ არ ვიგრძნო, განა ხე ვარ?
ყაბახიდან აბანომდის
გამარჯვებულ დროშის რხევა
სათარ-აღას ჰანგად მომდის.

აღარ მოსთქვამს ნიკოს მტკვარი,
არ აწუხებს ძველი ელდა,
ჩანს, სამშობლოს სატკივარი
მოუშუშდა, გაუმთელდა.

უშფოთველად, არხეინად
იღიმება ნარიყალა;
კოჯრის სიომ ამ ხეივანს
ეს თაფშურმაც მიაყარა:

„ვიზრდებით და ცეცხლად ვღვივით,
აღარ გვყოფნის სიგრძე, განი,
რუსთაველის ბეჭებივით
დგას თბილისის გალავანი“.

— ამოძრავდი, დედამიწავ,
გულო, ჩადექ საგულესა!
დრომ მოყვარეს თაფლი მისცა,
მტერს ნაღველი გაულესა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოთხოვება ძველ თბილისთან
ანუ
დუდუკის საარი ქარს ალარ მოაქვს

1

შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუწი, —
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უწინ.

თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირებიხარ ამ ქუჩებს კარგად, —
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.

სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს —
მიხვდები, ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.

მიხვდები, რატომ არ დაერიდა
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას
და რატომ ვცდილობ ამიერიდან
ასე თამამად წარსულის ხილვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, სეირი ჯერ არნახული!
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ ჩანს ურმები მოჩარდახული
ღამისმთევლებით ბოლნისის გზაზე.

ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, —
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით!

კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა, —
ეს ადათები ძველთაგან ძველი
გადაივიწყა სიტყვამ ქართულმა
და დამრჩა სევდა წაუბაძველი.

2

აი, პარმაღზე ვწევარ გულაღმა.
ჩემი ოცნება ფრენას ვერ ითმენს.
აი, აფეთქდა აისი ნაღმად.
აი, ლექსისთვის ვეწვიე რითმებს.

ძველებურ განცდით ვდარაჯობ ნიავს,
რომ შორეული ჰანგი მომფინოს, —
მაგრამ ზურნის ხმა ვიღაცას მიაქვს,
ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს.

დუდუკის ნაცვლად — ქარხნის საყვირი.
დუმბო და ზილი დაახშო რკინამ.
ბულბულს — ყაფაზა, გრძნობას — აღვირი,
აღარც დუდუკი... აღარც ყიჟინა...

და მე არ ვიცი, ვიღას ვემონო,
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი...
ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ,
მე — სხვა ცხოვრების წინამორბედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველო თბილისო! დღეს ისე მკვეთრად
ველარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი...
მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი.

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
ალარ მაქვს, გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გურეშიძე

როდესაც თბილისს ვუახლოვდები

სარკმლიდან ქართლის ტრამალებს ვხედავ,
სალამს მაძლევენ ხეთა ტოტები.
მატარებელი გამოსცდა მცხეთას
და უკვე თბილისს ვუახლოვდები.

მომიალერსა საამო ქარმა,
ბორბლების ჩქარი ისმის სრიალი,
და გულმა, როგორც სადგურის ზარმა,
დარეკა — ჩვენი თბილისი არი!

... როდესაც თბილისს ვშორდები, მაშინ
მე მაგონდება მისი ქუჩები,
მგონია, ქალაქს ვაკლივარ თვალში
და მოწყენილი არი უჩემოდ.

მე აქ დავიწყე დავაჟკაცება,
ჩემო თბილისო, შენი ღვიძლი ვარ,
და ეს გამიგონ სხვა ქალაქებმა,
თუ უშენობა არ შემიძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მოვედით, გულმა ვერ მოისვენა,
ისმის ჩიტების ჟივილ-ხივილი,
აი, სადგურიც, თბილისელები
შემომეგებნენ ალალ ღიმილით.

ძვირფას სახეებს შევხედე მყისვე.
და მატარებლის შედგნენ ბორბლები.
მე მუდამ ახალ სიცოცხლეს ვიწყებ,
როდესაც თბილისს ვუახლოვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ გურჯიძე

თბილისი

აშენებული, დამშვენებული
მახარებს შენი ყველა უბანი,
დედაქალაქო, ვარ შენებური,
შენს განთიადზე მსურს საუბარი.

ჩემს სტრიქონებში შენი შუქია,
შენი ლაჟვარდი რომ შეუქია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანდრო ეული-ქურიძე

მთაწმინდიდან

ასე მგონია, ერის დიდ მგოსანს
ამ მთაზე დააქვს ახალი ფიქრი,
ხან გაოცდება, ღიმილი მოსავს,
მეც მოკრძალებით მგოსანთან მივქრი.
ამბობს: „მოვყავდი აქ ვერან ბილიკს,
აქ ამომქონდა სამშობლოს სევდა,
აქ შავ წარსულით დარბეულ თბილისს
გულში ვიკრავდი, ვით შვილი დედას.
ნუთუ ამ მთაზე შემომაღამდა?
ნუთუ აქ მქონდა ფიქრთა სადგური?
ჩემო კეთილო, ამ მთას არ ჰგავდა
ის მთა, „ვერანი და უდაბური“.
ვხედავ, უბრწყინავს მგოსანს თვალები:
„რა ოსტატობით ნაშენებია —
ახლა თბილისის მკერდს ვარსკვლავები,
როგორც პატარძალს, დამშვენებია“.
ქალაქს დაუვლის არწივის თვალით,
რა უნდა იყოს შეუმჩნეველი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა ვინმეა ჩვენში მტირალი,
შრომას და ბრძოლას შეუჩვეველი?
მტკვრიდან თვალს სტყორცნის მთას მოელვარეს,
თითქოს აქ, ზღვაში გემი დამდგარა,
მტკვარს გაუღიმებს, მთისკენ მლტოლვარე,
ეტყვის: „ნახვამდე, მტკვარო, ანკარავ!“
და ისიც ჩვენთან აქ დროს ატარებს,
სურს უძღვნას თბილისს ახალი ლექსი,
ელექტროს შუქზე ივიწყებს მთვარეს,
და წამოდგება, მისი ხმა გვესმის.
იტყვის: „მერანო, დადექ, სად მიჰქრი?
დღეს საქართველოს ნათელი მოსავს...“
ასე მგონია, ერის დიდ მგოსანს
ამ მთაზე დააქვს ახალი ფიქრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარიტონ ვარდოშვილი

მზიანი დღე

გადასარევი დღეა, გასაოცარი დარი,
ხე შემომცინის ეშხით — ღია სარკმელთან მდგარი.

ოქროსფერ ბინდებს აფენს მიწაზე ზოლი სივრცის,
ასეთი დარი მხოლოდ შემოდგომის მზემ იცის.

შემოდგომის მზემ იცის დაფრქვევა ოქროს ხვავის,
მთებმა — ავსება მკერდის დამათრობელი ჰავით,

თბილისი ამ დროს არის ზღაპრული, მომხიბლავი,
როგორც მზით ავსებული ვეება ოქროს ნავი.

შემოდგომის ტყემ იცის ყვითელი ფარჩის გაშლა,
ბაღების აელვება — თურაშაულმა ვაშლმა.

ბაზარი ვეღარ იტევს დოვლათს დალოცვილ მიწის,
სიუხვე ამნაირი შემოდგომის მზემ იცის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის და მოდის გაბმით, კალათებით თუ ტომრით,
ხორაგი უამრავი ამერ-იმერთა ტომის:

რა გინდა სულო, გულო — ნაირნაირი ხილი,
ყურძენი ლალისფერი, ქართულ თაფლივით ტკბილი.

შუშხუნით ლამის გასკდეს მაჭარით სავსე კოკა,
გულაბს უღვივის ყვითლად მზით შებრაწული ლოყა.

ლეღვი, ატამი, შინდი, კომში და ბროწეული,
ღვივიან ნაირფერი ატლასით, ძოწეულით.

ვით მოსთვლის კაცის ენა, რაც აქ მოდის და მიდის;
თბილისის ბაზარს ამ დროს რძეც არ აკლია ჩიტის!

შემოდგომის დღემ იცის ასეთ დოვლათით მოსვლა,
ჩვენს მიწას, გლეხის გარჯას ამ დროს თვითონ მზეც ლოცავს.

თვალისწარმტაცი დღეა, ზღაპრული, სანუკვარი,
ანკარა ბროლის მსგავსი მიიზლაზნება მტკვარი.

ორთაჭალასთან დრკება, დაჯახებული კაშხალს,
ვეღარ ახერხებს ლაღად ფრთამაღალ ზვირთის გაშლას.

მაგრამ იხილავს როცა გაჩირაღდნებულ თბილისს,
ჭავლებს შეარხევს შვებით, მშვიდდება ვალმოხდილი.

გრძნობს შუქთა გაჩენაში მასაც მიუძღვის წილი,
მტკვარსაც ახარებს, უყვარს თბილისი, როგორც შვილი.

მთაწმინდა დასცქერს ქალაქს—თხემით გამპობი სივრცის.
განა უგულო მთაა, აღტაცებაც იცის, —

ბარათაშვილის მერნის ჭიხვინი როცა ისმის,
ილიას სიბრძნით ქართლი ელავს ღამით და დღისით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის ჰანგთა შუქით შორს იფანტება ნისლი,
ლაღად ბუბუნებს ვაჟა — დიდება ჩვენი მიწის!

მომჯადოები დღეა, მომნიჭებელი ლხენის,
გული შეჰხარის ზეცას, აღსავსე აღმაფრენით,
მწვანეში ჩაფლულ თბილისს ბაჯაღლო ოქრო შვენის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

სიმღერა თბილისზე

თბილისო, დედაქალაქო,
ნათელო უკვდავ თვალისა,
გზას გიშუქებდა ბრძოლაში
მახვილი გორგასალისა.

მტერი რომ უღელს გადგამდა,
ცისკარს უხმობდა ისანი,
გულს ჩაიდუღე მზესავით
ჩაგრულთა წმინდა მიზანი

ვერ დაგიშრიტა მომხდურმა
სიცოცხლის წყარო მჩქეფარე;
შენს სხივანთებულ მწვერვალზე
ჯრმა აღიზარდა მგზნებარე.

ახლა ვის ძალუძს შენს დროშას
მტრული ხმით შემოედაოს:
რუსთველის ღვიძლი დედა ხარ,
ქართველთა დიდო დედაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგაზაფხულო ელფერი
ბაღიდან ბაღზე გადარბის,
გარს გეფინება ზურმუხტი,
მშრომელთა ხელით ნაქარგი.

შორს ვიყო, მაინც შენთან ვარ,
ტკბილო იმედო ხვალისა,
თბილისო, დედაქალაქო,
ნათელო უკვდავ თვალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო თევზაძე

სიმღერა თბილისზე

აინთება დილა თეთრად,
ცაზე მართავს მზე მარულას,
და თბილისი ჩემთან ერთად
მზეს დახვდება მხიარულად.

მზეს დახვდება ლაღად, ლხენით,
მთის კალთებზე შემომჯდარი,
გამოჩნდება სასახლენი,
როგორც ზღვაში გემთა ჯარი.

ვით წარსულის საჩუქარი,
დგას ამაყად ნარიყალა,
ახალ დღეებს მისცა მხარი
და ნისლები გადიყარა.

მტკვარს აკვანი გაუკეთეს,
მოუჭედეს ვერცხლით კიდე,
მიწას ფერი შეუცვალეს,
ცას კოშკები ჩამოჰკიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი სადაც უნდა შედგეს,
მწვანე ბაღი გულ-მკერდს გაშლის,
რომ მშრომელმა შრომის შემდეგ
დაისვენოს მის წიაღში.

უცებ გახსნის ოქროს თვალებს
ღამე ჩუმად მორბენილი,
და თბილისის ცაზე მთვარე
ჩანს ლენინის ორდენივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაოლო იაშვილი

თბილისი

მინდა ავვარდე მამადავითზე,
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ!
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე.

ჩემო ქალაქო! არ დამაკელი
შენ სიხარული მზისგან ფერილი,
თავზე გადგია, როგორც კანკელი,
ცა მოელვარე და აჟღერილი.

ვხედავ, ურმები ლორთქა თივებით
გზას ახარებენ აჭრიალებით;
მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივები,
ვით მოცურავე თეთრი ქალები.

სდუღან ოქროს და წითელ ღვარებად
კვირა დღეებით შენი ქუჩები,
და იცლებიან ოხშივარებად
შენს გარეშემო მთები თუჯების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს ალაყაფთან მსურს დავალაგო
ლექსი — ნაწერი სისხლის წვეთებით,
მილიონ ხმებით სავსე ქალაქო,
დიდი სატახტო ხარ პოეტების!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა კალანდაძე

ასეთი დარი თუ იყო მაშინ

მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან.

ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა.
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კალანდაძე

შადრევანი პუშკინის ბაღში

ბაღს აუხილა მებაღემ თვალი —
აჰყვა შხუილი ნიავის ნათქვამს,
აუზის შუა ავარდა წყალი
და მარმარილოს ხესავით დადგა.

აუზის შუა ავარდა წყალი,
იმსხვრევა, შხუის შხეფების მტვერი!
ონკანში სდუმდა ტუსაღი მცხრალი,
გახსნეს, იქუხა, იცვალა ფერი.

რა შრიალია!.. ჩიტებმა შურით
შხეფების ჩურჩულს დაუგდეს ყური.

დგანან ჭადრები და ჭადრებს იქით,
სადაც მავთული გაუბამთ ეკლის,
ზვიადი მზერით, ამაყი ფიქრით,
გასცქერის ქალაქს პოეტის ძეგლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგანან ჭადრები, ნანამი თქორით,
პუშკინის ძეგლი ჩვენს ქუჩებს ზვერავს,
დგანან ჭადრები და ჭადრებს შორის
ხე-მარმარილო იტაცებს მზერას.

შემოტრიალდი, ქუჩებს რომ ზვერავ,
ერთი ამ ხესაც მოაპყარ მზერა!

ბახჩისარაის შადრევნის სურნელს
შენ ეზიარე მთვარიან ღამით,
წყლის გაგიჟება გიყვარდა თურმე
და სასახლენი გირეი-ხანის.

აქ არც გირეის სასახლენია,
არც მუჰამედის ნახევარმთვარე,
ეს შადრევანი აქაც შენია,
შენგან ნაქები შეგხარის მხარე.

უცებ რომ ქარი გაჩნდეს ამ ხეზე,
ალმასის შხეფებს დაგაყრის მხრებზე.

აუზის შუა იმსხვრევა წყალი,
აბოლდა ბაღში შხეფების მტვერი,
ონკანში სდუმდა ტუსაღი მცხრალი,
გახსნეს, იქუხა, იცვალა ფერი.

გულს გარინდება მოკლავს, თუ მოკლავს,
ლექსს მოედება დუმილის ხავსი.
ნუ გადაკეტავ, მებაღევ, ონკანს,
პოეტს შადრევნის შხეფები ასვი.

პოეტს შადრევნის შხეფები ასვი,
მისი ლექსების შხეფების მსგავსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

ლენინი თბილისში

აქ ერთ ჭერდაბალ ბინას მტკვრისპირად
ჩემი ბავშვობაც ახსოვს უთუოდ...
და რა იქნება, მცირე გვირგვინად
ეს ერთი ლექსიც მას დავუტოვოთ?!

პირველ შუქივით, აქ იყო, ვიცი,
თვალში რომ ცეცხლმა შემომანათა,
პირველად მეც აქ დავდევი ფიცი,
გულწრფელი, როგორც ფიცი მამათა!

იმ ძილგაფრთხობილ ღამეში ვნახე
შინ შემოჭრილი ქარის თარეში,
ვნახე ჟანდარმის წითური სახე
მთრთოლვარ სანთლების სიფერმკრთალეში.

მან ცეცხლს ფურცელი ვერ გამოსტაცა
და ალს პასუხი ვერ აგებინა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქაღალდის ფერფლი, ვით შავი ძაძა,
ქუსლით ჩაქრობილ კერას ეფინა!

არა! ბავშვს გული არ შემკრთობია,
მეც დედის გვერდით ვიდექ, ვით ლანდი,
თვალს მჭრიდა ცეცხლი და იმ თოფიან
მხეცის შემოჭრას ჩუმად ვიტანდი...

სისხლისმსმელივით თვალს აცეცებდა
და წიგნებს გლეჯდა გულაღრენილი, —
ხელნაწერებში ლენინს ეძებდა,
გრძნობდა, რომ ჩვენთან იყო ლენინი!

მე ცხრაასხუთის შემდეგ შემოველ,
დარბეულ თბილისს თავს არ ვადექი,
მაგრამ ვნახე, რომ აჩნდათ შენობებს
ჯორჯიაშვილის ბომბის ნატეხი!

ვიცი, და გულში მაქვს ჩარჩენილი,
ცხრა ძმამ თუ სისხლი როგორ დაღვარა,
დედა-ენასთან ერთად ლენინი
ჩემმა მშობლებმა მეც შემაყვარა!

მიყვარს მებრძოლი ხელმადლიანი,
ხალხს როცა დუხჭირ ღამეს უთენებს,
ხელში ვაშლივით ბომბის ტრიალი,
ვიცი, უყვარდა ცხრაასხუთელებს!

თბილია ჩემთვის თბილისის მკერდი,
განა სამარის ცივი მიწაა,
ნაძალადევის ცხრა ძმაში ერთი,
ძმებო, ალალი ჩემი ბიძაა...

ძმებო, ჩვენს ბრძოლებს, ჩვენს გამარჯვებას
იმედად მუდამ ჰყავდა ლენინი,
აქ მისი დროშა მუდამ დარჩება
უბიდან მჯიღით ამოფრენილი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინი ახლაც ხელაღმართული
ჩვენ შორის დგას და გაჰყურებს მერმისს,
ესმის თბილისის ჩქარი ქართული,
ქართველი ხალხის ნაბიჯი ესმის!

მზით აუნთია ზეცა კრიალა,
გაუფანტია მწუხრი ღრუბლების,
იგი — ბრინჯაოს ძეგლი კი არა —
რწმენაა ჩვენი თავისუფლების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუკთა შეკრება
ლენინის მოედანზე

ყიჟინით უცებ შესძრა ნაღარამ
მშვიდი ქალაქის შვიდივე ხიდი,
მთებზე არბენილ ქუჩებს ახარა
დიდი შუადღე, სიცოცხლე დიდი!

ვრცელ მოედანზე ნაპერწკლებს ისვრის
მკვირცხლი ხალისი ათასთვალება
და პიონერულ სიმღერა-კისკისს
ეფრქვევა ციდან მზის ბრწყინვალება.

ყოველ კუთხიდან მოსულან მარშით,
დროშებიც გაშლით მოუტანიათ,
სილაღე ღვივის ბავშვების ხმაში:
აქ ხომ ლენინის მოედანია!

სამარადისო დიდება ლენინს! —
რომ ქვეყნის გული გაახალისა, —
წითელ ყელსახვევს მაღლა აფრენილს
აჰყვა ხმა დაფის და ნაღარისა!

დე, ამ შეკრებას გრძნობდეს თბილისი,
დე, გრძნობდეს, თუ რა შთაგონებითაც
მოისწრაფოდნენ გზებით, რკინიგზით,
ფეხზე წამომდგარ მთა-გორებიდან!

სუნთქვა აქამდე გამოჰყვა მტკვრის პირს
ახალ ბაღების, ახალ მდელოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოედანზე ტაშის ხმა ისმის
ტოტებშრიალა საქართველოსი!

დროშებს ნიავი არხევს ნელინელ,
ახალ თაობას ვუმზერ და ვიცი:
ჩვენს მერმისს, ისე ვით ნორჩ ლენინელს,
უნდა აქ დასდოს თავისი ფიცი!

აქ, მათთან ერთად ხელამართული
მოედნის ბოლოს ჭადრებიც დგანან,
ჩვენი სიმღერა, ჩვენი ქართული
იმათ შრიალშიც არ ისმის განა?!

დაეჯერებათ მოხუც მოწმეთაც,
რომ ჩრდილქვეშ მისი ნაკვალევია —
ვისაც სიყრმითვე ლენინზე მეტად
ქვეყნად არავინ არ ყვარებია...

სამარადისო დიდება ლენინს! —
გზა ჩვენც აქედან გვაქვს გაკვალული.
სტალინის სახელს სიყრმითვე შვენის
მისი დიდი და ღრმა სიყვარული!

და მზემაც შუქი აქ დააფრქვია,
მერმისი დროშებს კვლავ აქ მოიტანს, —
დიდი ლენინის სახელი ჰქვია
ხალხის გულივით გაშლილ მოედანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის გამზირზე

გამოდი გარეთ, გამოაღე სიმღერით კარი!
გამოდი გარეთ, გამაგონე ფეხის ხმა ჩქარი!..
გაშლილ ქვაფენილს ისე, როგორც ასომთავრული,
დაშვენდა კალმით მიწერილი ყვავილთა პწკარი!

გამოდი გარეთ, გამაგონე ფეხის ხმა ჩქარი!

გამოდი გარეთ, ქუჩა თვითონ გვეპატიჟება,
ვუთხრათ სალამი ახალ ბაღებს, ვუთხრათ დიდება!
დილით შენობის კიბეებთან დარგეს ჭადარი,
შეუფოთვლელი დგას ჯერ კიდევ და ერიდება! —

ვუთხრათ სალამი ახალ ბაღებს, ვუთხრათ დიდება!

გამოდი გარეთ! — საამური მზე და ჩრდილია,
ტაში რომ დაჰკრას — გაზაფხულიც რტოგაშლილია...
შუა ქალაქში მოწიწებით დავდგით კვარცხლბეკი, —
საცაა მოვა აკაკი და მოვა ილია...
ტაში რომ დაჰკრას — გაზაფხულიც რტოგაშლილია!

გამოდი გარეთ, გულო ჩემო, გამოდი გარეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

ჩემი თბილისი

ვბრუნდები... დავთმე სოფლად ნადიმი,
წუხელ წამოსვლა არ დავიზარე.
გორში შემომხვდა დილა ვარდივით
და თბილისამდე ერთად ვიმგზავრეთ.

ისევ თბილისი, მიწა ნაგრძნობი,
განცდა — მაღალი აზრის მიმგნები.
ბევრგან ქუჩებში მხვდება ნაცნობი
და თავმდაბალი ჩემი წიგნები.

ფიქრი და გრძნობა უფრო მკვეთრია,
როცა ვუცქერი ქართლის ამ ადგილს.
მახსოვს, ნაცნობი არ შემხვედრია,
აქ რომ პირველად ფეხი დავადგი.

მახსოვს, ქუჩიდან შუქი მოფრინდა,
ჩემთვის ქალაქის კარის გამღები.
კრძალვით მოვედი, მომყვა სოფლიდან
ჭრელი ხურჯინი, გლეხის წაღები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩნდა ხალათზე გიშრის ღილივით
შავი, უბრალო ძაფის გვირისტი.
მაშინ არ ჰქონდა მტკვარს ეს ღიმილი,
არ იცინოდა ასე თბილისიც.

მაგრამ ღვიოდა მასში ძალ-ღონე,
გამოყოლილი დედის აკვნიდან.
ტკბილად მიმიღო ბიჭი გამგონე
და მშობელივით ხელი ჩამკიდა.

თავზე სხივები გადამაყარა,
მომცა გზა ფართო, გული მაჩვენა;
დამავაჟკაცა და შემაყვარა
ამ ქვეყანაზე ჩემი გაჩენა.

დრომ სიმღერებად გული ახარა,
ფიქრს იტაცებდა ხშირად მთაწმინდა.
თვითონ თბილისიც, სათნო ჭაღარა,
ჩემს წინ ამაღლდა და გაყმაწვილდა.

თბილად ყოველთვის ვიტყვი მის ქებას,
არ შეჩერდება ზრდა ამ ქალაქის.
მეც მსურს ვიზარდო, ჩემმა ფიქრებმაც —
მარად სამშობლოს მზით და ბარაქით;

რომ მთაწმინდაზეც შემეძლოს ასვლა,
მიგრძნოს იქ ბუჩქმა, ქვამ და ბალახმაც;
შემეძლოს იქ მწოლ ლომების მსგავსად
კაცის გულის და ქვეყნის დანახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმის შემდეგ

უცებ მთაწმინდა ნისლმა დაჰბურა,
ქალაქს დაეცა მწყრალად გრგვინვის ხმა,
წვიმა მოვიდა გიჟი, შხაპუნა
და დაიბანა პირი თბილისმა.

...მაგრამ სულ მალე სივრცე გაბრწყინდა,
მზე გამოშუქდა, გაქრნენ ღრუბლები
და გაუცინა ცას და მთაწმინდას
დედაქალაქმაც ფართო უბნებით.

ღიმით მივადექ ღია ფანჯარას,
სიოს საამო ჰანგის მსმენელი,
ეფინებოდნენ ქუჩებს კვლავ ჯარად
დარით დამტკბარი თბილისელები.

გამოიდარა, ფრთა გვკრა ნიავმა,
რა წუთიერი იყო ავდარი!
ბაღებს ეამათ, ქუჩებს ეამათ,
პირს უკოცნიდა ჭადარს ჭადარი.

თვალის საამოდ ცა გამხდარიყო
უფრო ფირუზი, უფრო მაღალი,
მთაწმინდაც ასე მწვანე სად იყო, —
თითქოს სამოსი ეცვა ახალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისლს აქარგავდა სიო კალთაზე,
ელვის პატარა კვამლად დარჩენილს,
ლხენით ქუჩებში გასულ ათასებს
მეც შევუერთე ლხენით გზა ჩემი
და ვთქვი: დიდება ამ სილამაზეს,
თბილისს, სიცოცხლის კერად გაჩენილს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონდო კეშელავა

თბილისს

ისევ მომწყურდა შენი ნახვა, დედა-თბილისო,
შენთან ჩურჩული, შენი ღამე და ხეტიალი.
რისთვის დავფარო, ფიქრო ჩემო, რად ვითილისმო,
უშენოდ გული არ ჩერდება, გული ტიალი.

როცა შენთან ვარ, შენი სუნთქვით ვარ ანთებული,
უშიშრადა ვარ, ვით რაინდი აბჯარასხმული.
მწამს ძალა შენი ჩემს ძარღვებთან შეერთებულა,
შენ ხარ სიცოცხლე, ნეტარება და გაზაფხული.

და ჰა, აქა ვარ, გინახულე, ლაღო ქალაქო,
გამშვენიერებს მკერდს დაყრილი თოვლის ფანტელი.
ჩემი სამშობლოს საამაყო მიწავ, ალაგო,
დარჩები ჩემში მარად წმინდა და სანატრელი.

მე შენს მიწაზე დღემდე ბინა არ მიძებნია,
შორი-შორ დავალ, გეკრძალები და გერიდები.
ერთს შემოგივლი გულის ძარღვს და ამაყ მთებიანს,
დაგშორდები და შენი ტრფობით ავღიღინდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი კილასონია

თბილისური

მთაწმინდაზე ამიშვით,
სადაც ვაჟას ლოდია,
აპრილსა და მაისში
იელები მოდიან.

აპრილსა და მაისში
კაბა გიყვარს ჩითისა
და ცახცახებს ჰაერში
ხმა წიწკანა ჩიტისა.

ცაცხვნი სხედან სამზერად,
გულზე ტოტებს გახლიან,
პლეხანოვის გამზირზე
ერთი თეთრი სახლია...

ხან დილაა ცისფერი,
ხან საღამო სინგურა,
და ბესიკზე სიმღერით
მორბის ბიჭი დიდგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ როდის აძინებ
შენს თელებს და იფანებს,
როცა ყოველ ხის ძირას
დიდ სიყვარულს იფარებ.

როცა შენი ფიფქებიც
ვარსკვლავების ცალია,
როცა თავად სიმღერას
სიმღერისთვის გცალია...

გულო, დილა დამდგარა
თბილუსური, სინგურა,
ბესიკივით ყარყარა
უსტვენს ჩემი დიდგულა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კუხიანიძე

იდექ, იხარე!..

ქვის გალავანით
შენი მიწა ვინც შემოღობა,
მანვე ჩაგითქვა
სიმტკიცე და შეუვალობა...
შენ სილამაზე
დაგიბედა ტურფა ხოხობმა
და ეს მშვენება
ვერ მოგრეცხა წელთა მრავლობამ.

შენს მკერდზე უნდა
ეგოგმანა მტრედებს და ქედნებს,
შენი მიწა კი
კაცის სისხლით გაწითლდა, დალბა...
და ქართველები,
აქ შენს ბჭესთან ვაშას რომ ჭექდნენ,
მურვანი მაშინ დაყრუვდა ალბათ.

მტრებთან ჭიდილში
შენ დაღუპვა გელოდა თითქოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილეწებოდა
ქონგურები მეხთა გრგვინვაში...
მაგრამ თბილისი
არც თუ ისე პატარა იყო —
მხრებზე გაედოთ
და წაეღოთ სადღაც ირანში.

გავიდა წლები,
ქარტეხილმა გადიგრიალა,
შეწყდა შენს მკერდზე
აგლეჯილი ბავშვის კივილი...
თებერვლის ერთ დღეს
მოგიშუშდა ყველა იარა,
თებერვლის ერთ დღეს
დაგიყუჩდა ყველა ტკივილი.

დგახარ ამაყად
მკერდზე ოქროგადანაყარი,
შენი ქუჩები,
ბალნარები ჰყვავის, ხალისობს...
ათას ხუთასი
გაფრენილი წელი რა არის,
იდექ, იხარე სამარადისოდ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

სტუდენტობა

სტუდენტობა, სინათლისკენ
ბეწვის ხიდი — სტუდენტობა.
უფრო ხშირად უმამობა,
უფრო ხშირად უდედობა.
სათოხრიდან წამოსული
გლეხის ბიჭი, გლეხის გულით,
და სამადლოდ ვინმე კეთილ
ნათესავთან შეხიზნული.

სტუდენტობა — ქალ-ვაჟები
ყელმოღერა, ტანმაღალი,
თვალცისფერი — დასავლიდან,
აღსავლიდან — თვალმაყვალი.
ყოვლის კუთხით წამოშლილი,
თბილისისკენ მომავალი —
საქართველოს ოცნება და
საქართველოს მომავალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამეები, ღამეები
თეთრად გადამსხვრეულები,
ჩემთვის გადათეთრებული
შავი გოგოს რვეულები.
სიხარული ხვალის დღითა,
სინანული გუშინდლითა...
დრო-დრო მამის გამოჩენა
მხარზე ჭრელი ხურჯინითა.

თითქოს აგერ გუშინ იყო,
გულის ძგერა მესმის დედის,
ხეივნარით დაბინდული,
ეზო უნივერსიტეტის,
შემოდგომა, წყვილ საფლავზე
აკაკის ხე რულში ცერად,
და ვარაზის ხევისაკენ
წითელ-ყვითელ ფურცლის ცვენა.

სტუდენტობა, გამოცდები,
მაისი და გაზაფხული,
ძია ნიკო კეცხოველის
წარბი წარბზე გადაბმული
და კორნელი კეკელიძე —
სამოცი წლის კორიფეი,
საქართველოს სინდისივით
სპეტაკი და თოვლისფერი.

ომის გზები დამელია,
თმაში თეთრიც გამერია,
შემობრუნდა ის ბილიკი —
კვლავ მშობელი მთაველია.
შემობრუნდა ის ბილიკი,
ვარაზის ხევს აღარ ასცდა, —
მე დღეს ისევ სტუდენტი ვარ
და ჭაღარა ახალგაზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბერი! სექტემბერი!
მე სიცოცხლე მელოდება,
თითქოს ჩემი სტუდენტობა
სიზმარივით მეორდება.
კვლავ ვარაზის ხევს მოვყვები
ალმართ-ალმართ მომავალი,
და ნათლდება თეთრი სახლი
სერზე, როგორც მომავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მელიქიშვილის გამზირი,
ია-ვარდი და ბზა...
უშენოდ ვეღარ გავძელი,
ჩემი ბალღობის გზავ.

გზად სტუდენტობა იჩქარის
მძებნელი მზის და გზის.
სად არის ახლა ის ქალი?!
ალბათ, აკვანთან ზის.

იქნებ რუსთავი არჩია,
იქნებ სამგორშიც ჰქრის,
იქნება ისევ ბავშვია,
თვალებიც შერჩა შვლის.

და ელანდება დამწველი
კვლავ სტუდენტობის გზა —
მელიქიშვილის გამზირი,
ია-ვარდი და ბზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარაზის ხევთან

მე მანდ ვისწავლე ცხოვრების სიბრძნე,
სიბრძნე შეტევის, დახვედრის, ბრძოლის,
მანდ იყო ჩემი მზისფერი სივრცე —
ჩემი იყალთო და პეტრიწონი.
მანდ დამრჩა ლანჩა სპორტული წუღის
და ოცნებათა სასახლეები...
ეს გაუმარჯოს პატარა წუხილს
და დიდ სიხარულს იმა დღეების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

თბილისი

იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია!

იქ, სადაც შენი მტკვარია,
სიცოცხლე სანუკვარია;

შენი ცა ვარსკვლავმჩენია,
შენი სიცოცხლე ჩემია.

გულში ჩამდგარი ღიმილი
შენი ცის ნავერცხლარია,
ლექსში რომ ცეცხლი ირხევა,
ის შენი ნაკვერცხალია,

იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

შენგან დაწნული სიმებით
მოვაოქროვე იმედი,

აღარც დაჭრილი გედი ვარ,
არც წეროს მწკრივის კენტი ვარ!

ვარ მოაშიკე შენი მზის
და მეჭაშნიკე მარადი, —
შენი მშობლიურ სიტკბოსი
ჩემი საფლავის კარამდი!

ვინ ამოცალოს ჩანჩქერი,
ჩანჩქერს რად უნდა ღარები?
შენი თაფლური ღვარების
გულმა რაც სიტკბო დალია,
ის მხოლოდ ნაათალია!..

*

მიყვარს შენი ხმა სალხინო,
შენი ყიჟინა მხედრული,
მთაწმინდის თავზე —
ქანდაკი,
დიდებით გადმოხედული;

გოლგოთის მთაზე მეტეხი —
ქართლის ჯვარცმების ტაძარი,
და ნარიყალა დაჭრილი,
ძველი სიზმრებით დამწვარი.

მე მიყვარს შენი ქუჩები,
შენი ცხოვრება მღელვარე;
შენ, როგორც ფარჩა სადროშე,
ხარ მხიარული, ელვარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მიყვარს შენი ბაღების
თარფეული და ნობათი,
ხილთა შუქში რომ ბრწყინვალებს
შენი აწმყო და მყობადი...

მე მიყვარს მტკვრის ოროველა,
მტკვარზე ალვების რხევანი,
სვეტზე ასული ხევანი...

შენს თოვლდაბუმბლულ ხეებშიც,
მესმის, მაისი შრიალებს;
მცხეთას და ლილოს გავხედავ,
ოცნება გამაჟრიალებს, —

იქ, სადაც შენი გულია,
სულ მუდამ გაზაფხულია!

*

ვით, როგორ დაითვალება
ვაჟკაცი არწივთვალება,
ვინც სისხლის ნაწვეთალებად
ზედ დაგაფრქვია სიცოცხლე,

დაგადნო სულის ნაღვარი...
ჩონგურით გასტუმრებული,
დაბრუნებულა ნაღარით.
თან შენი მიწა დაჰქონდა,
და ბღუჯა დედის ჭაღარის!

რაც შენმა ფუძემ მტრის სისხლი
ხმალის ღარიდან დალია,
იმ დანადინარ თქეშისა —
შავი ზღვაც ნაათალია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

შენს კარიბჭესთან, ოდესღაც,
ისმოდა მტერთა გუგუნი,
დღეს გაზაფხული გუგუნებს
ახალი მზის საუკუნის!

რამდენი გაზაფხული დგას,
შენს კართან დანაჯარები, —
ხვალ სამგორიდან წამოვლენ
შენზე ხეივნის ჯარები.

მტრის ურდოების მაგივრად,
რომ გიბნელებდნენ მოედანს...
ხვალ სამგორიდან ნიავი
ნარგიზის სურნელს მოიტანს.

ხვალ, მტრის საყვირის სანაცვლოდ
და ზარის სულთამხუთავის,
სიცოცხლის ხმებით დარეკავს
ცხელი ფოლადი რუსთავის!

ხვალ შენ ტყის გვირგვინს დაიდგამ,
ნასხივარ ხრამის ლამპარით,
ხვალ... იმ ხვალინდელ დღეების,
ქარო, მომიტა ამბავი!

ხვალე და ზეგაც იტყვიან, —
თბილისი ოქროს თვალია!
მაგრამ, რაც დღეს ხარ, ხვალისთვის
ის მხოლოდ ნაათალია!

•

აფრენილ ხოხბის ქალაქო,
გული ვარდებით ირთვება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა მტკვარი სიყვარულისა
ჩემს ძარღვში მოეზვირთება!

მე შენი უბის შვილი ვარ,
ლექსებს რომ ღამეს უთევდა,
შენი ყელჭრელი სტვირი ვარ,
კრწანისში მტერს რომ უტევდა!

გიმღერ და მასაც ვუმღერი,
რაც ფესვში ჩასახულია,
რაც შენს კოკორში, თბილისო,
საფურჩქნად განზრახულია!

იქ, სადაც შენი გულია,
სამშობლოს გაზაფხულია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა

მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა
ნუშის ნაფერთალი,
ცას ვარსკვლავი ანათებდა,
ვით კამეჩის თვალი.

მოფრიალე მანდილებით
მოფრინავდა ქარი,
ქალაქს ქარი მოარბევდა —
მთათა სერასკარი!

ქარი სტამბოლს მიდიოდა —
ქაჯავეთის ქაჯი.
ცას ღრუბელი დაეყარა
თეთრი, როგორც ყაჭი.

ღამე იყო გათეული
მეეზოვის ქურქით
და სარკმელთან კამათელი
კალმახური ზურგით —

გზრიალებდა, ყალყზე იდგა,
ვით ყაბახის ცხენი...
(სად ლპებოდა ბეჭდიანი,
ვაჲ, მანანას ხელი?).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართლა იყო ქარიშხალი?
— არა, ყავრის ქარი!
წყნარი იყო მტრედივითა,
თბილი, როგორც კვარი.

აღარავის აღარ ჰქონდა
გული ნამტკივარი;
ყვავილებით, ზიზილებით
მოშხუოდა მტკვარი...

და მახათას ტიტველ მთიდან
ყვითლად მობაბანე,
საღვინით და შოთის პურით
მზე დაადგა ბანებს.

ჩაქრა ყველა ვარსკვლავები,
ვით ალმასის თვალი,
ქარმა ქალაქს დაუშინა
ნუშის ნაფერთალი.

იღვიძებდნენ პოეტები
გამომშრალი პირით,
იღვიძებდა მემწვანილე
გიშერთვალა ვირით.

იღვიძებდნენ საზანდრები
ქვეყნის სადიდებლად,
შევარდენმა შეისროლა
ცაში ოქროს წკეპლა.

თბილისი კი — ისუნთქავდა
მზის შუქს გამაკურნელს
და ჰყნოსავდა ლექსებისა
და ტარხუნის სურნელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო!

გადეყარა ნარიყალას
ნაცრიანი ბური...
ხაში,
ხილი
და თონიდან ამოყრილი პური,
თაბახი და საზანდარი,
მზე შინა და გარეთ, —
ეგებება მზეს თბილისი
თავის ექვსი კარით...

*

მიეგებეთ,
ვინც დამწვარა,
როგორც საათნავა!
განა გიცდის სიყვარული,
ადგება და წავა!
მაგრამ ისევ ილაპლაპებს
მტკვარის ლურჯი გავა,
ქაშუეთის ჩუქურთმები
ფასკუნჯების თავად!

განა გასძლებს სიჭაბუკე,
ვაი, შენი ბრალი!
ხელებ-შუა გაქანდება,
ვით ნიაღვრის წყალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ისე დამწიფდება
ვერის ბაღში ბალი,
აბანოდან ამაივლის
თვალციმციმა ქალი.

განა ლექსი ლექსი არი,
თუ დარჩება მუნჯი?
პოეტებო,
გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც ხურჯინს!..
ჰკივის თათრულ სიმღერებით
მწველი ეთიმ გურჯი,
სწვეთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი.

*

მიეგებეთ ოქროს მტვერში,
სიტყვა უნდა განდაგანა,
ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა ვეფხვის ძალა, —
სამაია სამთაგანა!

*

მაგრამ ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჭიანურს მტირალს,
მეტივეს და თივის ურემს,
წყნეთურ მაწვნის ქილას? —

მაშ, რა ვუყო პოეტებო,
ამ თბილისის დილას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენებისას მერძევე მოვა

გათენებისას მერძევე მოვა,
მას გაეღება პირველად კარი...
გაიშრიალებს ოთახში ყანა,
ოქროს ეჟვნებით წკრიალებს მტკვარი.

ბიბინებს ქართლი ზურმუხტის ზღვადა,
მოფრიალებენ ტყემლის აფრები,
და ფიროსმანი ქუჩაში ხატავს
ჭიქა არაყზე ფრინველს გაფრენილს.

ვიცი, თბილისი ხვდება განთიადს,
ღრუბელს ჰკიდია იის ბუჩქები,
ვიცი, რა ცეცხლიც გულში ანთია
და მდიდარი ვარ დასაჩუქრებით.

მიყვარს დილის ცა, ზღვა და ბალახი,
მიწა, მერცხლის ფრთით შემოხაზული,
და სადღაც ერთი მცირე ქალაქი, —
ძველი საძირკვლით მიწას ჩასული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ლომსაძე

ივრის ნაპირებს დავყევი...

შენი ლექსების ნაყმევი,
შეჯერებული ფიქრითა,
ივრის ნაპირებს დავყევი,
ხოხობი წამომიფრინდა.

ხოხობს გავდიე კვალდაკვალ,
გვალვამ დამიწვა წინდები.
— სად წახვალ, ჰეი, სად წახვალ,
რა მხარეს გამიფრინდები?

გაფრინდა, მაგრამ ვაჯობე,
მივწვდი, მივედი ბუბუნით.
ლილოს — ხევს აქეთ დავთოფე,
ქარს გავატანე ბუმბული.

სისხლი, ხორშაკის მომრწყობი,
წავიდა როგორც თილისმა...
ასეთი კარგი ხოხობი
მეორედ მოკვდა თბილისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ლოლთქიფანიძე

თბილისი ისე ფოლრს იცქირება...

დავტოვებ თბილისს, გავიმარტოვებ,
გავხდები ქარში ღამენათევი.
როგორც ყაზბეგი, მოვნახავ ტოლებს,
თქვენს ძმაკაცობას მივემატები.

ვივლი ლერწმებში, სადაც ტახები
დაწრიალებენ, ფიცხლად დახტიან.
ვივლი ღამეში ვარსკვლავთ თანხლებით,
ჩემთვის ტრამალი ოქროს ტახტია.

რომ ჩემი გული ლხენამ აღავსოს,
რომ გედგეთ ჭირში, ლხინში ძმობილი.
მეც შევებმები საქმეს სახალხოს,
მამულის ბედზე გულდანდობილი.

ვივლი თქვენსავით მთაში და ბარად,
მდელოს ბიბინი გულს გამიხარებს,
და ნაბიჯებით გავზომავ ჩქარა
მიდამოების სიგრძე-სიგანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალ, ფიქრები ველად ილტვიან,
სადაც წავიდეთ — დავცეთ კარავი.
თბილისი მაინც ისე დიდია,
არ მოვაკლდები თვალში არავის.

თბილისი ისე შორს იცქირება,
თვალზე ისეთი ელვა გადაჰკრავს,
რომ დაინახავს კაცის გმირობას
ასი ათასი ქედის გადაღმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ მამფორია

მთაწმინდაზე

საღამოს ბინდში შფოთავს თბილისი,
მტკვარი მოღელავს ტალღის თქარუნით,
ოდნავ თქორავს და ჩიტთა ჟივილშიც
მოისმის სევდა და სიყვარული.

ნისლს მიაბოლებს მაღლა მთაწმინდა,
გულს თუ იოხებს ალბად ამითი,
მკერდს დაფრენია, როგორც არწივი,
გაფითრებული მამადავითი.

ცივმა საწუთრომ როცა გათელა,
ქალაქს გაექცა ნაცემ ბავშვივით,
აქ ამოვიდა ფიქრთ გასართველად
გულდახურული ბარათაშვილი.

მაინც ვერ გახსნა გულის კარები,
ქართველი ქალის სევდამ დანისლა,
ჩაღამებული გიშრის თვალებით
ქმარს სტირის ვარდი წინანდალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შავ ჩოხებში ჩაცმულ ქართველებს,
საღამოს მწუხრში ჰგვანან ნაძვები
და სამარესთან ღამეს ათევენ,
ვით მგლოვიარე ჭავჭავაძენი.

ტატო შეჩერდა ცრემლით დასველილი,
ნინოს თვალებშიც უფრო გაწვიმდა,
ფიქრის გამრთველი ბარათაშვილი
ფიქრით დაემხო ისევ მთაწმინდას.

ვერ დაემალა ვერსად კაეშანს,
სად წასულიყო აღარ იცოდა,
ვეღარც მთაწმინდის მიწას გაექცა,
აღარ უშვებდა მარადისობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

ოცნებით ვხედავდით თბილისს

მაისის საღამო მე ახლაც მახსოვს —
ყირიმის ნიავი გრილი.
ჩვენ სამნი ვისხედით სანგარში მარტო,
ოცნებით ვხედავდით თბილისს.

ჩვენ გუგუნს ვუსმენდით, შორიდან ვუცქერდით
ზარბაზანს — ქუხილის ოსტატს,
და უცბად სანგარში მტრედისფერ ფურცლებით
მოვიდა საველე ფოსტა.

დავღონდი, ბარათი არ მერგო წილად
და გულთან მეტკინა რაღაც.
(ეს იყო ყირიმში, სამი წლის წინათ,
შინიდან ველოდი ქაღალდს!).

ჭაბუკი ფიქრებით ვიყავი გართული,
მებრძოლმა მომხვია ხელი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

—მიიღეთ, ძმობილო, გაზეთი ქართული,
თბილისელ მეგობრის ძღვენი.

მან ხელში გადმომცა ფრთათეთრი ფურცელი,
ვიცანი გაზეთი ჩვენი.
გავშალე ღიმილით, დავიწყე ჩურჩული
რუსთველის მადლიან ენით.

მეგონა სანატრელ თბილისში ვიყავი
საყვარელ მეგობრებს შორის.
და ვგრძნობდი: ჩემს ახლოს სუნთქავდა გრიგალი
და ჟამი დგებოდა ბრძოლის.

მე ხელში მეჭირა ფრთათეთრი გაზეთი,
სანგარში რომ მერგო წილად,
და გახარებული, ჩიტივით ავმღერდი
ყირიმში სამი წლის წინათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგონია, თითქოს ჩემს თბილისს ათოვს...

მგონია, თითქოს ჩემს თბილისს ათოვს,
მიდამოს მხოლოდ სითეთრე მოსავს
და მე შევხარი უთქვენოდ, მარტო,
ამ საახალწლო ფიფქების მოსვლას.

თოვს და ეს ველი ბიბინებს თეთრად,
უხმოდ მოცვივა სანგარში თოვლი,
ცაზე კი ელავს იისფერ სვეტად
პროჟექტორების მსუბუქი ბოლი.

თოვს, ზამთარია და სანგრებს ათოვს
და თეთრ ყვავილებს ბუჩქები ისხამს,
ასეთი თოვა და დარი მარტო
მხოლოდ მინახავს ჩემს ბავშვობისას.

თოვს... ხვავრიელად, შეუსვენებლივ,
გაყინულ მიწას ეყრება თრთოლვით,
დაფრიალებენ, ვით ფრინველები,
უსპეტაკესი ფიფქები თოვლის.

და ახლა, ალბათ, რუსთველზეც ათოვს
და ჩვენს აივანს ეყრება თოვლი,
შუა ოთახში სამნი ხართ მარტო —
დგას სურნელება ჩაიდნის ბოლის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგონია, თითქოს ჩემს თბილისს ათოვს,
მიდამოს მხოლოდ სითეთრე მოსავს
და მე შევხარი უთქვენოდ, მარტო,
ამ საახალწლო ფიფქების მოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარიჯანი

დედაქალაქს

შენს ყოველ ბუჩქს, შენს ყოველ ქვას
ჰქონდა ბედი სასახელო,
შენ ოდიდან დედაქალაქს
გიწოდებდა საქართველო.

გორგასალის ქვა და თიხა
საძირკველში შეგენახა,
თუმცა ძველი ქალაქი ხარ,
შენ ცხოვრებას მისდევ ახალს.

დღეს ახალი თბილისი ხარ,
მოშრიალე, მოგუგუნე,
იზრდები და მკერდს გიმშვენებს
შენ თხუთმეტი საუკუნე.

ღამით ეშხი გემატება,
ლამაზი ხარ, საკვირველი,
თითქოს ზეცამ ვარსკვლავები
დაგაფრქვია თავის ხელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იამაყე, რომ ამშვენებ
საქართველოს მდიდარ მიწას,
შენს მძლე კედლებს დავენაცვლეთ,
ჩვენი მკერდით შენ დაგიცავთ.

დღეს ახალი თბილისი ხარ
მოშრიალე, მოგუგუნე,
იზრდები და მკერდს გიმშვენებს
შენ თხუთმეტი საუკუნე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიცოცხლე თუნდაც იმისთვის ღირდა

ჩემს გულში ღვივის გმირთა დიდება,
გავცქერი მთებზე დაფენილ ნოხებს,
სიხარულს ცრემლი დაეკიდება
და მიწაც ჩემთან ამოიოხრებს.

ბევრჯერ მტანჯავდა უგულო ქირდვა,
ბევრჯერ მუხლები მეც ჩამეკეცა, —
სიცოცხლე თუნდაც იმისთვის ღირდა,
რომ დამცქეროდა თბილისის ზეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი

ვახტანგ მეფის ნანადირევი

ნედლი კვალი დარჩენია ირმის ნუკრის ფეფებს, —
ცეროდენა ნატერფალებს დააჩერდა მეფე...
დააჩერდა...
გაეღიმა...
გადაჰხედა იქ მყოფთ,
ისე, თითქოს ეს იმათი ნატერფალი იყო.

ვახტანგ ნადირს არ გასდევნის, არ გასდევნის, არა! —
თუ ნადირის ნატერფალი მეფის ტერფს არ ტოლობს;
და სტუმარი, იმერელი, ეუბნება ვახტანგს:
— ვერაფერი მოგვიკლავს და... ეგ არი, ბატონო!..

გაიარეს...
გაიარეს...
ტირიფებთან შესდგენ;
თითონ?! თითონ ტირიფები წყლის ნაპირზე იდგენ...
— ნადირითა?! ნადირითა მდიდარია ეს ტყე!
მაგრამ, მაგრამ... ფრინველითა უბადლოა ის ტყე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვრიე წყალი გადალახეს, შეჰყვნენ რიყე-რიყე...
(მეფე იყო და მეფესთან მარეკები იყვნენ).

მიდიოდნენ! მიდიოდნენ! მეფე მიდის პირველიო!
აუფრინდათ!..
აუფრინდათ!..
— ხოხობია!..
— ხოხობია!

— ხო ყოფილა!
— ხო ყოფილა
ამ ტყეშიაც ფრინველიო!

ხოხობს ქორი მიუსიეს, მიუსიეს, მიუსიეს, —
ამ ულრან ტყეს გადასცილდნენ, შეეფარნენ იმ უსიერს...
დაედევნენ... დაედევნენ...
და...
ჩავიდნენ თბილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინი ტფილისში

პუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს...
ბაღში ქეიფია... თავადი თამადობს...
მძვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე...
—ალექსანდრ პუშკინი! იცნობდეთ, თავადო!...

...პუშკინს არ უნახავს ამდენი სიცილები,
თუმც ბევრი უმასხრია,—ნახვაზეც უზრუნია...
უკვირს,
რაც უნდა თქვას — ღიმილით იცილებენ, —
ვერ მიხვდა:
ღიმილი — ქართველის რუსულია!..

...აქ ქალი ისეთი რონინებს რამდენი,
როგორზეც მან ერთგან დასწერა:

„—Я кинжалом хорошо владею,
Я близ Кавказа рождена!“

დამდგარან ვირები ყურების დაშვებით;
კიტრებით სავსენი ჰკიდიათ გოდრები, —
რუსისგან საქულას მოგება დარჩება;
ვინ იცის, გადარჩეს საქო გაკოტრებას.

... პუშკინმა დანახარჯი ღიმილით მიუთვალა,
საქომაც გაუღიმა პუშკინს ნაცვლად ხურდის.
— რამ გაგათახსირა, საქო ავლაბრელო!
რა ჰქონდა პუშკინს შენი გასაქურდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

...თავადმა ცხენიდან ქალს თვალი მოლანდა,
ჩამოხტა... ხეს მიაბა ცხენი, —
მას კოცნა სწყუროდა და... მანდილოსანმაც
წყალივით მიაწოდა ხელი.

...პუშკინი ტფილისის ქუჩებმა გაიტაცეს...
ბაღში ქეიფია... თავადი თამადობს...
მძვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე...
— ალექსანდრ პუშკინი! იცნობდეთ, თავადი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიო მირცხულავა

ლენინის მოედანი

კვარცხლბეკზე დროშა აუტანიათ,
მტკვრიდან მზე ბრწყინავს მნათობის გვერდით,
ეს განა მარტო მოედანია, —
არამედ ქართლის მგზნებარე მკერდი.

მის მედგარ ბრძოლებს, მის დიად ამაგს
ყველგან სიმართლე დაუდგენია,
ვფიცულობთ ლენინს, ხალხების მამას,
ღიდი რუსეთის უკვდავ გენიას.

ჩვენ მისი აზრი რომ გვათბობს ეხლაც, —
მზის და სიცოცხლის შუქად მოგვედო,
და ხალხსაც უნდა, — ლენინის ძეგლად
თვით იალბუზის კლდეც გამოკვეთოს.

მტერმა ვერასდროს ვერ გადათელოს
დროშა, ძეგლად რომ სხივებში მოჩანს,
ჩვენს დედა-თბილისს, ჩვენს საქართველოს
მუდამ ფარავდეს ლენინის დროშა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხული თბილისში

ცაზე ღრუბელი არ ჩანს სრულებით, —
ფრინველთ გუნდები გამოჩნდებიან,
ვით საგასტროლოდ ჩამოსულები,
ჩემს აივანზე ჩამოჯდებიან.

მოსიმღერეთა გუნდი გამოდის,
ვუსმენ მოლხენით ფრთოსნების ენას,
ყღერს ყოველ დილით და საღამოთი
ჩემი აივნის პატარა სცენა.

ხანძარს დაანთებს ხმის ნაპერწკალი,
სჭექს კრიმანჭულის ჰანგი ცნობილი,
გუნდში ლოტბარობს მკვირცხლი მერცხალი,
ფრაკში ლამაზად გამოწყობილი.

მარაოსავით ფრთების თამაშით
შეკრბენ, სიმღერის ეშხით სტკბებიან,
სხედან მტრედები ცისფერ კაბაში,
თითქოსდა დები იშხნელებია.

ხანძარს დაანთებს ხმის ნაპერწკალით
ისევ ის ჩიტი შუქურთმიანი,
სცენას დაჰყურებს დედა მერცხალი
ლოჟას ჰგავს ბუდე ჩუქურთმიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არხევს ნიავი ლაჟვარდის ფარდას,
ჟღერს აივანი ჩრდილდახურული,
„გაფრინდი, შავო მერცხალოს“ გარდა,
კვლავ კრიმანჭული ისმის გურული.

ჩვენს დიდ მამულში სად არ ყოფილან,
ყველგან სიცოცხლის უხვი ფერია,
და, ჩვენთან ერთად, ხმაშეწყობილად
მზეს ადიდებენ, მზეს უმღერიან.

ჰა, ჩემი ლექსიც, მზეში გამთბარი,
სახით, სიმკვირცხლით მერცხლისგვარია,
რითმის ძებნაში მოვლო მთა-ბარი,
მშვიდობას უმღერს და უხარია.

ახლაც ახალი გუნდი გამოდის,
სტვენით, გალობით ატკბობენ სმენას,
ჟღერს ყოველ დილით და საღამოთი
ჩემი აივნის პატარა სცენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდა

მიწისძვრას ჰგავდა ივნისის დილა,
როცა გაისმა ომის ქუხილი,
როცა ურჩხული გაეკრა ჩრდილად
მზეს და... ქვეყანამ შექმნა წუხილი.

როცა მოვარდა, ზღვით თუ ხმელეთით,
„არიელების“ ბრბო ათასგვარი,
და გადმოლახა სისხლის ღელეთი
ჩვენი სამშობლოს წმინდა საზღვარი.

ხალხში მტრისადმი იელვა რისხვამ,
ხმლებით, ხიშტებით დადგა თბილისი,
მძვინვარე რისხვად გადიქცა მტკვრის ხმა, —
ქართლის ფანდურის ხმა უტკბილესი.

თითქო: ყრუ გმინვით იძრა მთაწმინდა,
შუბლი შეიკრა წვიმის ავდარით,
თითქო. ხარების ხმებით გაბრწყინდა
მამადავითის წმინდა საყდარი.

წამომდგარიყო ბრძენი აკაკი,
ცისკრად გაელო გულის ფიცარი,
გმირებს ეძახდა ხმების რაკრაკით,
ჩანგი ეჭირა, ვით მშვილდისარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცემდა ნაღარას: რა დროს ძილია,
კარს მოგვდგომია მტერი ვერანი,
გამოაღვიძა ვაჟა, ილია,
ბარათაშვილმა შესძრა მერანი.

მტერთა ვერაგულ ზრახვის მგმობელი
ხალხის ხმა იყო გუგუნი კლდეთა...
მზის შარავანდით შუბლშემკობილი
გადმომდგარიყო ქართველი დედა.

გადმოჰყურებდა მშფოთვარე თბილისს,
და სიყვარულის მადლით მოსავდა,
ლოცვას მოჰგავდა მისი ხმა ტკბილი,
ომში მიმავალ შვილებს ლოცავდა:

დედა-შვილობავ! ისმინე ლოცვა,
უბრწყინვალესო დღეო მზიანო,
ხალხს ააცილე სისხლი და ხოცვა,
შვილები აღარ დამიზიანო!

ერთი ოჯახის და ერთი მიწის,
ერთი ცხოვრების ბურჯი კედელი, —
თხუთმეტი ძმაა შეკრული ფიცით,
დღეთა ნათელთა გამომჭედელი.

დღეს გავაცილე უმცროსი ვაჟი,
პატარობითვე ხმლის შემმართველი,
არ წაიქცევა ლაჩრულად გზაში,
არ უღალატებს დედას ქართველი.

ყოვლად ძლიერო! ჩვენდა მნათობად
მზე დიდებული ამოგეყვანა,
ნგრევას, სისხლის ღვრას, მუხანათობას
გადაარჩინე ჩვენი ქვეყანა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცვას ატანდა მტრედთა ქარავანს,
ხელნი აღეპყრო — ორი კანდელი,
და ჩიხტიკოპის მზიან შარავანდს
დროშად ანთებდა კორიანტელი.

აღარ ისმოდა გუგუნი კლდეთა,
აღარც მრისხანე მტკვრის ხმა გაბმული,
სდუმდა თბილისი, უმზერდა დედას,
ლოცვას უსმენდა სულგანაბული.

ამ დროს გამოჩნდა ცაში არწივი,
მიმოარღვია ღრუბელთ იარა,
ელვას ეკვეთა ელვით, ქარწვიმით,
მთაწმინდის თავზე გადაიარა.

გასჭრა, გასერა ცის ბნელი თალხი,
გზაზე ყორნების გუნდი ლხვებოდა,
საქართველოდან დაიძრა ხალხი,
მტკვრისპირ არწივის ლანდს მიჰყვებოდა.

სჭექდნენ: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!“,
ჰქუხდა მიდამო, თრთოდნენ ველები,
მამაპაპურად, ხელზე, ქარი-ქარ
სჭედდნენ, აწრთობდნენ ხმლებს ქართველები.

მთებში, ხევებში გრგვინვით შევარდნენ,
ახლოს ესმოდათ ხმა წინაპრების,
მიაჭენებდნენ მერნებს — შევარდნებს,
ქარში მიჰქროდნენ დროშის აფრებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ გამაგონო!

არ გამაგონო
დაფაზურნის ჰანგი ველური,
ჩემს თბილისში ვარ,
დაუკარი ტკბილქართველური!

განა დაგვძლია
დამპყრობლების ძალამ ურიცხვმა,
კმარა ზურნის ხმა,
გამაგონე სალამურის ხმა!.

დაფდაფს დაირა მირჩევნია,
ჩვენი დაირა,
თეთრი დაირა,
რომ ღუღუნებს მტრედისნაირად.

არღანს არა სჯობს
ტანწერწეტა ჩვენი ჩონგური?
თამარ დედოფლის გვირგვინივით
ჰშვენის ქონგური.

ზურნა არ მიყვარს, დაფდაფის ხმაც,
არღნის ჩხავილიც,
ქართლის ქუჩებში მომწყვდეულან
ქარიშხალივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგ დაფაზურნით მოდიოდა
ურდო უცხოთა,
იგი მძვინვარე შაჰ-აბასის
ჯარს მოუძღოდა.

და ისევ ის ხმა, შორეული,
ჩვენი კი არა,
ტკბილი კი არა,
მწველზე მწველი, როგორც იარა,—

არ გამაგონო! თორემ გული,
გული ღონდება,
ჩემი სამშობლოს აოხრება
მომაგონდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა მიქელაძე

შენ ბალი ხარ!

როცა მუქი სილურჯე გაიშლება ბინდებად
და მთაწმინდის პროფილი ყრუვდება და დიდდება,
ანდა — დილა იფეთქებს, გაშლის ოქროს დალალებს,
ბოტანიკურ ბაღიდან მოქრის სიო ალალი,
კომკავშირის ხეივანს მოსდევს ლეგა არშია,
გაღვიძებულ ბაღებში მოშრიალე ტაშია, —
მაშინ, დედაქალაქო, შენ ბაღი ხარ მზიანი,
იზრდები და ახარებ ახალ ადამიანებს.

შენს ჭაღარა თაღებზე ბევრ მეხს გადაუვლია...
ყოველ გოჯა მიწაში წინაპრების გულია,
ყოველ ციხის ზღუდესთან მათი წმინდა სისხლია...
დღეს ღიმილით იგონებ დღეებს პირქუშს, ნისლიანს!
ბევრჯერ აოხრებულო, მაინც კლდისებრ მაგარო,
დღეს ვის გაუკვირდება, რომ შენი მზე თაკარობს? —
ჩემო დედაქალაქო, დღეს ბაღი ხარ მზიანი,
იზრდები და ახარებ ახალ ადამიანებს!
მინდა ალალ დროშებით მუდამ ალისფერობდე,
გჭვრეტდე ასე სხივმოსილს, მწვერვალებზე აყვანილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზემაღალო ქალაქო, მინდა ისიც მჯეროდეს,
რომ შენს გულში დაირწა რუსთაველის აკვანი.
რადგან ჩვენი ბაღი ხარ, მხარგაშლილი, მზიანი,
იზარდე და ახარე შრომის ადამიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილო მოსაშვილი

თბილისს

ჩვენო წმინდა ალაგო,
ქართლის ციხე-ქალაქო,
შენ რუსთველის ენაზე მტკვარი გედუდუნება:
რამდენ ცრემლებს გაწვიმდა
დიდუბე და მთაწმინდა,
რამდენ ნახმლევს გირჩენდა შენი დედა ბუნება!

გორგასალის ხოხობმა დაგიფერა ცისკარი,
ზედ დაგაკვდა სამასი არაგველის მარჯვენა,
მერე ცეცხლი უკვდავი, ცეცხლი დაუვიწყარი
მოგიტანა სტალინმა ხალხის გადასარჩენად!

ჩვენო წმინდა ალაგო,
დედა — თბილის ქალაქო,
ვის არ ხიბლავს სიტურფე შენი მთის და მდელოსი!
შენ მზის თვალმა დაგხატა,
ჩვენს ოცნებად გაგხადა,
შენ ხარ ჩაუქრობელი გული საქართველოსი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის წვიმა

შეაკანკალა, დაეცა ხიდებს
მზე და ქედებზე ჩამოწვა მწუხრი,
ლეგა ღრუბლების დაკიდულ კიბეს
ღამემ მგელივით დაადგა მუხლი.

და ძირს დაეშვა შავი აფრები,
და ჩამოყარა ცაში ნაცარი,
მერე ნახშირის მტვერში დაფერილს
შემოუჭირა ელვის ბაწარი.

წვიმა შხუის და ვარსკვლავებს დაფქულს
ტოტებზე ჰკიდებს ჭიქის წკარუნით,
ტაბახმელადან მოვარდნილ ზაფხულს
თბილისის თავზე გააქვს თქარუნი.

თითქო მოადგა შავი ნახირი
ოქროყანაზე გაშლილ ჯეჯილებს,
აუშვეს ხარი და ცა ძახილით
მეხის ნატეხებს დააგლეჯინეს.

აუშვეს ხარი და რქის ფიწალზე
ლურჯი ღრუბელი აუფრიალეს,
ღრუბლის ნაგლეჯი გდია მიწაზე
და ფოთოლივით ტოტზე ტრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმა შხუის და ცეცხლიან შუქზე
მოაფრიალებს ღამეს მხედარი,
მოსწყდება ცას და გაწყვეტილ შუქზე
ელვის ნამტვრევებს კენკავს ქედანი.

ელვა მოუძღვის მოვარდნილ ღვარებს,
სამას არაგვში სცურავს ქალაქი,
კარი გაუღეთ შირაქის ფარებს,
შუა ქალაქში სძოვონ ბალახი!

კარი გაუღეთ, მოსულან კიდეც:
თავთუხის ყანებს, ვაზებს, ხეხილებს,
სავსე ურმებით მოადგნენ ხიდებს
და დირეები ჩაატეხინეს.

წინ შეეგებეთ, წვიმაში გადით,
შფოთიან მტკვარში ჩასძახეთ თევზებს,
მებადურები მოდიან ბადით
და კალმახები უსხედან მხრებზე.

რა გენაღვლებათ, იწვიმოს ასე,
ძვლები გაუთბოს მძინარე მადნებს,
ღრუბელს ღრუბელი ჩამოსწვდეს ცაზე
და თბილს მიწაზე რძესავით გადნეს.

მერე მიყუჩდეს, ბნელი ღამისა
სადმე დაეგდოს წვიმანასვამი
და განთიადი ოქროყანისა
ქალაქს დაადგეს მწიფე ძნასავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ნადარეიშვილი

რაიმონდა დიენი თბილისში

ვარდის ყვავილი შეაყარეს თბილისში დიენს,
ქალი აკრეფას ვერ ასწრებდა —
ის კი აყრიდა...
რამდენი სდიეს იმ ბიჭს მერე,
რამდენი სდიეს...
ფულს არც შეხედა:
ყვავილები განა გაჰყიდა?
და როცა მიხვდნენ
ლაპარაკი არას არგებდათ,
მოეშვნენ იმ ბიჭს,
ჩაიქნიეს ხელი ფრანგებმა...

ის კი მღეროდა —
ქუდმოხდილი და გულახდილი,
ქალს კი ეჭირა ყვავილები წავკელ ბიჭისა.
ჰე, რაიმონდა,
განა მართლა ბაღის ყვავილი,
შენ ერთი მუჭა გაზაფხული ხელში გიჭირავს!..
ამასობაში დაკარგულა ცაზე ღრუბელიც —
ვით ორღობეში დაკარგული ქუდი ბიჭისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენშიც ბევრია ყვავილები...
და ეგ სიხარბე
ხუმარა ფრანგებს
არც ეყოფათ, ალბათ, სახუმროდ...
მაგრამ დამზრალი ყვავილები რისთვის გიყვარდეს,
ან იმ ყვავილებს
რა ფასი აქვს უგაზაფხულოდ?..
ჩემს თბილისში კი
მზე ცაზედაც ვეღარ ეტევა —
და გასაშლელად
ვარდს და ქალებს გადაემტერა!..

ჰოდა, წაიღე გაზაფხული უბე-კალთებით,
თმებში ჩაბნეულ ყვავილებით
და გაღიმებით.
თან გაიყოლე უდარდელი სტვენა წავკელის,
ვარდის ყვავილი დაიტანე კაბის ღილებშიც
და თუ გაკვირდნენ ყვავილიან კაბა-სამოსლით,
მხოლოდ ეს უთხარ:
რომ თბილისში იყავ... გამოვლით...
რომ სანეტარო დარი იდგა ყვავილთ ფურცლობის
და დიდ გაზაფხულს შეჰხაროდით ჩვენში უცხონიც!..

ვარდის ყვავილი შეაყარეს თბილისში დიენს,
ქალი აკრეფას ვერ ასწრებდა —
ის კი აყრიდა...
რამდენი სდიეს იმ ბიჭს მერე,
რამდენი სდიეს...
ფულს არც შეხედა:
ყვავილები განა გაჰყიდა?
და როცა მიხვდნენ
ლაპარაკი არას არგებდათ,
მოეშვნენ იმ ბიჭს,
ჩაიქნიეს ხელი ფრანგებმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

თბილისში

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ
და სულში ლექსი რუსთველის მღერის.
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

კარგია, თუ ხარ კაცი კაცური,
მშობელი ხალხის პატივსაცემი,
გულით სპეტაკი, სინდისდაცული,
არც მოღალატე და არც გამცემი.

კარგია დილით მტკვრის სანაპირო,
ვერხვები, სივრცე ფირუზის ფერის,
მტკვარი ჩრდილებით გადაფენილი.
ჩუმად გაჰყურებ ზეცის საფირონს
და გრძნობ, რომ გულში შემოფრენილი
თითქოს ათასი ბულბული მღერის.

კარგია ჩვენი დედაქალაქის
გამოღვიძება ზაფხულის დილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთლებზე გარბის ნიავი ფრთხილი,
ვით ჯადოსნური ჩურჩული მისნის...
ვიღაც უჩინო საყელოს გიხსნის
და ყელს ეხვევა ჰაერი გრილი.

კარგია, როცა გახვალ და გხვდება
ქუჩაში ხალხი ნაამაგარი,
დიდების, ჰიმნის საგანი ხდება
მისი გარჯა და მკლავი მაგარი.
სოფლის გოგონა მოდის წარმტაცი
შრომის გმირობის ვარსკვლავით გულზე,
ომგადახდილი გვხვდება ვაჟკაცი
ჭრილობის დაღით დაღარულ შუბლზე.

კარგია, რადგან მშობლიურ მხარეს
ამტკიცებს, ამკობს შრომა გმირული.
მტრისთვის შეუვალ მამულის კარებს
უდგას ეს ხალხი თავგანწირული,
უდგას ეს ხალხი მშვიდობის მცველი
და მოდარაჯე თავისუფლების,
ამშენებელი საკუთარ ხელით
საკაცობრიო ბედნიერების.

კარგია ჩვენი მშობელი მიწის,
ქართული მიწის მზე და სიუხვე.
მკაცრი ბუნების ძლევისთვის იბრძვის
შთაგონებული მშრომელი უკვე,
იბრძვის და თანაც უტყუვრად იცის,
რომ დიდ ბრძოლაში იქნება მასთან
ის, ვინაც დასდო უკვდავი ფიცი,
ვინც დგას ჩაგრულთან, როგორც ძმა ძმასთან.

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ
და სულში ლექსი რუსთველის მღერის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

კარგია, როცა გახედავ სივრცეს,
ჩვენს ტურფა ქალაქს მიაპყრობ თვალებს,
ეტყვი: თბილისო, შენც გული გიცემს,
მე ვენაცვალე შენს მთებს და ჭალებს!
მე ვენაცვალე შენს გმირულ აწმყოს,
შრომას და ბრძოლას — მას, რასაც ვხედავ,
რა მხნედ შენ აგურს აგურზე აწყობ,
როგორი რწმენით მომავალს სჭედავ!
მე მიმაჩნია ძმად და მეგობრად,
ვინც კი შრომობს და ჯილდოს ღებულობს,
მე მიმაჩნია ნამდვილ მეომრად
ისიც, ვინც ჩუმი შრომით ერთგულობს.
კარგია! კაცი უბრალო, სადმე,
როგორც ხრახნილი რთულ ერთეულში,
ასრულებს დიდს და საჭირო საქმეს,
ისიც ძალას ჰქმნის ცოცხალ სხეულში.
აი, ამიტომ გული მიხარის,
რომ მეც მომავალს სანატრელს ველი,
რომ ვარ გუშაგი მშობელი მხარის —
კაცი უბრალო, კარგის მთესველი...

კარგია, რადგან სიცოცხლე მთელი
არ ღირს არაფრად, თუ არ გრძნობს გული,
რომ ამ დიდ ბაღში მზრუნველი ხელით
ოუნდაც ერთი ხე შენც გაქვს დარგული.

კარგია! ჩვენი შთამომავალი,
ალბათ მის ჩრდილში ჰპოვებს სიამეს,
და ფოთოლთ შორის სიო მავალი
ჩვენს ცხოვრებაზე უამბობს რამეს.

უამბობს, რათა მანაც იცოდეს,
თუ როგორ უნდა ზრუნვა ხალხისთვის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაე, ჩვენსავით იგიც იწვოდეს,
მანაც იბრძოლოს მომავლისათვის!

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ
და სულში ლექსი რუსთველის მღერის,
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსულ ნიქაბაძე

თბილისისაკენ

არა, მე ძილი არ მსურს ამაღამ,
სულში შრიალებს დილის ნიავი,
ამ მთებს გადაღმა, ლურჯ მთებს გადაღმა,
ჩემი ლამაზი თბილისი არი.

ამ ცის დამნახავს რა დამამუნჯებს,
ლამის გაირღვეს მკერდი სურვილით,
თბილისი არი ჩემი საუნჯე,
ალალმართალი დედის გულივით.

მოვალ, რუსთველის პროსპექტს დავივლი,
ასე კარგსა და ასე იშვიათს,
სხვა რომ არ იყოს, ერთი ყვავილი
ამ ქვეყანაზე მეც გამიშლია.

ტკბილი სიმღერით ვივლი კარი-კარ,
შენზე სიმღერამ როგორ დამღალოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავალ მთაწმინდას, რომ მკერდს ჩაგიკრა,
ჩემი თბილისის ცაო, მაღალო!

დაე, გაიგონ, ყველამ იცოდეს,
გული ალალი გრძნობით მიღელავს,
თბილისი ქვია ლამაზ სიცოცხლეს
და სიყვარულზე ნათქვამ სიმღერას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

ყვავილების მიწა

დილით კვირადღეობით,
როცა ქალაქს ღვიძავს,
აზრიალებს მთელ უბანს:
„ყვავილების მიწა!
ყვავილების მიწა!“

სურნელებით, მხნეობით
აივსება ქალაქი,
როგორც ვეებერთელა
ყვავილების კალათი.

ბანზე გადმოდგებიან
ჩვენი ლამაზმანები,
ყვავილის ქოთნებივით
დამშვენდება ბანები.

პირველად ის გამორბის
მხიარულად, ფიცხლად,
ყვავილების ქოთნები
მოუტანეს ვისაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულის სახსოვრად,
ერთგულების ფიცად.

—გოგონებო, იყიდეთ,
ყვავილების მიწა!

ვაი, შე საცოდავო,
მაგ ყვირილზე გიცან,
ცოცხალი ხარ კიდევა,
შინდისელო ბიძავ?!

კაცო, სული მოითქვი,
შეისვენე ცოტა,
ეჰ, რად გაწევს კისერზე
ამოდენა ცოდვა.

ნეტა რა დააშავე,
რა გაქვს დანაშაული,
ამ სიცხეში აივნებს
ათასჯერ რომ ჩაუვლი.

მთელი დღე რომ გაჰყვირი:
„ყვავილების მიწა!“
ორთაჭალას, მთაწმინდას
დიდუბეს თუ ისანს,
ყვავილების მიწა!
ყვავილების მიწა!

ნეტა არ გყავს პატრონი,
ან ცოლ-შვილი იმედად,
ამ თაკარა სიცხეში
ასე ვინ გაგიმეტა?

ეჰ, საიდან სადამდის
წამოსულხარ ფეხითა,
იქნებ შვილიშვილისთვის
წუღა გსურდა გეყიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭი თავის ტოლებში
როგორ დაიკვეხნიდა?!

ან რა ხეირს დაგაყრის
ერთი მუჭა მიწა,
მაგ ყვირილად არა ღირს,
ჩემს გოგონას ვფიცავ!

პირზე ხვითქი გადაგდის,
ყელში ჩაგდის წურწურით.
ალბათ შენთვის უცხოა
ჩივილი და წუწუნი.

შენი ტანჯვაც ეგ არი,
შენი სიხარულიცა,
რა მომთმენი ვინმე ხარ,
ვახმე შენი გულისა!

ე მაგ კერპი იერით,
მაგ ჯიუტი მოდგმითა
საქართველო ძლიერი
დღევანდლამდე მოვიდა.

ო, ეგ ხვეწნა-ყვირილი
გულს მიღრღნის და მიწვავს.
— მადლი ქენით, იყიდეთ
ყვავილების მიწა!

ზოგჯერ არ გაგიმართლებს,
გავარდება ჯანი,
ჩამოივლი მეათედ,
ვერ გაჰყიდო ჯამიც.

ბევრჯერ მიოცნებია
(ამისრულდეს ნეტა),
დაგხვედროდე ქუჩაზე
და კეთილად მეთქვას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძიაკაცო, რა მოგცე,
ძირს დაყარე ხელად,
მაგ დასაწვავ ტომარში
რაც მიწაა, ყველა!

იქნებ ფული გჭირდება,
პურიც გშია ეგება,
— არა, შენ გაჭირვება
აქეთ არ გერეკება!

შრომა დაგეზარება
ამდენ ჯაფის ამტანსა?
ჭირნახული მიიღო
სხვაზე მეტი ათასად.

უქმად რა დაგაყენებს,
როცა უძლებ ამდენსა.
მეტს გაიჩენ ნამყენებს,
მეტს დახნავ და დათესავ!

კაცო რკინავ, დუღაბო,
ალბათ შენც გაქვს მარანი,
უვენახოდ, უბაღოდ
დღეს არ ცხოვრობს არავინ.

ალბათ შენც გაქვს ფარეხი
მეხრეს თუ მენახირეს...
მა ასეთი მწარე ხმით
რა ეშმაკი გაყვირებს!

დედაბრები ოხრავენ:
— რა თავს იკლავს ნეტა...
ჩივის მეზობლის გოგო:
— რა თავი აქვს, დედა!..

მე კი მძიმე სასჯელად
მაგ კალათა მიწას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავკიდებდი... შავ საქმეს
ჩაიდენდა ვინცა.

და თაკარა სიცხეში
განუწყვეტლად, ფიცხლად
ერბინა და ეყვირა:
„ყვავილების მიწა!
ყვავილების მიწა!“.

ჩანს თბილისის სახეზე,
როგორც ძველი ნახმლევი,
ყანწებივით ქუჩები,
ქოთნებივით სახლები.

სადაც დიდი ქუჩაა,
დიდი შენობებია,
შენი მძლავრი ძახილი
მათ ვერ შეომებია.

იქ არავის სჭირდები,
იქ არავინ მიგიშვებს,
პროსპექტებზე მაგ ყვირილს
ჩაგითვლიან სიგიჟედ.

გაქრა ძველი თბილისი
თავის ციებ-ცხელებით,
თავის მაწვნის ქილებით,
სახედრებით,
ცხენებით.

ხვალ ცას შეეჭიდება
სართულებზე სართული,
შეფრინდება ჩიტებად
ჩუქურთმები ქართული,
მძიმე-მძიმე მტევნები
ლერწმებამოხლართული.

. . . . . .

მე კი, როცა მოვკვდები,
არ ვინაღვლი, ვფიცავ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვიდოდე ოღონდაც
ყვავილების მიწად,
და თბილისის ქუჩებში
დამატარონ მკვირცხლად,
ლამაზებმა მიყიდონ
ყვავილების მიწა,
ყვავილების მიწა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ნონეშვილი

თბილისი — საქართველოს გული

თბილისის ყველა გზა და ბილიკი
ხალხით სავსეა ზაფხულ-ზამთარი.
დედის გულსა ჰგავს ჩვენი თბილისი,
დედის გულივით ალალ-მართალი.

გზატკეცილები, ლიანდაგები,
კარგი დარია თუ ავდარია,
როგორც გულისკენ სისხლის ძარღვები,
თბილისისაკენ მოიჩქარიან.

ის, როგორც გული მზრუნველი მშობლის,
გრძნობს შვილთა პირველ წუხილს თუ ლხენას,
გრძნობს საქართველოს ქალაქის, სოფლის
პირველ სიხარულს და აღმაფრენას.

ხარობს, როდესაც შირაქში ბეღლებს
უხვი მოსავლით მკერდი ევსებათ.
ის გუთნისდედას თუ ღამის მეხრეს
შორიდან ტკბილად ეალერსება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობს, როგორ იცავს მებრძოლი საზღვრებს
მიუვალ მთებში, სამშობლოს კართან,
როგორ დააბერტყს ნარინჯის ბაღებს
ცა ვარსკვლავებით ავსებულ კალთას.

გრძნობს, საქართველოს, მზეში რომ ბრწყინავს,
მტერი ოქროს ვერძს ვეღარ მოსტაცებს.
მზით დაოქროვილ შავი ზღვის პირად
აქებს, ამხნევებს შრომის ოსტატებს.

ხშირად დედური ალღოთი იგებს,
უსიტყვოდ იგებს შვილების საქმეს,
ფიქრებით ჩასდევს მაღაროს სიღრმეს
და ჭიათურელ ვაჟკაცებს აქებს.

როდესაც მთებში, მშობლიურ მთებში,
ამუშავდება ახალი ჰესი,
თბილისს მაყრების კრიმანჭულივით
ტელეფონების წკრიალი ესმის.

და რომ მშრომელთა საქმე ადიდოს,
გაზეთს გაზეთზე ააფრენს სტამბა.
უცებ ქვეყანას ამცნობს რადიოც
ქართველ გმირების ვაჟკაცურ ამბავს.

ხან, როგორც არის აღმზრდელის ვალი,
საყვედურს ეტყვის, შვილივით ჰკიცხავს,
თუ წამით ვინმემ მოხუჭა თვალი,
თუ არ იზიდავს ახალი წინსვლა.

სეტყვის ღრუბელმა თუ დასცა ელდა
ვენახებს, ველებს თავთუხიანებს,
წამსვე გაიგებს და, როგორც დედა,
საშველად როდი დაიგვიანებს.

გზაზე ცხვრის ფარას აწვიმს და ათოვს,
რა არ მოელის მთებში, ვინ იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბატკანიც რომ დაიკარგოს,
იგრძნობს, გაიგებს დედა-თბილისი.

მთაგრეხილებით, ბაღჩა-ბაღებით,
კარგი დარია თუ ავდარია,
როგორც გულისკენ სისხლის ძარღვები,
გზები თბილისში მოიჩქარიან.

თბილისისაკენ მოიმღერიან,
ყველა ბილიკით თბილისს ერთვიან...
თუმც ქალაქები ბევრზე ბევრია,
დედა-თბილისი ერთადერთია.

ის იგებს კრემლის საათის ჟღერით
მსოფლიოს გულის — მოსკოვის ფეთქვას
და გრძნობს ვერაფერს დააკლებს მტერი,
რადგან დგას დიად მოსკოვთან ერთად.

აი, რად გვიყვარს მისი ჩრდილიც კი,
აი, ასეთი ტკბილი რად არის.
დედის გულსა ჰგავს ჩვენი თბილისი,
დედის გულივით ალალ-მართალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლაბრის სტამბასთან

თბილისში ყველა ქვასა და კედელს
ხალხი მიაწერს ვაჟკაცურ ამბავს,
შენც, მეგობარო, ამ ჭასთან შესდექ,
აქ იყო ქვეყნად განთქმული სტამბა.

აქ ნაპერწკალი სცვიოდა კალამს,
აქ სიტყვას ჰქონდა ყუმბარის ძალა!

დიახ, აქ იდგა ჭაბუკი კობა,
აქ სჭედდა ხალხის ბედსა და ძმობას.
და ვიდრე ცაზე ბრწყინავდა მთვარე,
არა, ძილის დრო არ ჰქონდათ თვალებს.

ებრძოდა მეფის შავბნელ ადათებს,
აფოლადებდა დიად პარტიას,
განთიადიდან განთიადამდე
აქ ფრთას უშლიდა ხალხის განთიადს.

და როცა მთებზე ქრებოდა ჩრდილი,
ჩაიწვებოდა მთვარე ნამგალა,
ქალაქს ამ ჭიდან მიჰქონდა დილით
თავისუფლების წყარო კამკამა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოდგომა თბილისში

შემოდგომას სულ პირველად
რუსთაველზე გაიგებ.
ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს
გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს.

მოვარდება კახეთიდან,
ვით ფეხმარდი მოამბე,
ღვინისა და ხილის სურნელს
თბილისშიაც მოაფენს.

შეჩერდება მოქალაქე,
მოსდის ელეთმელეთი.
იტყვის: ალბათ ღვინის სუნით
სუნთქავს მთელი ხმელეთი.

და მახლობელ ბაზრის კარებს
შეხსნის ფიქრით გართული,
რომ იხილოს თავის თვალით
შემოდგომა ქართული.

არიგებულ-ჩარიგებულ
დახლებსა და ყაფანზე,
ყველა თავის შრომის ნაყოფს
და მოსავალს აფასებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს,
მთელმა თბილის-ქალაქმა.

ღვინის ზღვა და ხილის რიყე,
ხილთა ქება ნამდვილი.
ქარში უცხო ფრინველივით
მოფრიალე მანდილი.

ყაფანებთან ანათებენ,
ვით ვარსკვლავნი დარისა,
ქერა გოგო — პირიმზისა,
თეთრი — პირიმთვარისა.

მარცხნივ ბზინავს ფორთოხალი,
მარჯვნივ ვაშლის მთებია
და ტიკები ლოთებივით
ბოძებს მიჰყუდებიან.

იქ კი, სადაც ყვითელ კომშებს
და ჩურჩხელებს ჰყიდიან,
ალაზნის პირს დახოცილი
დურაჯები ჰკიდია.

— ჩემი ღვინო სხვას არ სჯობდეს.
მაშ შემირცხვეს სახელი! —
კარდანახულ ღვინოს აქებს
ბიჭი კარდანახელი.

იმერელი ცდილობს შენს გულს
ტკბილად დაეპატრონოს:
— ნუ იყიდი, მარტო გემო
ნახე, ჩემო ბატონო!

ყურძენს აქებს ხიდისთავი,
წითელ ატამს — ატენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ ხილი,
შეცახილი,
ქების კორიანტელი.

შემოსულა შემოდგომის
დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს
მთელმა თბილის-ქალაქმა.

შემოსულა შემოდგომა,
ქუჩებსა და მოედნებს
მოშრიალე ხის ფოთლები
ფრთოსნებივით მოედნენ.

შემოდგომის ქარი ჰქრის თუ
გაზაფხულის დარია?
ლამაზები სეირნობენ,
განა მართლა ქარია?..

მარჯნის ფერი, ქარვის ფერი
ქარმა ერთად არია.
ეს კაბების შრიალია,
განა მართლა ქარია?..

მზეც ღრუბლების გალავანზე
ლაღად გადმოდგარია.
სიყვარულის სიმღერაა,
განა მართლა ქარია?..

შემოსულა შემოდგომა
დოვლათით და ბარაქით
და მასპინძლობს ხელგაშლილი
მთელი თბილის-ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ ჟურული

ვარდოგისთვე თბილისში

მოვიდა ქვეყნად
ვარდობისთვე დროშების ტევრით,
მოვიდა ლხენით,
ღიმილით და ია-ვარდებით.
ჩემო თბილისო,
შენ მაისი გინახავს ბევრი,
მისი კაშკაშით
კიდევ ბევრჯერ აელვარდები.

გამოუწვდია
იასამანს შენთვის ტოტები
ლამაზ ქუჩებში
სურნელების მიმოსაფრქვევად.
გიგალობს მტკვარი,
შორით დარდით შენაშფოთები,
ერუშეთიდან
მობუტბუტებს ქართლის საქებრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმზერს მთაწმინდა
ცისკრის შუქით ალამპრებული,
სადაც ძილშიაც
გადიდებენ დიდი მგოსნები.
გეზურმუხტება
რუსთაველზე ხეთა კრებული,
მწვანე ფოთლების
სამკაულით რომ იმოსები.

ათას ხუთას წელს
გაუსწორე ძლიერი მხრები,
ფერშეცვლილია
ახლა ლოდიც ნავახტანგარი.
ნატვრის თვალი ხარ,
მზის ქალაქი მზისკენ იხრები
ომში მრავალჯერ
ხმალნაცადი და მკლავმაგარი.

დილა მშვიდობის! —
გესალმება დილით ეთერი,
დასაბამიდან
მშვიდობას რომ ეტრფოდი მარად.
მშვენიერდები
საქართველოს ეშხით, ელფერით,
მამულიშვილთა
სიყვარული გარტყია ფარად.

მაისიაო! —
შრიალებენ ბაირაღები,
მაისიაო! —
ჩურჩულებენ ვარდ-ყვავილები.
მღერის ქვეყანა
გაზაფხულის კარის გამღები,
მღერის ლექსებიც
მერცხლებივით ფრთაგაშლილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემო თბილისო!

სადაც არ იყო, თბილისს იჩქარი,
ყველა ოცნებას მის წინ გადაშლი,
გწვავს სილამაზით ქართლის ცისკარი,
ხეც კი გეძახის დედაქალაქში.

წადი, იარე, გზა ულევია,
ბოლოს მაინც აქ იპოვნი ბუდეს.
ვისაც მტკვრის წყალი დაულევია,
გულიც საყვარელ თბილისში უდევს.

თბილისო, ქართულ ქალაქთა დედავ,
ბოლნისის ქვაში კედლებჩასმულო,
შენს შენებაში მომავალს ვხედავ,
ზრდა არასოდეს არ დაასრულო!

თბილისო, ომში მლეწავო მტერთა,
შენი გმირობის ვართ მადლობელი,
ნეტავ შემეძლოს გიმღერო ერთად
ყველა ბულბულის საგალობელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სალუქვაძე

სიმღერა თბილისზე

საყვარელო ჩემო დედავ, ჩემო ღვიძლო თბილისო,
მოყვრის გულის გასახარად შუქი გადგას დილისო;

მოგიტანე ფორთოხლები დილის ცვარით ნანამი,
თაგოს მთებმა მთაწმინდასთან დამაბარეს სალამი.

შენ შეგხარის ჩაის კორდი, თუ წარინჯის ველია,
ჭოროხის და მტკვარის ტალღა სიხარულის ცრემლია.

მოედნებს და ფართო ქუჩებს სილამაზით გვიმოსავს
შენი ჭადრის ხეები და ჩემი მორცხვი მიმოზა.

გილოცავენ გამარჯვებას, გუგუნებენ დიდებით
შავი ზღვისა და თბილისის ახალი ზღვის ზვირთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე საჯაია

თბილისის ღამე

შენ, ვინაც იცი დიდი ქართველის
ძველი სიტყვა და ძველი შაირი,
შენ, ვისაც შეგრჩა ფილტვი ჯანმრთელი
და კიდევ სუნთქავ ქართლის ჰაერით,
ვინც შეიყვარა სამშობლო მიწა,
დაღარული და ბაღად ნაშენი,
ვისაც ჯერ კიდევ არ დაგავიწყდა
შენი სოფელი და მამაშენი.

თუ ეტრფიალე საყვარელ მნათობს
და განშორების იგრძენ სიმძიმე,
თუ გაიხსენებ დაკარგულ სატრფოს,
და ერთხელ მაინც არ დაიძინებ, —
არ მომიშორებ, ვიცი, აღარა,
ვიქნები შენი ძმა და გუშაგი,
მე ქართლის მთვარემ შემაჭაღარა,
თორემ ბავშვი ვარ რძეშეუმშრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯერა, ამალამ ბედმა შეგვყარა,
დღეს მტკვარის მაჯაც უფრო ჩქარია...
ხომ ასეთია ჩვენი ქვეყანა,
ამქვეყნად კიდევ ერთი ქალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ერთი ღამე „ინტურისტის“ სასტუმროში

ამ ოთახებში სძინავთ ამაღამ
უცხოელ სტუმრებს... ღამეა წყნარი...
ყველას დედა ჰყავს, ყველას მამა ჰყავს,
ყველას აქვს თავის სახლი და კარი,
თბილისში სძინავთ ამაღამ მხოლოდ.

მამადავითმა ააგდო მთვარე
და ცას მიაკრა... ღამეა წყნარი...
დაცარიელდა პროსპექტი გარეთ,
ჩაივლის ვინმე გვიანი მგზავრი
და ისმის მისი ფეხის ხმა მხოლოდ.

სასტუმროს ფანჯრებს რტოებაყრილი
ჭადარი კრძალვით ეპოტინება...
და სიარულით მთელ დღეს დაღლილნი,
წვანან სტუმრები... შეფოთლილებმა
ჭადრებმა ნანა უმღერეს მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ჰე, ვინ იცის, ვინ რასა ხედავს
ამ ოთახებში სიზმარში ახლა,
ზოგს იქნებ თვალწინ დაუდგა დედა,
ზოგმა კი თავის ცოლ-შვილი ნახა,
აქ, „ინტურისტის“ მყუდრო ოთახში.

ზოგს ესიზმრება დიდი პარიზი,
ან ეიფელის დგას კოშკის წინა
და ახლა, ამ წუთს, იმან არ იცის,
რომ რუსთაველის პროსპექტზე სძინავს
აქ, „ინტურისტის“ მყუდრო ოთახში.

ზოგს საბერძნეთის, ზოგს არგენტინის,
ზოგს ინდოეთის და ზოგს ჩინეთის
მთები, ველები, ხალხი კეთილი
თვალწინ დაუდგათ და საძილეთი
იმათთვის ახლა ცხადია თითქოს.

და მე მგონია, მსოფლიო მთელი
ჩასახლებულა აქ ერთი ღამით,
ჭადარმა მიტომ ამართა ხელი,
რომ ჩამოართვას სხვა ჭადრებს წამით
და მეგობრულად გადაეხვიოს.

და მშვიდად სძინავთ სტუმრებს ამაღამ,
ასევე მშვიდად ეძინათ წუხელ...
ყველას დედა ჰყავს, ყველას მამა ჰყავს,
ყველას აქვს თავის მშობელი კუთხე,
თბილისში სძინავთ ამაღამ მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოხობი

გადმოიფრინა კოჯორი,
მზეზე აშალა ქოჩორი,
და თბილისს, მთებით მოღობილს,
ესტუმრა ერთი ხოხობი.

მტკვრის ნაპირს ჩაჰყვა-ამოჰყვა,
იქნება რამეც ინატრა,
ნეტავი მას დამამოყვრა
და ჩემთან დააბინადრა.

საბუდარს მივცემ უმშვიდესს,
რომ გული არ შეუშინდეს,
შევასმევ ახალ წყაროსაც,
მთებს რომ უდგიათ გულში დღეს.

ისარს არ ვესვრი, არ დავჭრი,
ვთხოვ გორგასალის შენდობას,
დედა თუ არ ჰყავს, თბილისი
გაუწევს ახალ დედობას.

მივცემ ჭადრებით მოღობილს
საუფლოს მტკვრისა ნაპირას,
ნეტავი ყველა ხოხობი
თბილისში ჩამოაფრინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

* * *

ოცნებაო ჩემო ძველო,
ვართ ღამეთა მთეველი,
ბევრი, ბევრი სადღეგრძელო
დაგვრჩა დაულეველი.

სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დაჰხარა.
ვიდგეთ ფეხზე! ჩვენ თბილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა!

აქ სიცოცხლე და ხალისი
ვის სხვად არ ესვენება —
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება.

მოდიოდა ერთზე ასი —
გზა გვშვენოდა დიდების —
ჩვენ დავსცალოთ ყველამ თასი
ბედთან არდარიდების!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თბილისის დაფუძნება

ალბად გინახავს ის ქალი ქვრივი,
მთაწმინდაზე რომ დაუდგამთ ძეგლად:
საუკუნეთა მწუხარე მწკრივი
ჩანს მის სახებად და ანარეკლად.

ჩემო მკითხველო, სხვა შედარება
მოვნახოთ უფრო უნამდვილესი,
რომ შთავისუნთქოთ დარისდარება,
რითაც ახალი სუნთქავს თბილისი.

სემინარიის პირდაპირ, ბაღში
ბარელიეფი იყო ასეთი:
ვაჟი, შთანთქმული სალი კლდის თაღში
მთელის სიმკაცრით და სინაზეთი.

მარჯვენა მკლავზე დახრილს, სძინავდა
ვიწრო გვირაბის ქვაზე მჯდომარეს,
თავზე კლდე აწვა და ის ყინავდა
გამოღვიძების ასე მდომარეს.

მაგრამ იმ წერაქვს, რომ ეგდო გვერდით,
მეორე მიწვდა — ხელი მშრომელი,
ძველი თბილისი ასწია მკერდით
და შექმნა სუნთქვა დაუცხრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვრის ნაპირიდან მან მოიზიდა
ელექტრონები ქარვის და ლილის,
იმ ბაღებიდან და იმ ხიდიდან
დღეს ახალთახალს აფუძნებს თბილისს.

ვით არ შვენოდეს ყოფნას სიახლე,
როდესაც სივრცე და უფრო მეტი —
თბილისი არის იგი სიმაღლე,
ვის მებრძოლ სახელს ატარებს ქედი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს

განთიადისა პირველი ალი
ნარიყალისა ნანგრევზე წვება.
ელექტრო ჰქრება და შუქი მზისა
იფეთქებს, როგორც ახალი შვება.
ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს,
ხმა სიშორიდან გულს ღელვად ხვდება.
ჩემი სალამი გიგანტის ჩანგებს,
ბნელს სული ხდება, სიბნელე კვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაწმინდის მთვარე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!
მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით
და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით
მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე,
ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!
აქ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,
აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით
ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული,
ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...
და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად,
ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები, —
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა.
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ, აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები, —
რომ მეფე ვარ და პოეტი, და სიმღერით ვკვდები, —
რომ წაყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

თბილისის ღამე

თითქო კვდებოდა თბილისის ღამე,
სარაჯიშვილის ხმებით ტიროდა,
თარს ამოჰქონდა გულის ბალღამი
მტკვარის მარცხენა სანაპიროდან.

ასე მღეროდა მაშინ მეტივე
ფიქვის შეკრული თეთრი გედებით,
და უეცარი ძველი მოტივი
ინაცრებოდა სხვა იმედებით.

რა მაბადია — ან რა მებადა,
მე ვარ ტიტველი მთა შავნაბადა,
მაგრამ გული რომ მაინც მომტირის,
თითქო ჩააგდეს ცეცხლი საკირეს...

ეხლა მეც ვაქებ ინდუსტრიის ქარს,
მეც მინდა ძველი ქვეყნის დალეწვა,
თაფლის ფრთა ჰქონდა მაშინაც იკარს
და გული ფრთაზე მალე დაეწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაპატიეთ, მე თუ მივსტირი
თბილისის რძიან ბალახის დილას,
მე მეხარბება მართლა მესტვირე
არსენას ლექსით რომ გამოზრდილა.

ჯერ კიდევ ვზივარ ძველებურ ტივზე,
ვტირი შეკრული ფიჭვის გედებით,
არ შევჩერდები მე ამ მოტივზე,
მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება

1

ამ დროს მოდიოდა გრიგოლ ორბელიანი
ორთაჭალიდან.
ცხელი ცოცხალით სავსეა ნავი,
ეს ხმაა ჭიჭყინასი ასე გულსაკლავი,
თუ კრწანისიდან მოდიან თათრები...

მეზურნეები დილას ებრძვიან გააფთრებით,
შარვლის ტოტებში მთელი მზე ჩავა,
მოდიან ვირები დატვირთულ ქლიავით,
მოდიან ვირები კოჯორის ნიავით.

ასე აღვიძებდა საიათნოვა მტკვარს.
ღვინო მოუნდება გაციებულ მკვდარს.
გაბერილ ლოყებით გაჰკივის კარო:
— „არუთინა მქვიან, საიათნოვა ვარ,
ლექსებს გეტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს...“

2

... და დგას თბილისი, მუდამ ურყევი
და ქანაობენ ხრიოკი მთები,
გამოგუდულა გარშემო ხევი,
გულო, აენთე, თუ აენთები!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულია ყაბახზე დილა,
ახალი მთების ვხედავ კუნძულებს,
ორბელიანთა გაუთხოვარ
ქალების ძუძუებს.

მზე სიხარბიდან, მზეც კი გაზრდილა
და მოტეხილი სერაფიმის ფრთა,
ქაშვეთი კიდევ უფრო გაფითრდა.
ამ დროს ბრუნდებოდა გრიგოლ ორბელიანი
ორთაჭალიდან.

სავსე ყანწები თამადას ელიან,
მესმის დაძალება „დალიე, აიტან!“
ტიციან მქვია, ვრჩები ტიციანად,
ლექსით და ღვინით ყველამ მიცანით,
ლექსებს ვიტყვი, ცის ქუხილი რა არი?!
საიათნოვას შიგ საფლავში გავუტეხო ფიცარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ უბილავა

გამოლვიძება

შემოიჭრება ოთახში უცებ
საყვირის გრგვინვა ქარიშხალივით,
ვკეცავ რვეულის ჭაღარა ფურცლებს
და აზღვავებულ ხალხში გავივლი.

ვნახავ, ნატყორცნი კვამლები გაშლით
ეხურებიან ქედებს ჩალმებად;
ძმები ღიმილით მხვდებიან გზაში
და მტკვრის ზვირთებიც მომესალმება.

ო, ჩემო მტკვარო! შენმა შხეფებმა
ღამეს შეუნთო ცეცხლის ღადარი,
ახლა დილაა, სივრცეს ესხმება
მზე მთის თხემიდან გადმონაღვარი.

ჩემმა სამშობლომ მზე დამასხურა,
ამ ნათელ გზაზე შუქი შუქს მოსდევს,
დილაა... მზიან ქვეყნის მსახურად
მოვდივარ, გმირებს რომ გავუსწორდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე განვიცადე მტკვრის ღამე თეთრი

თუნდ ყოველივეს თვალი ვერ გაწვდეს,
კმარა... მოგხიბლავს მტკვარი ქებული,
მე ამ წუთს მასზე ფიქრები მაწვევს,
ნაპირს მივყვები გულანთებული.
ჩემს წინ ხატია კლდეზე წმინდანი,
ეს ტფილელია, ძველი მარტვილი,
მის ფერფლის ნათელს ამდგარს მტკვრიდანვე
ხსნას თხოვდნენ თურმე ხელებაწვდილნი.
ახლაც დაგვფარა სინათლის სვეტმა,
ლივლივებს შუქში — მთაა თუ ბარი, —
ხომ არ ჩათვლიდა მას ხანძრად ნეტავ,
ვთქვათ, რომ კვლავ ადგეს ერეკლეს ჯარი.
მე ყურს დავუგდებ მტკვრის დუდუნს მარადს,
ვხარობ, ფიფქები მფარავს ყვავილის.
ვახტანგის ზღაპრულ ხოხობის გვარად
მთვარე ფართქალით გორაკს ჩაივლის.
და გამიტაცებს — მტკვრიდან გავხედო,
ვიგრძნო თბილისი ამგვარ ღამეში.
— ეს ნათურები აქ ვინ ჩახვეტა!
— აქ რა ელმავლებს გააქვს თარეში!
ჩემში არ ბოლავს წმინდანის ფერფლი,
მე ხალხის მზით ვარ განათებული,
მე განვიცადე მტკვრის ღამე თეთრი
და საყვირების გრგვინვა ქებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

ახალი ხიდი

აგერ მეტეხიც... წამით შეჩერდი,
გეტყვი არც ისე შორეულ ამბავს:
აქ იყო ხიდი.
ოდგა მეჩეთი
და მტკვარში ჰყრიდნენ ხიდიდან ნაგავს...

ო, ის სხვა იყო, ვიწრო ხიდუნა
მთლად — ერთი ფეხის დანაბიჯები,
ხიდზე პაპიროსს ჰყიდდნენ ბითუმად
უბნის პატარა გოგო-ბიჭები.

მტკვარიც სხვა იყო — კლდოვან კალაპოტს
ლოკავდა ურჩი და აღრენილი,
იმ ბნელ წარსულზე ტალღის ნაამბობს
დღემდე სიმწარე აქვს შერჩენილი...

რა გავაგრძელო...
მიდი და ნახე, —
ამოიკითხე ძველთან სხვაობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს აქ მეტეხის ჭაღარას ალხენს
სულ სხვა ფიქრი და სანახაობა:

ამხედრებულან თბილისის მკვიდრნი
(რა აღუდგება საერთო ძალას!)
ორთაღიანი ახალი ხიდი
შეჰმატებია საყვარელ ქალაქს!

ხედავ: დაარტყეს მდინარეს ალყა,
ბურჯნიც აღმართეს საიმედონი,
გმირთა მკლავების მორჩილი გახდა
ყალყზე შემდგარი რკინა-ბეტონი!

დიახ, ესენი არიან სწორედ...
ჩემი სალამი ქართველ მშენებლებს,
სულ მალე მტკვარს რომ აქცევენ მდორედ
და ზედ გემებსაც მოაშენებენ!

სალამი იმათ, ვინც აგებს სადგურს,
ვინც შუქით ალხენს მშობლიურ მიწას,
ვინც დღესვე აწყობს ხვალინდელ აგურს
და ამით —
ხალხთა მშვიდობას იცავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისს გიმღერი!

ქუჩებს,
და ხიდებს,
და სახლებს შენსას
თავს დასტრიალებს ჩემი ფიქრები,
გიმღერი იმას, რაცა ხარ დღესა
და იმას, ჩემო, —
რაც ხვალ იქნები!

თბილისო,
ჩემი ოცნების წყაროვ,
ძველთაგან მოგდევს ძალა მთებური,
შენი ნათელი მომავლით ვხარობ
საკუთარ ხვედრზე ჩაფიქრებული.

ვის გაუყვია ჩემი და შენი
გაღიმება ან გულის ჭრილობა:
შენ — ჩემი კარგი სიმღერა გშვენის
მე — შენი ლაღი მხარგაშლილობა!..

მე არა ერთი გზა გადავლახე,
ბევრი ოცნება გულით ვატარე,
ქვეყნად რამდენი ქალაქი ვნახე,
ყველა, თბილისო, შენ შეგადარე!

სად არ მიმიღეს და შემიკედლეს
შენი მემკვიდრე და მობინადრე,
ქვეყნად რამდენი ვნახე სიკეთე,
ყველა, თბილისო, შენთვის ვინატრე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთვის ვინატრე: საღამო ზღვასთან,
ცის დასავალზე კიაფი გემთა,
მაგრამ სიცხადე ოცნებას გასცდა —
ზღვა თავის ფეხით მოვიდა შენთან.

და როცა ვნახე, მოსკოვის მეტრომ
როგორ გაჰკვეთა შუქით უკუნი,
ვინატრე, შენი მიწის ქვეშ ერთ დროს
მეც გამეგონოს მეტროს გუგუნი...

იქნება!
მეტროც თამამად ივლის,
დარიალჰესით მოვიკრეფთ ძალას...
თბილისს გიმღერი,
დღევანდელ თბილისს,
ხვალ უფრო დიდი სიმღერის ქალაქს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემელიან ჭურდიანი

თბილისს შორდება მატარებელი

თბილისს შორდება მატარებელი,
სადარდებელი უფრო მატულობს,
თვალდახატულო, აბა რა მელის,
ჩემო თბილისო, თვალდახატულო!
გზისპირ ხეებიც მოირხევიან,
ყვავილებით რომ გაფითრებულან.
მთაო, ნისლი რად მოგიხვევია,
მთაწმინდავ, რაზე ჩაფიქრებულხარ.
ისევ თბილისი სათაყვანები,
დიდების შუქით განათებული.
ჩვენი თბილისი, სადაც მამები
და წინაპართა ძალა მთებური
ქვეყანას ჰყავდა ხალხის დამცველად,
ქვეყნის ჭირ-ვარამს ნაზიარები,
დღეს გამობრწყინდა ვით ცისარტყელა
წინაპართ გულთა ნაიარევი,
ნუ გაიოცებს ქვეყნად ნურავინ
თუ გულამაყად დავიარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოგვასმინოთ რამ სამდურავი,
მათებრ ვინ ზიდა დარდი ამდენი.
თუ მათ მკერდებზე ხმალი ურიცხვი
და გამგმირავი დაჯახებულა,
დიდება იმათ...
მათი გულიც კი
ცად ვარსკვლავებად გაჩაღებულა.
და დაჰყურებენ სამყაროს მაღლით,
მთა გოლიათებს — მარად ნისლიანთ.
არ დამარცხდება არასდროს ხალხი,
რომელშიც ძმობა მარადისია...

იცოცხლებს მარად ეს ძმობა, ტრფობა
ალალი გულის გამნათებელი,
მოდგმიდან მოდგმას გადაცემული...
ველზე მიჰკივის მატარებელი,
როგორც ქალწული გატაცებული.
დარჩა თბილისი, უკვე შორს არის,
და მაინც გულში დარჩა თბილისი,
როგორც ფოლადი, როგორც შროშანი
და თაკარება შუა ივლისის.
მკრთალად ანათებს მთვარე ამ ღამით,
ხის ჩრდილი მიწას დამტევნებია.
აუკრეფიათ ხეებს ნაბადი
და მატარებელს დადევნებიან.

მატარებელი შორდება თბილისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჭუჩიშვილი

თ ბ ი ლ ი ს ი

სალამი ქალაქს,
სალ კლდეზე ნაგებს,
სალამი მაღალ
მთათა გალავნებს;
სალამი ქარხნებს
და ამხანაგებს,
რევოლუციის
წითელ ფალავნებს.

ქალაქო! შენი
ფერადი გული
და ელექტრონის
ელვათა კვნესა,
ისე მაქვს გულზე
ამოქარგული,
როგორც მტკვრის სარკე
იხატავს მზესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოი, ქალაქო!
შენს გიჟურ ხმაურს,
მილიონ ხალხთა
მდინარის დენას, —
მივდევ და მივდევ,
როგორც უცნაურ
ზღვის თოლიების
ტალღებზე ფრენას.

ქალაქო, მომსწრევ
უხსოვარ დროთა,
გადიდებულო
დღეს უფრო მეტად, —
რატომ არა გყავს
ახალი შოთა
ახალ ეპოქის
ახალ პოეტად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმღერა თბილისზე

კლდე-თბილისო,
ჩვენო დედაქალაქო!
ვინ იქნება,
რომ შენი მზე არ აქოს?!
რა არ გახსოვს,
თავს რა არ დაგტეხია,
გულმეხიანს
რა ძალა არ შეგხლია!

წინაპართა ციხე-ბურჯი,
ტაძრები,
მოწამეა
ცამდე ასულ ხანძრების!
ნაომარი შენი მიდამოები
საფლავია მტარვალთა ურდოების!
ის ალარ ხარ,
რაც იყავი წინათა,
ოქტომბრის მზემ
შენს ცაზედაც ინათა!

კლდე-თბილისო!
სულ შეგცვლია იერი:
წალკოტი ხარ
სრული სიმშვენიერით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ გზარავს
სამიკიტნოს დახლები,
მორთული ხარ
მოგუგუნე ქარხნებით!
სადაც გედგა
ძველისძველი სახლები,
სასახლენი აგიმართავს
ახლები!
ო, რა გშვენის
ძეგლი რუსთაველისა,
სიამაყე ყოველი ქართველისა!

შემკული ხარ
ხეივნებით,
სკვერებით,
ტყით მოსილი,
მთათა ნაპრალ-სერებით!

წყურვილს გიკლავს
წყარო ნატახტარისა
და შუქსა გფენს
მზე-ზაჰესი მტკვარისა!

საქართველოს მედროშე ხარ
ფრთაშლილი,
შენ მიეცი ქვეყანას ჯუღაშვილი!

კლდე-თბილისო,
ჩვენო დედაქალაქო!
ვინ იქნება,
რომ შენი მზე არ აქოს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ბ ი ლ ი ს ს

ისე იზრდები,
ისე ახლდები
შენ,
საქართველოს დედაქალაქო,
რომ სიამაყის
გრძნობით ვმაღლდები
და ცისმარე დღე
მზად ვარ შეგაქო!

ოდესღაც მწირი
და უდაბური,
ბარათაშვილის
უტყვი მოწამე, —
აწ აღარ არის
მწუხრით ნაბური,
ისე ჩახჩახებს
მთაწმინდის ღამე!

ბროლის შადრევნებს,
ხეივნებს,
სკვერებს
მზე
ცისარტყელას
ფერებით ფერავს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიოქსელი
    სიმებს აყღერებს
და ფირუზ ცათა
    სივრცეებს სერავს!
ვრცელ ორთაჭალის
    და ვერის ბაღებს
აღარ აყრუებს
    ჭიჭყინი არღნის,
კოლმეურნეთა
    მკლავმაგარ ძარღვებს
აქაც დაუკრავთ
ეპოქის დაღი!

აგერ მეტეხიც!
    დღეს მისი მზერა
გამვლელ-გამომვლელს
    შიშს აღარა ჰგვრის —
იგი ქცეულა
    კულტურის კერად,
გაუქმებულა,
    ვით ციხე ჩაგვრის.

წარსულს ბარდება
    ძველი თბილისი,
და როგორც კენტი ყარაჩოღელი—
ვალალებს ვიღაც
    ტრფიალი მისი,
მგზავრი გვიანი,
    უკანასკნელი.

შენ კი, ქალაქო,
    ისე ახლდები,
ძვირფას ნოხივით
    ისე რთავ ქუჩებს,
რომ სიამაყის
    გრძნობით ვმაღლდები
და აღტაცებას
    განვიცდი უჩვევს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

ორთაჭალიდან

ჩქარა აპრილი ხეს ცრემლით მორთავს,
დაჰბერავს სიო სიამის მგვრელი,
ოცნების თვალით გავსცქერი მყობადს
და სიმშვიდეში სასწაულს ველი.

დგას შავნაბადა, ვით გადამდგარი
მეფე, მწუხარე და თავდახრილი,
ჭადრების ჩრდილში ირწევა მტკვარი, —
გარდასულ დროთა შორი ძახილი.

აქ ორთაჭალის მწვანე ღარტაფი
ნახატივით ჩანს ქარის დუმილზე,
აქ მარაბდაა და ერთ საფლავში
ერთად წევს ცხრა ძმა ხერხეულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარე ნებივრობს ღრუბლის კალთაში,
შორს ეკრანივით ირხევა ნისლი.
და მაგონდება, ქალის ქამარში
როგორ გასცვალა შახმა თბილისი.

ჩქარა აპრილი ხეს ცრემლით მორთავს,
დაჰბერავს სიო სიამის მგვრელი,
ოცნების თვალით გავსცქერი მყობადს
და სიმშვიდეში სასწაულს ველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

თბილისი

თუ თბილისი, ჩვენი დედა, სულ ფეხდაფეხ დაგივლია,
გაჰყოლიხარ ფართო ქუჩებს, ნაპირ-ნაპირ ყვავილიანს,
და გიხილავს მშენებლობა ზეცის მაღალ კარიბჭემდის,
ოცი გულიც რომ გქონოდა, — სიხარულს ვერ დაიტევდი.

მიდიხარ და თან მიგყვება რა ხეები, რა ბაღები!
ოცნებებით რუსთაველზე რუსთველივით ამაღლდები.
ჩაგივლიან ლამაზები, ტანს შოლტივით მიარხევენ:
ერთი გოგოს სილამაზე უკან ცხრაჯერ მიგახედებს.

გზას განაგრძობ, გადახედავ ახალ სახლებს, ახალ ქუჩებს,
ენას ვეღარ ამოიდგამ, სიხარული დაგამუნჯებს.
წახვალ კიდევ, კიდევ წახვალ, განა ოდნავ დაიღლები,
მარმარილოს დაფებიდან მოგანათებს თარიღები.

და ათასჯერ გადაკითხულს ასჯერ კიდევ გადიკითხავ,
სამუდამოდ იამაყებ ერთ პატარა თარიღითა.
აქ გრგვინავდა, აქ ბრწყინავდა ჯუღაშვილის სიყმაწვილე,
თითქოს ახლაც გიმზერს იგი, მისი თვალი მიგაცილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვარსაც ნახავ, მაჭარივით ქუხს და ზვირთებს მოაგორებს,
მისი მწვანე სანაპირო სოფლის ტყეებს მოგაგონებს.
შემდეგ ახვალ მთაწმინდაზე, გადმოხედავ ქალაქს ლხენით,
ვარსკვლავებით დახუნძლულა, როგორც თუთა დასარხევი.

მისი მზერით, მასზე მღერით არასოდეს დაიღლები,
თბილისია საყვავილე, ჩვენ ვართ მისი ყვავილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე შანიძე

მოსკოვს ახარე

მოსკოვი
ლენინს, სტალინს
თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელი-
სუფლების წითელი დროშა, გაუმარჯოს
საბჭოთა საქართველოს!
25/II — 21 წ. **ს. ორჯონიკიძე.**

ასე მგონია, ახლაც გიყურებ
პირველ მედროშედ თბილისის კართან.
კვლავ შენი ტრფობით თერგიც იხუვლებს
და მთებს შეურხევს ნიავი კალთას...

მახსოვს, არაგვის ცრემლიან ტალღებს
მშობლიურ ქვეყნის ეხვია სევდა...
მახსოვს, შფოთიან თებერვლის ღამეს
თავისუფლების ნათელი სდევდა...

შენ მოგვახარე პირველი სხივი
და გამარჯვების მზიანი დროშა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართლის ბუნება ნაალმასევი
გადაარჩინე გმინვას და შფოთვას.

ბელადი ცნობას კრემლში ელოდა,
ახარე, აღარ დაუგვიანე:
დღეს აქ საბჭოთა საქართველოა,
დღეს აქ წითელი დროშა ფრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შატბერაშვილი

შემოდგომის დღე

რა კარგი დღეა, დღე თბილისური,
შემოდგომური,
ეშხით დამტკბარი,
მზე გადახრამდის არის მისული,
არ იძვრის ქარი, არ შხუის მტკვარი.

მზეს უნდა იყოს სიამით სავსე,
ასე თბილი და ასე კეთილი,
დიდხანს გაჩერდეს უღრუბლო ცაზე
და სიყვარულით უმზიროს თბილისს.

თითქო აწუხებს, რაც დააშავა, —
აგვისტოს დამწველ თაკარას ნანობს,
იცის, რომ მალე, სულ მალე ჩავა,
იღიმება და ჩასვლას გვიანობს,

რომ მათ გულებში ცეცხლად აენთოს,
ვისაც ამ წუთის ეშხი უგრძვნია,

ვისაც თბილისში უერთმანეთოდ
ამ მშვენიერ დღეს ვერ გაუძლია.

შენც გინდა, ზეცას დიდხანს უმზერდე
და ჭაბუკური გულით იწოდე,
მას უმღეროდე, ლექსებს უწერდე,
ის კითხულობდეს და არ იცოდეს...

ან გვერდით, ახლოს,
სულ ახლოს გყავდეს,
მყუდროში მის გულს ეფიცხებოდე,
მისჩერებოდე,
გწვავდეს,
გიყვარდეს,
ისიც სიყვარულს გეფიცებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

ჩვენი ქალაქი

თბილისია ჩვენი ციხე-ქალაქი,
თბილისია ჩვენი ყრმობის ალაგი,
ჩვენს წინაპრებს აქ უქებდნენ ქველობას,
აქ დაიცვეს მათ ჩვენი ქართველობა.
    შენი მიწის სიყრმეს ვეალერსებით,
    შეგინახავს წინაპართა ფესვები!

ვერც ჩინგისმა და ვერც ჯელალ-ედინმა
ვერ ჩააქრეს შენი შუქის ნათელი.
ვერ ჩაახშო ვერც ერთმა მუეძინმა
შენი ჰანგი ტკბილად ამონადენი.
    შენი მიწის ელფერს ვეალერსებით,
    შეგინახავს ქართველური ფესვები!

ახლაც სურდათ, ტყვიის ცეცხლით ეწერათ
შენი წიგნის უძველესი ფურცლები,
შენ, ქალაქო, გამხდარიყავ ეწერად,
დაგრჩენოდა ნაცარი და კუნძები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენმა ხალხმა შეალეწა ჯავშანი,
გადარეკა მტერი მხეცი, აშარი!

აქ წარსულში ყველგან ცეცხლი ბოლავდა,
შენი ხალხიც იწრთობოდა ფოლადად.
შენც გათალე გარიჟრაჟის აკვანი,
შენც დალეწე ბორკილი და საკანი!
შენი მიწის სიყრმეს ვეალერსებით,
შეგინახავს სასიცოცხლო ფესვები!

შენ, თბილისო, გალაღდი და იხარე,
ბურუსი და ჯანღი გადაიყარე,
კიდევ უფრო დამშვენდები, ქალაქო,
ჩვენი ქვეყნის საამაყო ალაგო!
შენი მიწის ელფერს ვეალერსებით,
ღრმად გაიდგი ქართველური ფესვები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

მტკვრის სანაპიროზ

წყალში ელავენ სარკმლის შუშები,
ნუშის რტოები მოურთავს აპრილს,
მტკვარში ჩამდგარან გამრჯე მუშები
და უსწორებენ დამტვრეულ ნაპირს.

წყალი მოკირწყლულ ნაპირს შორდება,
მწამს, კალაპოტში ჩავა ოცნებაც,
შეიშმუშნება და გასწორდება
და მომავალში გადიტყორცნება.

მტკვარს ძილი მართლა არ ეკარება,
მირბის და მუხლებს აღარ იზოგავს —
თითქო სადგურში მიეჩქარება,
ან უერთდება მარადისობას.

მოდის ქალაქში წყალი მაშველი,
თეთრი ნახშირით ღამე დახია, —
ელბაქიძე და ჯორჯიაშვილი
მტკვრის სანაპიროს გადასძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგება ალვების მწყობრი კრებული,
ტალღის შრიალი ისმის მწვანეში,
და დგას თბილისი, ამოვლებული
მტკვარში, მზეში და მატიანეში.

უხმობს მდინარე ქვეყნის ოსტატებს,
თითქო სიმღერას ტალღაც აპირებს
და გარეჟრაჟის სუსხის მოსვლამდე
შაირს შევძახი მაღალ ნაპირებს.

გულო, აჩქარდი, სუსხმა დაგქარა,
გვეალერსება წყალი დაფშვნილი,
იგრძენ ბუნების სიბრძნე ანკარა,
ქალაქს მოსული ჭკვიან ბავშვივით.

მე ამ ნაპირზე სიყრმეს მოველი,
ვხარჯავ გრძნობას და თავს არ ვიზოგავ,
და თბილისელი სტახანოველი
უცქერის მტკვარს და მარადისობას.

ჭღერის ალვები' მწყობრი კრებული,
სანაპირონი სხედან მწვანეში,
და დგას თბილისი, ამოვლებული
მტკვარში, მზეში და მატიანეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის ღამე

ვბრუნდები შინ და დროა გვიანი,
ღამით უცხოა ყოველი წუთი.
მთებს არ აჩნია ძველი ზიანი
და მტკვარზე ხიდი ჰკიდია ხუთი.

მყუდრო ბინაში მივეშურები,
დავხედო ლექსის დარჩენილ ნახევს.
ძილს მისცემიან სახლის მდგმურები
და მეეზოვის ფინია დაჰყეფს.

ღამის გუშაგი სწორდება წელში,
„ახლა რა დროა?“, მკითხავს და მიდის,
იცის თბილისის დუმილის წესი
და გავლა უყვარს თაღიან ხიდის.

ჯოხის წკარუნით ჩაივლის ქუჩას
და მოსახვევში შეხვდება ქარი.
თეთრი წვერი და კბილები უჩანს,
თვალებში ფიჭვის უნთია კვარი.

„ახლა რა დროა?“, ეძახის მგზავრებს,
მოსწონს ეზოში ნერგები ნაძვის,
ფინია ჰყეფს და მისცურავს მთვარე
და მხრებზე ჭადრის ფოთლები გვაწვიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მეცხვარის მზერა ფარაში,
სახლებს ატყვია მისი თვალები.
ვიღაც მღელვარებს იმ ფანჯარაში
და მგზავრი მღერის ნაგვიანები.

მეც გამივლია ხუთივე ხიდი,
მშენებლობის და ოცნების გზაზე.
ვარ ჭადარივით თბილისის მკვიდრი
და ჭადრის ფესვი მეხვევა ტანზე.

მეც დამაფარა თბილისმა კალთა
თუ ღონიერი არწივის ფრთები
და სექტემბერში თბილისის გარდა
არსად მინახავს ამგვარი მთები.

ახლა რა დროა? დროა ღაღადის,
როცა ირღვევა ღამის წესები,
როცა მდინარე მკერდზე გადადის
და იღვიძებენ გულში ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტთა ქალაქი

სტუდენტთა ქალაქს მთიდან დავყურებ,
სკებივით ჩანან თეთრი სახლები.
ძმებო, წარსულზე ფიქრი დავხურე,
დავტოვე მთა და მთის სანახები.

მოველ, ვიხილე გულის ტოლები,
ვპოვე თაობა ფრთაგაწაფული.
სადაც ფრთებს წინათ მოვაქროლებდი,
მომქონდა სიყრმე და გაზაფხული.

სიყმაწვილის ჟამს ოცნება ჩვილი,
გულის პირველი წვის მონაწილე,
სტუდენტთა წრეში შეიჭრა დილით
და მერმე მერხებს ვერ მოვაცილე.

ამ მიდამოში მოშუშდა, მგონი,
რაც სილარიბით მერგო წყლულები.
ტურფა მიღიმის ჩემი დის ტოლი
და, სიჭაბუკევ, აქ მეგულები.

ნუ მოვიგონებთ წარსულს ონავარს,
გავყვეთ ბუნების მშვენებას დინჯად.
ყოველ საწოლთან ღვიძავს მომავალს
და უბის წიგნში ოცნებას სინჯავს.

მთოხნელია თუ მეცხვარე კუშტი,
ან მოკენწლავე ფიცხელი ვაჟი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ მიბრუნდება მოსული გუშინ,
რომ ხვალ იშრომოს შორეულ მთაში.

თითქო ვაკეში მწიფდება ყანა,
ფრინველი სტოვებს შეჩვეულ ბუდეს,
დედის კალთაში განცდილი ნანაც,
როგორც საგზალი, მოჰყვება სტუდენტს.

როგორც ფუტკარი, დაფრინავს ფიქრი.
არ დამრჩა სულში ვარამის ღერი.
ყანა ღელავს თუ ფურცლები წიგნის?
და ფუტკრით სავსე სკასავით ვმღერი.

ვაკის მღელვარე ცხოვრება მიყვარს,
გულში გროვდება ხმების მარაგი.
საბჭოთა ქვეყნის ოსტატებს მიჰყავთ
წყნეთის მთისაკენ ნორჩი ქალაქი.

ალვას ჰგავს ალვის დარივე ტურფა,
ყოველ გულს ჩავწვდე შემეძლოს, ნეტავ,
მესმის მომავლის ცოცხალი სუნთქვა
და კომუნიზმის მშენებლებს ვხედავ.

სწავლის და შრომის ხალისი ვპოვე,
ჯმუხა ბიჭები ვთვალე და ვთვალე,
წყნეთით ვარაზის ხევამდე მოველ
და, სიჭაბუკევ, შემომხვდი მალე.

მიჰქრის ტრამვაი გაშლილ ვაკედან,
მხვდება თაობა ფრთაგაწაფული,
და მე მომყვება გზაზე კათედრა,
მზე, სიჭაბუკე და გაზაფხული.

აქ დარჩა ჩემი სიყრმის ნაწილი,
ვაკეში ვპოვე გულის სათავე,
ვერ დავივიწყე ჩემი აპრილი
და მე სიმღერა ვერ დავათავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

ათას ხუთასი წელი

თბილისს დავცქერი მე მთაწმინდიდან,
მისი ტრფიალი არ მომწყინდება...
ათას ხუთას წლის შორი ბინდიდან
ოქროს ხოხობი გამობრწყინდება.

როგორც შვილს დედა, მიყვარს თბილისი,
მე მის ჭაღარას ვეამბორები.
აჩრდილნი გმირი წინაპრებისა
შურის ციხესთან დგანან თორებით.

მესმის ნაღარა შორ საუკუნის,
მესმის ჭიხვინი ფეხმარდ მერნების,
სისხლით ნაფერი მტკვარის დუდუნი
და გულისცემა ჟამთაღმწერლების.

მოდის არაბი, ბიზანტიელი,
ხვარაზმელები, ჩინგიზ-ყაენი,
თურქი-სელჯუკი გადამთიელი, —
ყველა იუდა, ყველა კაენი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოჭლი თემური, სისხლით უძღები,
აღა-მაჰმად-ხან ცოფ-ცეცხლით მთვრალი...
მაგრამ თბილისი ყველას უძლებდა,
თბილისს იცავდა ქართული ხმალი!

დიდება სახელს გმირ წინაპართა!
ვახტანგ გორგასალს პირველი ქება!
როგორც ღვთის რისხვა, ურდოებს სპარსთა
ზარს სცემდა მისი შუბის ხეთქება.

ალმაშენებელ დავითის დიდის
გვირგვინი ბრწყინავს მზის ბრწყინვალებით;
თამარ დედოფლის ციურ სიწმინდის
წინაშე დღესაც ვთრთით მოკრძალებით.

მისი ნათელი შარავანდედი
შემოუნახავთ დიდ შემოქმედებს:
ჩახრუხაისძის შაირზე მეტი
ვინ რა უნდა თქვას, ვინ წაამეტებს?
შოთა რუსთველის კალამის ბედი
შუქს ჰფენს ყოველი ხანის პოეტებს.

გმირებს, მშენებლებს, მგოსნებს ვინ დათვლის,
ათას ხუთას წელს რომ გადავხედოთ?
საქართველოს გულს, დიდებას ქართლის,
ვინ უწყს რამდენი მსხვერპლი დაედო!

ვინ დაივიწყებს კრწანისის მწუხრებს?
ვინ დაივიწყებს არაგველს სამასს?
ხმალჩაუგებელ რაინდს, ქედუხრელს,
მეფე ერეკლეს — ვაჟკაცთა მამას?

მათ ხსოვნას წმინდად ინახავს ხალხი,
ხსოვნას უმწიკვლოს, ხსოვნას მარადისს, —
თეთრ ცხენზე მჯდარი პატარა კახი
თბილისში, თითქოს, ცოცხალი დადის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც შვილს დედა, მიყვარს თბილისი,
მე მის ჭაღარას ვეამბორები...
აჩრდილნი გმირი წინაპრებისა
შურის ციხესთან დგანან თორებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ თბილისს

ჩემო თბილისო, მოხიბლული შენ გიმღერს გული!
შენდამი ტრფობას, მარადიულს, წმინდად ინახავს.
ისევ ტურფა ხარ, ახალგაზრდა, მშვენებით სრული,
თუმცა თხუთმეტი საუკუნე გადაგილახავს.

შენ შემოგყურებს აღტაცებით ყველა ქართველი,
ჩვენი ოცნება მუდამ შენკენ მოედინება;
ყველა მეურნეს შენთვის უნდა ბარაქა რთველის,
ახარებს შენი ამაღლება, აღორძინება.

ყველა სტუმარი ქებას უძღვნის შენს გარემოსა,
მწვანე არშიად გევლებიან ირგვლივ ქედები;
შენი ქუჩები ყვავილების ფარჩამ შემოსა,
შენს ფირუზ ცაზე ფართქალებენ გუნდნი მტრედების.

ყოველდღიურად შენ იზრდები, ვით ზღაპრის გმირი,
ძველ დედაქალაქს, მცხეთას, ლამის მოხვიო ხელი,
თლილ ქვით შემოსე ლაღი მტკვარის ორთავ ნაპირი,
ზღვა ააღელვე, გააცოცხლე სამგორის ველი.

ჩემო თბილისო, მოხიბლული შენ გიმღერს გული,
შენდამი ტრფობას მარადიულს წმინდად ინახავს.
ისევ ტურფა ხარ, ახალგაზრდა, მშვენებით სრული,
თუმცა თხუთმეტი საუკუნე გადაგილახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ძნელაძე

ასე იბრძოდნენ

ნათელი მთებით შემორაგული,
გაშენებული ქალაქ-ბაღადა —
თბილისი სუნთქავს, ვითარცა გული
ჩვენთა ღირსეულ მამა-პაპათა...

... შენ გენაცვალე, ქართველო კაცო!
შენი მარჯვენის ჭირიმე, გურჯო!
თავს რატომ სწირავს? —
მტერთაგან გაცლას
სახელოვანი სიკვდილი უჯობს.

... ერთიც კიდევ და...
მიდი, ჰო! მაგრე!
დასცხე, ღვთისავარ! მანუჩარ! გოჩა!
აგერ დაეცა მედროშე... მაგრამ
კვლავ აიტაცა მეორემ დროშა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ღმერთო ჩემო!
ეს ვინღა არი?!..
ქალია,
მაგრამ ვაქკაცურ მკლავით
ელვისებურად გარდაჰკრა ხმალი
და გაბურთავდა მუხთალის თავი...

არ გადრკე — დროშის მაღალო ტარო!
არ შეწყდე მარად — ქართველთა სუნთქვავ!..
— შენ რა გატირებს, ლამაზო მტკვარო!..
წყალნი წავლენო... — ქართველ კაცს უთქვამს!

... ასე იბრძოდნენ ხუთჯერ თუ ათჯერ!
ბევრმა ვერ ნახა ნათელი დილის...
ქართველი ხალხი — მშრომელი, გამრჯე,
ასე იცავდა ბრძოლებში თბილისს...

... ნათელი მთებით შემორაგული,
გაშენებული ქალაქ-ბაღადა, —
თბილისი ფეთქავს, ვითარცა გული
ჩვენთა ღირსეულ მამა-პაპათა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

გადმოსახედი

თბილისში განა მარტო სახლები,
თითქოს დავითის მთაც გაიზარდა, —
ასეთი დიდი გადმოსახედი
სად არის ჩემი ქალაქის გარდა!
ასეთი დიდი ხატოვანება
არც ერთ სატახტოს არ ღირსებია,
სტუმრებს აღაფრენს აღფრთოვანება
და შთაგონებით აღივსებიან.
ხომ გაიზარდა ჩრდილი ბაღების,
დედაქალაქის ცაც გაიზარდა
და გუშინდელი ჩვილი ბალღები
ჭრიან ფოლადის მანქანით ლაქვარდს.
დიდი ქარხნების და ორთქმავლების
ძახილს მომავლის ხმა ემატება,
თბილისის ზღვიდან ამ ხმას ბანივით
ტალღის დგაფუნიც ჩაეხლართება.
აგუგუნდება ჩემი ქვეყანა,
ცაში მარეხსაც დასძრავს გუგუნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს გულში იფრენს ერთთავად,
როგორც ხმელეთი — ხმა საუკუნის,
მაშინ დავხედავ ქუჩებს მაღლიდან,
რომ დამინახოს შორით თბილისმა;
თითქოს კვარცხლბეკი იყოს მთაწმინდა
და მე — ქანდაკი დროის გმირისა.
სამშობლოს განა მარტო ბაღები,
თითქოს დავითის მთაც გაიზარდა, —
ასეთი დიდი გადმოსახედი
სად არის ჩემი ქალაქის გარდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

* * *

მთებზე ბალახობს ვახტანგის ცხენი,
მხედარს თბილისის ფუძეში სძინავს,
და მკერდზე დასდის, სისხლივით ცხელი,
ათასწლეულის თოვლი და წვიმა.

ქვიტკირებს ქარი სიამეს აკმევს,
ხავსი ჩურჩულებს, როგორც არაკი...
თვალგახელილი ათასი სარკმლით
წევს დიდებული კაცი — ქალაქი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ნარიყალას დიდებული სახე
და მთაწმინდის ასახვევი,
ქუჩებს ვიცნობ და ვეძახი სახელს
და სახლები თვალს ახელენ.

ამ ქალაქში ჩემი ბედი ფეთქავს,
ჩემი ფიქრის რტო მძიმე და დასარხევი,
ერთგულება, სიყვარულთან ერთად,
მიდევს გულში, ვით ქალაქის გასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ჭიჭინაძე

თბილისი

შენი ხნოვანება ხუმრობა როდია:
საუკუნეები თოვლივით მხრებზე გადნებოდა.
ლოდი რომ ლოდია,
ამდენ ხანს ისიც კი სულ დაიფშვნებოდა.

სიკვდილს ნუ ვახსენებთ, —
როგორ გადაურჩი სიბერეს?
ხითა და ქვა-კირით, — სხვაგვარი მასალით
ვერ აგაშენებდა შენ ხომ გორგასალი,
სხვა რა ექნებოდათ იბერებს?

რამდენჯერ მტერთაგან იყავ აკლებული!
გესხმოდნენ სპარსები, ბიზანტიელები,
მოხეტე ბრბოები, გადამთიელები,
და ილეწებოდა, ძლივს შემოვლებული,
შენი გალავანი...
მაინც არ სცხრებოდი — დიდი ფალავანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად, დაქანცვით სული რომ გხდებოდა,
შენს ჩასაყლაპავად წამოგორდებოდა,
თვისი ყაენებით, ხონთქარ-ნოინებით,
სიავით, სიბრაზით, ხრიკით, ოინებით,
მშიერი აზიის ვეება მუცელი.
მაინც არ წაიქეცა, მაინც გაუძელი!
ლხინის მოტრფიალემ ჭირშიაც ივარგე —
ათზე ერთი კაცით იბრძოდი გმირულად.
რამდენი ვახტანგი,
რამდენი დავითი,
რამდენი გიორგი
მახვილამოწვდილი შენთვის შეწირულა!
თავქვე მიღელავდა მტკვარი სისხლიანი.
მძიმე საჭურველი ტანზე გაცვდებოდა...
გიქუცმაცდებოდა
სამკვიდრო, ოდესღაც მთლიანი.

თბილისო, გადარჩი შენ თითქოს განგებით!
და ბევრი გიორგი,
დავით-ვახტანგები,
სიფიცხით წინაპრებს თავს რომ ამსგავსებენ,
დღესაც ხომ შენს ქუჩებს ხალისით ავსებენ!
და მერე რა ქუჩებს!
არ ჰგვანან იმ ჩიხებს — ურჩხულის ლაყუჩებს,
ძველ შუკებს, ყორე და ღობე რომ ხუთავდა,
სად ღამით აქა-იქ ჟინჟღილი ბჟუტავდა,
სტკეპნიდნენ ტალახს თვით ნაზირ-ვაზირები.
მათ ნაცვლად კრიალა, ფართო გამზირები
გაჩირაღდნებულან ურიცხვ ლამპიონით.
გიქმაჟი მტკვარიც კი ახლა სხვა მტკვარია:
დიდი საქმისათვის დინჯად შემდგარია.
ახალი მთაწმინდა და ძველი სიონი
ლურჯად გადაწმენდილ ზეცას შეჰხარიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

მე არ ვიქნები შენი სტუმარი

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი...
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი!
ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,
რომ უშენობა მწვავდა ასწლობით,
შვილი მშობელთან ველარ მოვიდა,
ველარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.
მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,
ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული,
და შენი სიტყვის გადასარჩენად
ილეწებოდა ჩემი სხეული.
რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი,
ჭოროხს მეწამულ ფერში უვლია,
საქართველოში ალბათ კალმახი
მიტომ სისხლისფრად დაწინწკლულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ
და შენი ზეცის ერთი მერცხალი.
მე საქართველოს დიდი სიმღერა
გულში ჩავინთე, ვით ნაკვერცხალი.
თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი...
შენი შვილი ვარ, შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ხოშტარია

თბილისის მიწა

აი თბილისი! ქართველების დიდების ძეგლი,
გაოგნებული რომ ვუცქერი ამ საოცრებას,
ურიცხვ ბრძოლებში გამოვლილი ქალაქი ძველი
ვის არ აღუძრავს ჩვენს წარსულზე ფიქრს და ოცნებას.

გაპარტახებულ დიდ ციხეთა მყუდრო სავანეს
აქ შემოჯარულ მთების გულში ჩასძინებია,
აქ მოჩუხჩუხე წყაროებს კი რა დაასვენებს,
თითქოს დაქცევის, აოხრების ამბებს ყვებიან.

რა დაგვავიწყებს იმ ადგილებს, სადაც პირველად
ცეცხლს და ქარიშხალს ამომთუთქავს გადაუვლია,
ბევრნი დაეცნენ, უკვდავების დასამკვიდრებლად
გმირთა საფლავზე ყაყაჩოებს ფრთა გაუშლიათ.

უცნობ ხელოსნებს, უცნობ მხატვრებს, მეჩუქურთმეებს,
თბილისის მიწას შთაგონებით ვინც ეზიარა,
თავზე დანათის ვარსკვლავები, უთევს ღამეებს
მკვდრეთით ამდგარი ჩემი ქვეყნის ზეცა კრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ ჯაბუშანური

თბილისის ბჭესთან

არც ზეიმზარით, არც სითამამით,
არამედ კრძალვით... ტლუ... უჩუმარი,
შენს კარიბჭესთან მოვედი ღამით
და მორცხვად ვდგავარ უტყვი სტუმარი...

ხანგრძლივი გაყრით შენი ძე მრწემი,
შენზე ვდარდობდი, მთებში, ესოდენ:
შენი ძახილი და მაჯისცემა
მე ჩემს არხოტშიც თითქოს მესმოდა.

ვერ გძლია მტერმა და მუხანათმა,
არცა კვლავ დაშვრნენ შენი ძალები;
ყველა თვალს ერთად ნუ მომანათებ,
მე მეტად ვღელავ და გეკრძალები.

ჩვენთვის ყოველთვის ხარ საყვარელი,
ო, ვინ ჩამოთვლის ყველა შენს ქომაგს,
აქა წევს ერთი დიდი ფშაველი, —
მე მასთან მთების სალამი მომაქვს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრთოლვით შევყურებ მთაწმინდის პარმაღს,
თან მოხარკე ვარ ყოველი უბნის;
შენ, უუხუცესს და მაინც ჭარმაგს,
დაგცქერს სტალინი ნათელი შუბლით.

არც ზეიმზარით... არც სითამამით, —
არამედ კრძალვით... ტლუ... უჩუმარი,
შენს კარიბჭესთან მოვედი ღამით
და მორცხვად ვდგავარ უტყვი სტუმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

თბილისს იორი მოვიდა

ირემმა ყური აჰყარა,
ირემმა ირემს ახარა:
— ხელხვავიანი შრომითა
თბილისს იორი მოვიდა!
წინათ უსოფლო, უდაბო
იყო სამგორის უდაბნო,
აქ ბრძოლის გასაბედავად
გზა დაულოცა მეომარს
ჩვენმა გამზრდელმა დედამ —
ი ტკბილმა საქართველომა.
დღეს კი ვაჟკაცთა შრომითა
თბილისს იორი მოვიდა.
იორს აქეთ და იქითა
ჯეჯილი ამობიბინდა.
მტარვალი თვალს ვერ აკარებს,
ყანაა უკვე სამკალი.
თავსაც იწონებს თავთავი
მარცვლითა მჯიღის ტოლათი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფაძძიმებულან ბეღლები
ქართული პურის დოვლათით.
მზე ამზეურებს სანახებს,
ვაზი თმობს ყვავილობასა
და მარტყოფელი არ ნაღვლობს
მარტყოფში მარტო ყოფნასა.
იორს აქეთ და იქითა
მასპინძლის მძიმე რიხითა
კარისმეზობლებს გავსძახეთ,
დასახლკარება ვახარეთ,
დავლოცეთ სახლი ახალი,
სახლი კი არა სასახლე.
პურდიდი სუფრა გავშალეთ,
ღვინოს ვხარჯავდით შარშანდელს,
— ბიჭებო, ჩვენი მარჯვენა
ხვალ მეტად გასჭრის ასჯერა;
და თუ საჭირო იქნება,
გავკვეთოთ კლდე და პიტალო,
იორი რაა,
რიონიც
თბილისში ჩამოვიყვანოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერთა სასახლის გახსენება

ამ ჭერმაღალ სასახლეში გაღიმებულ პირითა
წინათ ერთი წყნარი ბიჭი ხშირად შემოივლიდა,
ამ კედლებს და ამ სურათებს სიყვარულით უმზერდა...
მე იმ დღეთა მოგონება დღეს მაჩნია გულზედა.
მახსოვს — აქ რომ ჩამოვედი სიტყვის გასაბედავად,
ყველამ ღიმი შემაგება — როგორც ტკბილმა დედამ,
მაგონდება ეს დარბაზი ტაშითა და ვაშათი.
სიმღერებში დამიმზევდა სიჭაბუკის ლაქვარდი.
სიმღერებში ამიყვავდა სიყმაწვილის ყვავილი,
მაგრამ ახლაც რუსთაველზე ისე როგორ ჩავივლი,
რომ აქ არ შემოვიარო გაღიმებულ პირითა,
როგორც ერთ დროს ერთი წყნარი ბიჭი შემოივლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

მაჩაბლის ქუჩა

და გაფოთლილან ისევ ცაცხვები,
მათი შემყურე ვით ვიყო ქუშად,
ზოგჯერ ამაყად, ზოგჯერ დარცხვენით
მე გამივლია მაჩაბლის ქუჩა.

ზოგჯერ სიმღერით, ზოგჯერ კი ყუჩად
თან დამაქვს კრძალვა პირველ გავლისა;
მაჩაბლის ქუჩა, მაღალი ქუჩა,
ქუჩა — დადება შოთას მტკავლისა.

ჰე, შეფოთლილან ცაცხვები გუშინ,
მათებრ შეფოთვლა სულსაც სწყურია;
... ლექსის ოსტატთა ამ წმინდა ქუჩით,
ვაი, თუ რუსთველს არ გაუვლია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამგზავრი თბილისის ცაზე

მთაწმინდას ერთი მთვარე ახსოვდა...
გადაიქროლა თბილისზე მთვარემ...
ქალაქი ღამის ზღაპარს აქსოვდა,
ახამხამებდა ელექტროს თვალებს.
მან მხოლოდ ერთი მთვარე იცოდა
ათას ხუთას წლის უშორეს გზაზე...
მთაწმინდის მკლავი ცად აიწოდა —
ახალი მთვარე მიჰქროდა ცაზე.
და ის ახალი მოჰგავდა გვირგვინს,
სხივებს ჰფანტავდა ქარში თოვლივით
ამ თვალშეუდგამ სამყაროს ირგვლივ
ათას ხუთასჯერ გარშემოვლილი.
კაცის გონების უსასრულობას
შემოვლებოდა ზეცის ვარაყი.
... ახალი მთვარის მზეს ფიცულობდა
ათას ხუთას წლის თბილის-ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

არჩილი 7
ფეშანგი 8
ვახტანგ მეექვსე 11
დავით გურამიშვილი 12
იესე ტლაშაძე 18
თეიმურაზ მეორე 19
ბესიკი 24
საიათნოვა 25
სტეფანე ფერშანგიშვილი 27
ზაალ ზაალიშვილი 28
გრიგოლ ორბელიანი 30
ნიკოლოზ ბარათაშვილი 36
ვახტანგ ორბელიანი 42
გიორგი ერისთავი 45
ილია ჭავჭავაძე 47
აკაკი წერეთელი 53
ვაჟა ფშაველა 58
იროდიონ ევდოშვილი 60
იეთიმ გურჯი 63

ალექსანდრე აბაშელი 67
გრიგოლ აბაშიძე 73
ირაკლი აბაშიძე 78
პოლიო აბრამია 83
შოთა აკობია 85
შალვა ამისულაშვილი 88
ლადო ასათიანი 90
შალვა აფხაიძე 95
მარიკა ბარათაშვილი 98
ხუტა ბერულავა 100
კალე ბობოხიძე 105
ვიქტორ გაბესკირია 107
ვალერიან გაფრინდაშვილი 108
დავით გაჩეჩილაძე 109
მირზა გელოვანი 112
აკაკი გეწაძე 115
ვასილ გვეტაძე 119
რაჟდენ გვეტაძე 123
ვახტანგ გოგოლაშვილი 125
ალექსანდრე გომიაშვილი 127
ვახტანგ გორგანელი 132
ვასო გორგაძე 134
იოსებ გრიშაშვილი 136
ნოდარ გურეშიძე 144
არჩილ გურჯიძე 146
სანდრო ეული-ქურიძე 147
ხარიტონ ვარდოშვილი 149
სოლომონ თავაძე 152
ანდრო თევზაძე 154
პაოლო იაშვილი 156
ანა კალანდაძე 158
გიორგი კალანდაძე 159
კარლო კალაძე 161
გიორგი კაჭახიძე 167
ბონდო კეშელავა 171
ნაზი კილასონია 172
ზურაბ კუხიანიძე 174
მურმან ლებანიძე 176
გიორგი ლეონიძე 181
შოთა ლომსაძე 191
ზურაბ ლორთქიფანიძე 192
ოთარ მამფორია 194
რევაზ მარგიანი 196
მარიჯან 200
მუხრან მაჭავარიანი 203
ალიო მირცხულავა 207
მარიკა მიქელაძე 215
ილო მოსაშვილი 217
ვახტანგ ნადარეიშვილი 220
კოლაუ ნადირაძე 222
ჯანსუღ ნიქაბაძე 226
შოთა ნიშნიანიძე 228
იოსებ ონნეშვილი 234
ვარლამ ჟურული 241
გიორგი სალუქვაძე 244
ალექსანდრე საჯაია 245
ლადო სულაბერიძე 247
გალაკტიონ ტაბიძე 250
ტიციან ტაბიძე 255
ვლადიმერ უბილავა 259
მიხეილ ქვლივიძე 261
ემელიან ქურდიანი 265
გიორგი ქუჩიშვილი 267
ოთარ შალამბერიძე 273
ნოდარ შამანაძე 275
ალექსანდრე შანიძე 277
გიორგი შატბერაშვილი 279
ნიკოლოზ ჩაჩავა 281
სიმონ ჩიქოვანი 283
გრიგოლ ცეცხლაძე 289
გივი ძნელაძე 293
ოთარ ჭელიძე 295
თამაზ ჭილაძე 297
კონსტანტინე ჭიჭინაძე 299
ფრიდონ ხალვაში 301
ილია ხოშტარია 303
გაბრიელ ჯაბუშანური 304
ვახტანგ ჯავახაძე 306
თეიმურაზ ჯანგულაშვილი 309

390/264

ეროვნული ბიბლიოთეკა

Наш Тбилиси

(стихи грузинских поэтов о Тбилиси)

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси
1958

გამომცემლობის რედაქტორი ვ. ჯავახაძე
მხატვრები: ვ. გიორგობიანი, ს. კაშხიანი, შ. კუპრაშვილი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი შ. იამანიძე
კორექტორი ო. ცინცაძე

*

გადაეცა წარმოებას 19/VII-58 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IX-58 წ. ქაღალდის ზომა 70×92 1/16. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 9. ნაბეჭდი თაბახი 22,8. საავტორო თაბახი 7,72. უე 04125. ტირაჟი 7,000. შეკვეთა № 411.

ფასი 7 მ. 40 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა